

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

მეოთხე სემესტრის სტუდენტი

გვანცა ცინცაძე

ინტერნეტსივრცეში ნაწარმოების უნებართვოდ გამოყენება და მასთან ბრძოლის
საშუალებები

ხელმძღვანელი : სანდრო ჯორბანაძე

ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მონვეული ლექტორი



ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

თბილისი

2019 წელი

სარჩევი	
აბრევიატურები	4
შესავალი.....	5
თავი 1. აშშ-ს საავტორო სამართალი	8
1.1. მომსახურების მიმწოდებელთა პასუხისმგებლობა	10
1.1.2.1. “Notice and Takedown”	13
1.1.3. მეორეული პასუხისმგებლობა „ბეტამაქსიდან“ “P2P” ქსელებამდე	14
1.1.4. „ნეპსტერის“ საქმე	14
1.1.4.1. მეორეული პასუხისმგებლობის სახეები	15
1.1.5. „გროკსტერი“	17
1.1.6. „იუთუბი“	18
1.1.6.1. დარღვევის აღკვეთის პროაქტიული მეთოდი - “Conternet ID”	20
1.1.7. კეთილსინდისიერი გამოყენების უფლება	22
1.1.8. კეთილსინდისიერი გამოყენების უფლება მომსახურების მიმწოდებლებთან მიმართებით	23
1.1.8.1. „გუგლის“ ციფრული ბიბლიოთეკა	24
1.2. ტექნოლოგიური დაცვის საშუალებების გვერდის ავლა	25
და საერთაშორისო ხელშეკრულებები	25
1.2.1. “WCT”	25
1.2.2. “WPPT”	28
1.3. ამერიკული იმპლემენტაცია: “DMCA”	29
1.3.1. “DRM”	31
1.3.2. „პარალელური საავტორო სამართალი“	33
1.3.3. გაუთვალისწინებელი შედეგები და გახმაურებული საქმეები	34
თავი 2. ევროკავშირის საავტორო სამართალი	37
2.1.1. “DMCA”-სთან შედარება	39
2.3. განახლებული დირექტივა	45
თავი 3. უფლების დაცვის საშუალებები	49
3.1. აშშ	49

3.1.2. “Notice&Takedown”	50
3.1.3. სასამართლო აკრძალვა.....	50
3.1.4. ზიანის ანაზღაურება	51
3.1.5. სისხლსამართლებრივი პასუხისმგებლობა.....	51
3.2.ევროკავშირი.....	52
3.2.2.დირექტივის შედეგი	55
3.3.„მეკობრული კონტენტის“ მომხმარებელთა წინააღმდეგ მიღებული სხვა ზომები ...	56
3.3.1. “Graduated Response” და საფრანგეთი.....	56
3.3.1.1. “HADOPI”-ს შედეგები.....	58
3.3.2. ნებაყოფლობითი ინიციატივები აშშ-ში	59
3.3.2.2. ინიციატივის შედეგი	61
3.3.3. პასუხისმგებლობა დაუცველი უსადენო ქსელისათვის	62
3.3.3.1. აშშ	62
3.3.3.2. გერმანია.....	63
თავი 4. საავტორო უფლებების დაცვა საქართველოში	63
4.1. საერთაშორისო ხელშეკრულებები და შიდა საკანონმდებლო ბაზა	63
4.1.1. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი	64
4.2. უფლების დაცვის საშუალებები	65
4.2.1. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა	65
4.2.2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა	65
4.2.3. უფლების დაცვის საპროცესოსამართლებრივი საშუალებები	66
4.3. საავტორო უფლებების სფეროში მოქმედი ორგანიზაციები	67
4.4. ინტერნეტსივრცე და განსახორციელებელი ცვლილებები	68
4.4.1.„ელექტრონული კომერციის შესახებ“ კანონი.....	69
4.4.2. ინტერნეტ-მეკობრეობა და მის წინააღმდეგ ბრძოლა საავტორო სამართლის სხვადასხვა სფეროში	70
4.4.3. ინტერნეტსივრცეში მეკობრეობის გამომწვევი მიზეზები	75
4.4.3.1. სოციალური მიზეზები და საზოგადოებრივი განწყობა	75
4.4.3.2. ინტერნეტ-მეკობრეობასთან ბრძოლის ეფექტურობა.....	78

დასკვნა.....	79
ბიბლიოგრაფია	83

აბრევიატურები

ავტ. - ავტორი

ე.წ.- ეგრეთ წოდებული

იხ. - იხილეთ

მაგ. - მაგალითად

მლნ. მილიონი

რედ. - რედაქტორი

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

შდრ. - შეადარეთ

წ. - წელი

შესავალი

ინტერნეტის შექმნამ დააკავშირა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მყოფი ადამიანები, ამასთან, შექმნა საავტორო უფლებების დარღვევის უპრეცედენტო საფრთხე. სოციალური ქსელებისა და ინტერნეტ-ფორუმების გააქტიურებამ გაართულა საავტორო უფლებების აღსრულება და ამასთან, ზღვარი, თუ რა უნდა იყოს და არ უნდა იყოს დაცული საავტორო სამართლით, გააუფერულა. საავტორო და ზოგადად, ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ჩამოყალიბებას რამდენიმე თეორია უდევს საფუძვლად, მათი საერთო აზრი ისაა, რომ ინდივიდისა და საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია კულტურა, კულტურას კი ქმნიან ავტორები, რომელთაც საკმარისი მოტივაცია (მათ შორის, ფინანსური) უნდა ჰქონდეთ იმისთვის, რომ გააგრძელონ ნაწარმოებების შექმნა. ავტორების ინტელექტუალური შრომის დაფასება სამართლიანია და ამასთან, საერთო კეთილდღეობის ერთ-ერთი წინაპირობაა.

სავტორო უფლებების დაცვა მთელი მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა. ინტერნეტ-მეკობრეობასთან ბრძოლის საშუალებები პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: სახელმწიფოს მიერ მიღებული რეგულაციები და ინდუსტრიის მიერ ნებაყოფლობით დანერგილი პრაქტიკა. ასევე განასხვავებენ ჩარევა მეკობრეობის რომელ მხარეს ეხება: მოხმარებას თუ მიწოდებას.¹

სავტორო უფლების დაცვის სფეროში მოქმედებს არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლებიც აწესებენ საავტორო და მომიჯნავე უფლების მფლობელთა დაცვის მინიმალურ სტანდარტებს, ამასთან, მიზნად ისახავენ აღსრულების მექანიზმების დანერგვასა და ამ მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობას.

საერთაშორისო ხელშეკრულებათა იმპლემენტაციისთვის აშშ-სა და ევროკავშირში არაერთი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა. დაცვის გამკაცრებას ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგალითად, “EFF”, რომელიც იკვლევს საავტორო უფლებების დაცვისთვის მიღებული

¹ *Danaher B., Smith M. D., Telang R., Piracy and Copyright Enforcement Mechanisms, University of Chicago Press, Innovation Policy and the Economy, Vol. 14, 2013, 50.*

კანონმდებლობის აღსრულებას და მიუთითებს, რომ ხშირ შემთხვევაში, ნორმები არამიზნობრივად გამოიყენება.²

კიდევ ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, “Creative Commons”, შექმნილია იმისთვის, რომ ავტორებმა მათზე მორგებული ლიცენზიებით თავიანთი ნაწარმოებები თავისუფლად გაავრცელონ და მთელი მსოფლიოსთვის გახადონ ხელმისაწვდომი.³ პარალელურად, ორგანიზაციათა მეორე ნაწილი კონტროლის გამკაცრებისთვის იბრძვის.

საავტორო უფლებების დაცვა პრობლემურია ქართულ ინტერნეტსივრცეშიც. ინტერნეტ-მეკობრეობის შესახებ ერთ-ერთი საერთაშორისო კვლევის თანახმად, 2011 წელს მეკობრული კომპიუტერული პროგრამების გამოყენების მიხედვით, საქართველო 91%-ით „ლიდერობდა“,⁴ 2015 წლის ანგარიშში ანალოგიური მაჩვენებელი 90%-ს შეადგენდა.⁵ მეტიც, წლების განმავლობაში სახელმწიფო სტრუქტურებიც არალიცენზირებულ პროდუქციას იყენებდნენ და მხოლოდ 2014 წელს დაიწყეს მოლაპარაკებები “Microsoft”-ის წარმომადგენლებთან.⁶

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში,⁷ საქართველომ ვალდებულია აიღოს, რომ ინტელექტუალური საკუთრების სფეროს მოაწესრიგებს. საავტორო უფლებების მქონე პირთა დასაცავად გარკვეული ცვლილებები შევიდა კანონმდებლობაში, ამასთან, იგეგმება კიდევ ერთი კანონის მიღება, რომელიც საავტორო უფლებების დაცვას გაამარტივებს. მეორე მხრივ, ინიციატივას ჰყავს მონინალმდეგეებიც.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი იკვლევს ინტერნეტსივრცეში საავტორო უფლებების დარღვევისა და მასთან ბრძოლის საშუალებებს. ნაშრომის

² Unintended Consequences: Sixteen Years under the DMCA, EFF, September 2014, <<https://www.eff.org/files/2014/09/16/unintendedconsequences2014.pdf>>.

³ <<https://creativecommons.org/about/>> [14.07.2019].

⁴ <https://globalstudy.bsa.org/2011/downloads/study_pdf/2011_BSA_Piracy_Study-InBrief.pdf> [14.07.2019].

⁵ <https://globalstudy.bsa.org/2013/Malware/study_malware_en.pdf> [14.07.2019].

⁶ საქართველოს მთავრობა კომპანია Microsoft-თან მოლაპარაკებებს იწყებს, 19.08.2014, იხ. <http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=198&info_id=44045>, [14.07.2019]. საინტერესოა, რომ უკვე 2017 წელს “Microsoft”-ის ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქართველო ლიდერია რეგიონში ლიცენზირებული პროგრამების მოხმარებისა და ინოვაციების კუთხით.

შეხვედრა Microsoft-ის ვიცე-პრეზიდენტთან, იხ.

< http://gov.ge/index.php?lang_id=-&sec_id=462&info_id=59333 > [19.01.2017], [14.07.2019].

⁷ <<http://www.dcfra.gov.ge/ge/agreement>> [14.07.2019].

მიზნებისთვის, საავტორო უფლების მფლობელში მოიაზრება მომიჯნავე უფლების მფლობელი და მონაცემთა ბაზის დამამზადებელი პირებიც, რადგან დაცული ნაწარმოების უნებართვოდ გამოყენებით შეიძლება, მათი უფლებებიც დაიღვეს.

რაც შეეხება გამოყენებას, იგულისხმება დაცული ნაწარმოების ინტერნეტსივრცეში განთავსება, რეპროდუცირება, საჯარო შესრულება, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, განურჩევლად კომერციული თუ არაკომერციული მიზნებისა.

ნაშრომში განხილული იქნება აშშ-ს, ევროკავშირისა და საქართველოს ძირითადი კანონმდებლობა საავტორო უფლების დაცვის საკითხში, ასევე, საერთაშორისო ხელშეკრულებები და სასამართლო პრაქტიკა. ყურადღება დაეთმობა დაცული ნაწარმოების გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ გამონაკლისებს, ასევე, რამდენად ხელმისაწვდომია პრივილეგიებით სარგებლობა ბენეფიციარებისთვის.

ნაშრომის მიზანია აშშ-ში, ევროკავშირისა და საქართველოში საავტორო უფლების მფლობელისთვის მინიჭებული დაცვის საშუალებების, მათი ეფექტიანობის განხილვა. გამოყოფილი იქნება პასუხისმგებლობის სახეები.

ნაშრომის მიზნად ისახავს ინტერნეტის განვითარებასთან ერთად სხვადასხვა ეტაპზე გამოჩენილი იმ ტექნოლოგიური საშუალებების განხილვას, რომლებიც მასობრივად გამოიყენებოდა/გამოიყენება საავტორო უფლებების დასარღვევად. ყურადღება იქნება გამახვილებული მომსახურების მიმწოდებლების პასუხისმგებლობის საფუძვლებზე. შეფასდება, რას ემყარება ეს პასუხისმგებლობა და გამკაცრებული რეგულაციები რა საფრთხის წინაშე აყენებთ აღნიშულ პირებს.

მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობის საკითხი აქტუალური ხდება ქართულ სამართალში. ნაშრომის მიზანია იმის შეფასება, რამდენად შედეგისმომტანია ინტერნეტსივრცეში საავტორო უფლებების დარღვევის წინაარმდეგ ბრძოლა და ხომ არ ზარალდება ამ დროს საზოგადოებრივი ინტერესები.

ნაშრომი დაყოფილია 3 თავად. ნაშრომის პირველ თავში აღწერილი იქნება აშშ-ს კანონმდებლობა საავტორო სამართალთან მიმართებით, სასამართლო გადაწყვეტილებები და წლების განმავლობაში პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის დადგენილი პრაქტიკა. განხილული იქნება თავად ციფრულ ეპოქაში უფლების უკეთ მართვისთვის გამოყენებული ტექნოლოგია და მისი

გვერდის ავლისთვის დაწესებული სანქციები. ასევე, „პარალელური საავტორო“ სამართლის უარყოფითი მხარეები. ყურადღება იქნება გამახვილებული მომსახურების მიმწოდებლების მიერ ნებაყოფლობით განხორციელებულ ცვლილებებზე.

მეორე თავი ევროკავშირს დაეთმობა, განხილული იქნება საავტორო სამართლისთვის მნიშვნელოვანი დირექტივები.

მესამე თავში აღწერილი იქნება აშშ-სა და ევროკავშირში სასამართლო წესით უფლების დაცვის საშუალებები და „მეკობრული კონტენტის“ წინააღმდეგ ბრძოლის ალტერნატიული მეთოდები.

მეოთხე თავში აღწერილი იქნება საქართველოში საავტორო უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა, საკანონმდებლო რეგულაციები, საავტორო სამართლის სფეროში მოქმედი ორგანიზაციები. ასევე შეფასებული იქნება ევროკავშირთან ასოცირების შედეგად აღებული ვალდებულებები ინტერნეტსივრცეთან მიმართებით.

ნაშრომში აქცენტი კეთდება ავტორის ქონებრივ უფლებებზე. ცალკე არაა განხილული, რა შემთხვევაში რომელიმე უფლება ირღვევა. ნაშრომში გამოყენებულია შედარებითი, ანალიტიკური, ემპირიული, ნომოთეტური კვლევის მეთოდები.

თავი 1. აშშ-ს საავტორო სამართალი

შემოქმედებითი საქმიანობა, კონკრეტულად, ლიტერატურის, სახვითი ხელოვნებისა თუ თეატრის სახით, კაცობრიობის განვითარებასთან ერთად არსებობდა. ინგლისში ბეჭდური პრესა 1476 წელს გამოჩნდა და ინფორმაციის მასობრივად გავრცელება გაადვილდა.⁸ 1710 წელს ინგლისში მიღებული დედოფალი ანას სტატუტი იყო ანგლო-ამერიკულ სამართალში პირველი დოკუმენტი, რომელიც იცავდა სალიტერატურო ნაწარმოების ავტორების უფლებებს.⁹ აშშ-ს კონსტიტუციის 1-ლი მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით,

⁸ *T. Tavani T. H., Recent Copyright Protection Schemes: Implications for Sharing Digital Information, Intellectual Property Rights in a Networked World: theory and practice, 2005, 183.*

⁹ იქვე.

კონგრესის ერთ-ერთი მოვალეობაა მეცნიერებისა და გამოყენებითი ხელოვნების განვითარება, რაც მიიღწევა ავტორებისა და გამომგონებლებისთვის შესაბამისი უფლებების მინიჭებით.¹⁰ 1790 წელს აშშ-ში მიიღეს საავტორო სამართლის შესახებ პირველი კანონი.¹¹ კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გაფართოვდა მოქმედების სფერო და ვადები. დღეს მოქმედია 1976 წელს მიღებული კანონი, რომელშიც ორი ყველაზე მნიშვნელოვანი და საკამათო ცვლილებაა შესული: Copyright Term Extension Act (CTEA) - ახანგრძლივებს საავტორო სამართლით დაცვის ვადებს და Digital Millennium Copyright Act (DMCA).¹² ეს უკანასკნელი ახდენს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) ორი შეთანხმების იმპლემენტირებას: WIPO Copyright Treaty და WIPO Performances and Phonograms Treaty.¹³

კანონის 106-ე ნაწილი საავტორო უფლებების მფლობელის ქონებრივი უფლებების ჩამონათვალს შეიცავს.¹⁴ ამ უფლებებს შორისაა რეპროდუქცირება, გადამუშავება, გავრცელება, საჯაროდ ჩვენებისა თუ შესრულების უფლებები. 106(a) პარაგრაფი კი იცავს ავტორის არაქონებრივ უფლებებს,¹⁵ რომლებიც ე.წ. „მორალური უფლებების“ სახელითაა ცნობილი და ანგლო-ამერიკულ სამართლებრივ სისტემაში ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე კონტინენტური ევროპის სამართალში. ონლაინ სივრცეში სხვადასხვა ფორმით თითოეული მათგანის დარღვევაა შესაძლებელი, თანაც გაცილებით უფრო მარტივად და სწრაფად, დამრღვევის მიერ საკუთარი ქმედების უკანონობის გაცნობიერების გარეშე.

აშშ-ს კოდექსის მე-17 თავი (Title 17), რომელიც საავტორო სამართალს აწესრიგებს, ადგენს პასუხისმგებლობას აღნიშნული უფლებების დარღვევისათვის. §501(a) განმარტავს, რომ პირი, რომელიც ხელყოფს საავტორო უფლების მფლობელის ექსკლუზიურ უფლებას ან/და უშუალოდ ავტორის არაქონებრივ

¹⁰ იქვე, 184.

¹¹ იქვე.

¹² იქვე.

¹³ THE DIGITAL MILLENNIUM COPYRIGHT ACT OF 1998 U.S. Copyright Office Summary, 1998, 1, *ib.* < <https://www.copyright.gov/legislation/dmca.pdf> > [10.07.2019].

¹⁴ 17 U.S. Code Title 17—COPYRIGHTS, ხელმისაწვდომია: <<https://www.law.cornell.edu/uscode/text/17>> [28.06.2019].

¹⁵ 17 U.S. Code Title 17—COPYRIGHTS, ხელმისაწვდომია: <<https://www.law.cornell.edu/uscode/text/17/106A>> [28.06.2019].

უფლებას, არღვევს საავტორო უფლებებს.¹⁶ დამრღვევში კი შეიძლება, რომ იგულისხმებოდეს ნებისმიერი პირი, მათ შორის, სახელმწიფო.

1.1. მომსახურების მიმწოდებელთა პასუხისმგებლობა

იქამდეც, სანამ ინტერნეტ-ერა საავტორო სამართალს მრავალი გამონწვევის წინაშე დააყენებდა, ტექნოლოგიური პროგრესი აშშ-ს სასამართლოებს აიძულებდა, რომ არსებული საკანონმდებლო ბაზა განემართათ და შეექმნათ ახალი პრეცედენტები, რომლებიც ხელს არ შეუშლიდნენ განვითარებას, ამავდროულად კი დაიცავდნენ საავტორო უფლებების მფლობელთა ინტერესებს.

1.1.1. „ბეტამაქსის“ საქმე¹⁷

კომპანია „სონი“ 70-იან წლებში შექმნა ტექნოლოგია, რომლის მეშვეობითაც მომხმარებლებს შეეძლოთ გადაცემის ჩანერა და სასურველ დროს ყურება. ტექნოლოგია ჩანანერის გადახვევის საშუალებასაც იძლეოდა. უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა აზრი ორად გაიყო, საბოლოოდ კი 5 მომხრე 4 მოწინააღმდეგით დადგინდა, რომ „სონის“ არ დაურღვევია საავტორო უფლებები. მოსარჩლეები მიუთითებდნენ, რომ „სონი“ თავისი ტექნოლოგიით მომხმარებლებს საავტორო უფლებების დარღვევაში ეხმარებოდა, რაც მეორეული პასუხისმგებლობის¹⁸ დაკისრების წინაპირობაა. მეორეულ პასუხისმგებლობაზე ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი, ამ გადანწყვეტილებამ კი ორი პრინციპი დაამკვიდრა: 1. „გადახვევის“ (time-shifting) ფუნქცია კეთილსინდისიერი გამოყენების პრინციპით¹⁹ არის დაცული. 2. ტექნოლოგია შეიძლება გამოიყენებოდეს მომხმარებლების მხრიდან არაკანონიერი, გაუთვალისწინებელი მიზნებისთვისაც, მაგრამ ეს არაა საკმარისი მწარმოებლის პასუხისმგებლობისთვის. ტექნოლოგიას უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანწილად

¹⁶ 17 U.S. Code Title 17—COPYRIGHTS, ხელმისაწვდომია: <https://www.law.cornell.edu/uscode/text/17/501> [28.06.2019].

¹⁷ Sony Corp. v. Universal City Studios, 464 U.S. 417 (1984).

¹⁸ Secondary liability. ამ დროს პასუხს აგებს არა უშუალოდ დამრღვევი, არამედ სხვა პირი.

¹⁹ აღნიშნული პრინციპი, რომელიც საერთო სამართალმა შეიმუშავა და შემდგომში საკანონმდებლო დონეზე იცნო, აღგენს იმ საგამონაკლისო შემთხვევებს, როდესაც საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების გამოყენება დასაშვებია საავტორო უფლების მფლობელის/ავტორის ნებართვის გარეშე, მისთვის კომპენსაციის გადაუხდელოდ (“fair use”)

კანონიერი, ლეგიტიმური მიზნებისთვის გამოყენების შესაძლებლობა.²⁰ ყურადღება მახვილდება სიტყვაზე „შესაძლებლობა“, რაც გაცილებით უფრო დაბალი მოთხოვნაა ვიდრე ის, რომ ნივთი მართლაც კანონიერი მიზნისთვის გამოიყენონ.

1.1.2. პასუხისმგებლობის შეზღუდვა “DMCA”-ს მიხედვით - “Safe Harbours”²¹

DMCA დაყოფილია 5 ნაწილად, რომელთაგან მეორეა „Online Copyright Infringement Liability Limitation Act” და განსაზღვრავს სერვის პროვაიდერების პასუხისმგებლობის შეზღუდვის პირობებს.²² დოკუმენტში ე.წ. “Safe harbors” მოცემულია სერვის პროვაიდერების ორ სახისთვის: 1) ინტერნეტ სერვის პროვაიდერი - internet service provider (ISP) და 2) ონლაინ სერვის პროვაიდერი (online service provider (OSP)). 512-ე ნაწილი აწესრიგებს თუ რომელს ქმედებებს ეხება პასუხისმგებლობის შეზღუდვა და დეტალურად გვთავაზობს შეღავათით სარგებლობისთვის აუცილებელ პირობებს. ეს ქმედებებია: 1. დროებითი კავშირი; 2. სისტემის ქეშირება; 3. მომხმარებლების მხრიდან ინფორმაციის შენახვა სისტემებში ან ქსელებში; 4. ინფორმაციის ლოკაციის საშუალება.²³ სერვის პროვაიდერის აღნიშნული აქტის დაცვის სფეროში ვერმოხვედა, გავლენას არ მოახდენს მისთვის კანონით მინიჭებულ დაცვის საშუალებებსა და შესაგებლებზე.²⁴

512(a) ნაწილი პასუხისმგებლობას ზღუდავს, როდესაც სერვის პროვაიდერი მხოლოდ და მხოლოდ გამტარის როლს ასრულებს, სხვისი მოთხოვნის შესაბამისად, ინფორმაცია ქსელის ერთი წერტილიდან მეორე წერტილში გადააქვს.²⁵ შეზღუდვა მოიცავს გადაცემას (დაკავშირებას), მარშრუტირებას, ინფორმაციასთან კავშირის დამყარებასა და ქსელის მიერ ამ პროცესში დროებითი ასლების შექმნას. მასალა სრული სიზუსტით, ცვლილებების გარეშე უნდა გადაიყვანოს, სერვის პროვაიდერი კი არ უნდა ირჩევდეს მიმღებს.²⁶

512(b) ნაწილი ქეშირებას ეხება. ქეშირების დროს სერვის პროვაიდერი განსაზღვრული დროით ინახავს იმ მასალის ასლს, რომელიც სხვა პირმა

²⁰ “Capable of substantial noninfringing uses”, Sony Corp. v. Universal City Studios, 464 U.S. 417 (1984).

²¹ პირდაპირი თარგმანით ნიშნავს „უსაფრთხო ნავსაყუდელს“. იგულისხმება პასუხისმგებლობისგან დაცვა.

²² THE DIGITAL MILLENNIUM COPYRIGHT ACT OF 1998 U.S. Copyright Office Summary, 1998. 1.

²³ Digital Millenium Copyright Act 1998, U.S. copyright Office Summary, 8.

²⁴ Digital Millenium Copyright Act 1998, §512 (l).

²⁵ Digital Millenium Copyright Act 1998, U.S. copyright Office Summary, 10.

²⁶ იქვე.

განათავსა ინტერნეტში. შემდგომში, მოთხოვნის შესაბამისად, ასლი მიეწოდება მომხმარებელს.²⁷ აღნიშნული პრაქტიკა ზოგავს მხარეთა დროს და ამცირებს სერვის პროვაიდერის საჭიროებას ქსელის გამტარუნარიანობაზე. მეორე მხრივ, არსებობს საფრთხე, რომ მომხმარებელი ვერ მიიღებს უახლესს, უფრო ზუსტ მასალას. სწორედ ამიტომაც შეზღუდული კონკრეტული ასლის მოქმედების ვადა.²⁸ სერვის პროვაიდერი ამ შემთხვევაშიც ავტომატურად მოქმედებს და არ ცვლის მასალას, ამავე დროს, არ აუქმებს მასალის განმთავსებლის მიერ მასალის დაცვისთვის მიღებულ ზომებს (მაგალითად, დაშვებისთვის აუცილებელი პაროლი).²⁹ სპეციალური პროცედურა არსებობს იმ მასალის აღმოჩენისა და დაბლოკვისთვის, რომელიც მასალაც არღვევს საავტორო უფლებას.

512(c) აწესრიგებს სისტემებსა თუ ქსელებში მომხმარებლის მხარეს განთავსებულ ინფორმაციას. ეს ძირითადად შეეხება ვებსაიტებს. სერვის პროვაიდერს შეიძლება ჰქონდეს აღნიშნულის კონტროლის მექანიზმები, მაგრამ მაინც შეზღუდოს პასუხისმგებლობა, თუკი: 1) არ აქვს ფაქტობრივი ცოდნა, რომ სისტემაში/ქსელში არსებული მასალა/აქტივობა არღვევს საავტორო უფლებებს, ამასთან, არ იცნობს ისეთ გარემოებას ან ფაქტს, რომლითაც დარღვევა აშკარაა. თუ შემდგომში გაიგებს დარღვევის შესახებ სასწრაფოდ დაბლოკავს მასალას ან შეზღუდავს მასზე წვდომას. 2) კიდევ ერთი პირობაა, რომ თუ სერვის პროვაიდერს აქვს დამრღვევი ქმედებების გაკონტროლების უფლება და შესაძლებლობა, ამ ქმედებებიდან ის პირდაპირ შემოსავალს არ უნდა იღებდეს. სერვის პროვაიდერი ვალდებულია, რომ დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე დაუყონებლივ იმოქმედოს და მითითებულ მასალაზე წვდომა შეზღუდოს.

512(c)(2) და 512(c)(3) ითვალისწინებს სერვის პროვაიდერების პასუხისმგებლობის შეზღუდვის კიდევ ერთ პირობას: მათ უნდა დანიშნონ სპეციალური პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საჩივრების მიღებასა და მათზე ეფექტიან რეაგირებაზე. კანონი პირდაპირ მოითხოვს, რომ სერვის პროვაიდერმა დანიშნული პირის საკონტაქტო ინფორმაცია თავის ვებსაიტზე გამოაქვეყნოს, ამასთან, იგივე ინფორმაცია Copyright Office³⁰-საც მიანდლოს. Copyright Office აღნიშნულ მონაცემებს ცენტრალიზებულ ცნობარში ინახავს და

²⁷ იქვე.

²⁸ იქვე.

²⁹ იქვე, 11.

³⁰ <<https://www.copyright.gov/>> [4.07.2019].

ონლაინ რეჟიმში ხდის ხელმისაწვდომს.³¹ 2016 წლიდან რეგისტრაციის სისტემა მთლიანად ელექტრონული გახდა.³²

1.1.2.1. “Notice and Takedown”

“Notice and Takedown” ვებსაიტებისთვის უკვე კარგად ნაცნობი პროცედურაა. კანონი ცდილობს, რომ პროცესში ჩართული მხარეების ინტერესები დააბალანსოს. 512(g)(1) იმ პირს, რომელმაც განათავსა დაბლოკილი/ამოღებული მასალა, თავდაცვითი შეტყობინების გაგზავნის უფლებას აძლევს. მასალის დაბლოკვისთანავე სერვის პროვაიდერი ატყობინებს ადრესატს ამის შესახებ და ამ უკანასკნელს მოქმედების შესაძლებლობა ეძლევა. როგორც მომჩივნის, ასევე მოპასუხის განცხადება გარკვეულ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს,³³ რათა მხარეებმა გააცნობიერონ არაკეთილსინდისიერი განცხადების წარდგენის შედეგები. საპასუხო შეტყობინების გაგზავნას მხარე განსაკუთრებით ფრთხილად უნდა მოეკიდოს, როდესაც მისი თავდაცვითი პოზიცია ემყარება “კეთილსინდისიერი გამოყენების თეორიას,”³⁴ რადგან ამ უკანასკნელის მოქმედების ფარგლებს კანონი ზუსტად არ განსაზღვრავს და მისი განმარტება პრეცედენტებითა და ზოგადი პრინციპებით ხდება. თუ საპასუხო შეტყობინების მიღების შემდეგ მომჩივანი სასამართლოს არ მიმართავს, სერვის პროვაიდერი ვალდებულია, რომ 10-14 დღის ვადაში აღადგინოს წაშლილი მასალა.³⁵

(512)(d) თავისი განმარტებითა და პასუხისმგებლობის შეზღუდვის პირობებით ჰგავს წინა ნაწილს, მაგრამ ამ შემთხვევაში დაცვის ქვეშ ექცევა ინფორმაციის ლოკაციის საშუალებები: ცნობარები, ინდექსები, მითითებები, მაჩვენებლები და ბმულები. ამ შემთხვევაშიც სერვის პროვაიდერს არ უნდა ჰქონდეს პირდაპირი ან ნაგულისხმები ცოდნა, არ უნდა ჰქონდეს პირდაპირი ფინანსური ინტერესი, დარღვევის შეტყობინებისთანავე უნდა იმოქმედოს.³⁶

³¹ <https://www.copyright.gov/dmca-directory/?fbclid=IwAR3clsEpR5d03OVCj2u4dpzdm6_LXp67nCjaJJVrQnEMDq5bqO_RMo27Wc> [4.07.2019].

³² იქვე.

³³ Digital Millennium Copyright Act 1998, U.S. copyright Office Summary, 1998, 12; <<http://www.dmlp.org/legal-guide/responding-dmca-takedown-notice-targeting-your-content>> [20.06.2019].

³⁴ “fair use” <<http://www.dmlp.org/legal-guide/responding-dmca-takedown-notice-targeting-your-content>> [20.06.2019].

³⁵ Digital Millennium Copyright Act 1998, U.S. copyright Office Summary, 1998, 12

³⁶ იქვე, 13.

1.1.3. მეორეული პასუხისმგებლობა „ბეტამაქსიდან“ “P2P” ქსელებამდე

ინტერნეტის განვითარებასთან ერთად, გაიზარდა საავტორო უფლების დარღვევის რისკებიც, რადგან თითოეულ მომხმარებელს შეეძლო, რომ მარტივად გაეზიარებინათ ერთმანეთისათვის თავიანთ კომპიუტერში არსებული მასალა. აღმოჩენა და პასუხისმგება იმ პირებისა, რომლებიც უშუალოდ არღვევენ კანონს, შეუსაბამოდ დიდ ფულადსა და დროის რესურსს მოითხოვს. ასეთ შემთხვევაში მასობრივ ქმედებებთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა მეორეული პასუხისმგებლობა.³⁷

1.1.4. „ნეპსტერის“ საქმე

Peer-to-Peer (“P2P”) ქსელები მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, რომ ცენტრალური სერვერის გვერდის ავლით, პირდაპირ იქონიონ კავშირი და გადასცენ ფაილები. ამ მიმართულებით პრეცედენტულია „ნეპსტერის“ საქმე³⁸. ნეპსტერი გახლდათ პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იყო მუსიკალური ფაილების გაზიარება სხვა მომხმარებლებთან. მას ჰქონდა ცენტრალური სერვერიც, მაგრამ სერვერის ფუნქციას ინდექსირება წარმოადგენდა, რაც აადვილებდა ძიების პროცესს. „ნეპსტერის“ ბევრი მომხმარებელი პლატფორმის მეშვეობით შესაბამისი პირის ნებართვის გარეშე აგზავნიდა საავტორო უფლებით დაცულ ფაილებს. მასშტაბებიდან გამომდინარე, საავტორო უფლების მფლობელმა რამდენიმე ხმის ჩამწერმა სტუდიამ და სხვა კომპანიებმა უჩივლეს თავად „ნეპსტერს“, მოითხოვეს აღნიშნული ქმედებების აღკვეთა და კომპენსაცია. „ნეპსტერის“ შესაგებლები ძირითადად ეფუძნებოდა „ბეტამაქსის“ პრეცედენტსა და DMCA-ის მიერ დადგენილ პასუხისმგებლობის შემზღულავ ნორმებს (§512 (d)).³⁹

³⁷ *Peguera M.*, *Converging Standards of Protection from Secondary Liability for Trademark and Copyright Infringement Online*, 37 *Colum. J.L. & Arts* 609 (2014), 609.

³⁸ *A&M Records, Inc. v. Napster*, (2001), ამერიკის შეერთებული შტატების მეცხრე ფედერალური ოლქის სააპელაციო სასამართლო, 239 F. 3d 1004

³⁹ *Richard A. Spinello A. R., Tavani T.H.*, *Intellectual Property Rights: From Theory to Practical Implementation*, *Intellectual Property Rights in a Networked World : theory and practice*, 2005, 42.

1.1.4.1. მეორეული პასუხისმგებლობის სახეები

ამერიკული სამართალი, ქართულის მსგავსად, ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სხვა პირის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის.⁴⁰ საავტორო სამართალში აშშ-ს სასამართლო პრაქტიკა მეორეული პასუხისმგებლობის ორ ძირითად ფორმას ცნობს: 1. დარღვევის ხელშეწყობისთვის;⁴¹ 2. არაპირდაპირი, ირიბი დარღვევისთვის პასუხისმგებლობა.⁴² პირველი მათგანის მიხედვით პასუხისმგებლობის დადგენისას ვითვალისწინებთ შემდეგ ფაქტორებს:⁴³ 1. სახეზე უნდა იყოს პირდაპირი დარღვევა/დამრღვევი; 2. მოპასუხე (არაპირდაპირი დამრღვევი) ინფორმირებული უნდა იყოს დარღვევის შესახებ⁴⁴; 3. მოპასუხე არსებითად უნდა დაეხმაროს უშუალო დამრღვევს. ირიბი პასუხისმგებლობა დგება 3 ფაქტორის გათვალისწინებით:⁴⁵ 1. პირდაპირი დაღვევა; 2. მოპასუხეს უნდა ჰქონდეს ფინანსური ინტერესი, შესაბამისი ქმედებიდან უნდა იღებდეს სარგებელს; 3. უნდა ჰქონდეს უშუალო დამრღვევის ქმედებებზე ზედამხედველობის უფლება და შესაძლებლობა.

მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, მეორეული პასუხისმგებლობა საავტორო სამართლის ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენდა. კერძოდ, მეორეული პროდუქციით ვაჭრობისთვის განკუთვნილ ადგილებში⁴⁶ საავტორო უფლებით დაცული ჩანაწერების უკანონოდ

⁴⁰ მაგ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლი გარკვეულ შემთხვევაში დასაქმებულის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის დამსაქმებელს აკისრებს პასუხისმგებლობას.

⁴¹ „contributory infringement“. ზუსტი ქართული შესატყვისი არ არსებობს, შემოთავაზებული ტერმინი კი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სხვა პირის პასუხისმგებლობა სწორედ დახმარების გამო დგება.

⁴² „vicarious liability“. იურიდიული ლექსიკონი <http://gil.mylaw.ge> მას თარგმნის სუბსიდიურ პასუხისმგებლობად, რადგან ერთი პირის ქმედებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება სხვა პირს მათ შორის არსებული სპეციფიკური ურთიერთობიდან გამომდინარე, მაგალითად კი მოხმობილია მშობლის პასუხისმგებლობა არასრულწლოვანი შვილის ქმედებისთვის, ასევე შრომითი ურთიერთობა. საავტორო სამართლის კონტექსტში აღნიშნული ტერმინი არ გამოგვადგება, რადგან სხვა არაპირდაპირი პასუხისმგებლობა უშუალო დამრღვევის პასუხისმგებლობას არ ანაცვლებს ან ავსებს. იხ. <<http://gil.mylaw.ge/ka/term/33769.html>> [28.06.2019].

⁴³ Fisher W., CopyrightX lecture 11, Supplements to Copyright, Selected Illustrations, იხ. <https://cyber.harvard.edu/people/ffisher/cx/CopyrightX_Lecture11_Illustrations.pdf> [28.06.2019].

⁴⁴ იგულისხმება როგორც ფაქტობრივი ცოდნა, ასევე ისიც, როცა პირს გონივრულად უნდა ევარაუდა შესაბამისი ფაქტის შესახებ.

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ “flea market”.

გავრცელების ბიზნესი აყვავდა.⁴⁷ პოლიციის რეიდების მიუხედავად, დარღვევათა მასშტაბებიდან გამომდინარე, ცალკეული მყიდველებისა თუ გამყიდველების წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელი გახლდათ, ამიტომაც დადგა ბაზრობის ორგანიზატორთა პასუხისმგებლობის საკითხი. აღნიშნულმა პირებმა მოაწყვეს სივრცე მყიდველებისა და გამყიდველებისთვის, ბრალეულობა კი იმაში მდგომარეობდა, რომ ფულად სარგებელს იღებდნენ ამ უკანასკნელთა უკანონო ქმედებებით, არაფერს აკეთებდნენ საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების არალიცენზირებული გავრცელების აღსაკვეთად.⁴⁸ ციფრულ ეპოქაში „მეკობრეობამ“ ინტერნეტში გადაინაცვლა და მეორეული პასუხისმგებლობაც გარდაიქმნა.

„ნეპსტერის“ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლომ მეორეული პასუხისმგებლობის ორივე ფორმაზე იმსჯელა და ორივე დოქტრინის მიხედვით დაადგინა მოპასუხის პასუხისმგებლობა. მე-9 ოლქის სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა ქვედა ინსტანციას. სასამართლოს მსჯელობა საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ მოსამართლეები „ბეტამაქსის“ პრეცედენტით იყვნენ შებლუდულები. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხემ იცოდა კონკრეტული დარღვევების შესახებ, მაგრამ არაფერი მოიმოქმედა უკანონო ქმედებების აღსაკვეთად.⁴⁹ დადგინდა ბოლო ელემენტიც: არსებითი დახმარება, რაც მდგომარეობდა უშუალო დამრღვევებისთვის სერვისის მიწოდებაში. „ნეპსტერმა“ შექმნა პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც მომხმარებლები არალიცენზირებულად ერთმანეთს უზიარებდნენ ფაილებს, მათ შორის, საავტორო უფლებებით დაცულ ნაწარმოებებს. რაც შეეხება ირიბ პასუხისმგებლობას, სააპელაციო სასამართლომ აქაც გაიზიარა წინა ინსტანციის დასკვნა იმის თაობაზე, რომ „ნეპსტერი“ სარგებელს იღებდა უშუალო დამრღვევების ქმედებიდან. პლატფორმის შემოსავალი და განვითარება პირდაპირ იყო დამოკიდებული მომხმარებელთა რაოდენობაზე, მეტი მომხმარებელი ფაილების უფრო მრავალფეროვან არჩევანს უდრიდა. ამასთან, „ნეპსტერს“ ჰქონდა უფლებამოსილება და შესაძლებლობა თავის სისტემაში მიმდინარე პროცესების კონტროლისა. მოპასუხის დისკრეციაში შედიოდა ის, რომ

⁴⁷ *Lichtman D., and Landes W.*, “Indirect Liability for Copyright Infringement: An Economic Perspective”, *Harvard Journal of Law & Technology*, Volume 16, Number 2, Spring 2003, 396.

⁴⁸ იქვე

⁴⁹ *A&M Records, Inc. v. Napster*, (2001), ამერიკის შეერთებული შტატების მეცხრე ფედერალური ოლქის სააპელაციო სასამართლო, 239 F. 3d 1004, პარ. 60-62

თუნდაც დაუსაბუთებლად დაებლოკა ნებისმიერი მომხმარებლის ანგარიში და უარი ეთქვა წვდომაზე. სააპელაციო სასამართლომ შეარბილა მსჯელობა და მოპასუხეების მიერ სისტემის გაკონტროლების უფლება/შესაძლებლობა პლატფორმის აგებულების შესაბამისად განმარტა. იმ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული ფაილების შემადგენლობის ამოცნობის სისტემა⁵⁰. „ნეპსტერი“ ამონმებდა ფაილის ფორმატსა და სახელწოდებას, ეს უკანასკნელი კი შეიძლება არ ყოფილიყო რეალური, რადგან ფაილს სახელს მომხმარებელი არქმევდა. მეორე მხრივ, ძიების ფუნქცია და მთლიანად სისტემა აზრს დაკარგავდა თუ სახელები იმდენად დამახინჯდებოდა (საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების „შენიღვის“ მიზნით) რომ სხვა მომხმარებელი ვერ იპოვიდა სასურველ ფაილს. „ნეპსტერმა“ ეს სტანდარტიც ვერ დააკმაყოფილა, რადგან ის არ ცდილობდა დარღვევების აღმოჩენას და მათზე რეაგირებას, მეორე მხრივ, კი დარღვევების მიმართ ფინანსური ინტერესი გააჩნდა.

„ნეპსტერის“ სისტემიდან შესაძლებელი გახლდათ ფაილის გადმონერა. მოპასუხეთა მტკიცებით, აღნიშნული ქმედება კეთილსინდისიერი გამოყენების უფლებით იყო დაცული. მათი მტკიცებით, გადმონერილი ფაილი წარმოადგენდა ნიმუშს, რომლის გაცნობის შემდეგ მომხმარებელი თავად გადაწყვეტდა შეიძენდა თუ არა შესაბამისს ჩანაწერს დისკის სახით.⁵¹ სასამართლო უარყო ეს არგუმენტი, რადგან მომხმარებლისთვის მთლიანი ფაილის გადმონერა იყო შესაძლებელი, გადმონერილ ფაილთან წვდომა კი დროით არ იყო შეზღუდული.

1.1.5. „გროკსტერი“

„ნეპსტერის“ საქმემ ხელი ვერ შეუშალა მსგავსი ქსელების შექმნას. ერთ-ერთი მათგანი, „გროკსტერი“, რომელიც ასევე გახდა მუსიკის ინდუსტრიის წარმომადგენელთა საჩივრის ობიექტი. საქმემ⁵² მიაღწია უზენაესს სასამართლომდე, სადაც 3 განსხვავებული დასაბუთება დაინერა, მაგრამ სამივე მათგანი ცნობდა „გროკსტერის“ პასუხისმგებლობას.⁵³ საგულისხმოა, რომ „გროკსტერთან“ ერთად, მოპასუხეს წარმოადგენდა მასთან დაკავშირებული კომპიუტერული პროგრამა „სტრიმკასტი“ და სხვ. მათი სისტემა დიდწილად „ნეპსტერის“ მსგავსად მუშაობდა, მაგრამ დეცენტრალიზაციის მაჩვენებელი კიდევ

⁵⁰ საუბარია ისეთ ტექნოლოგიაზე, როგორცაა „იუთუბის“ “Content ID”.

⁵¹ *Spinello A. R., Tavani T.H.*, Intellectual Property Rights: From Theory to Practical Implementation, Intellectual Property Rights in a Networked World : theory and practice, 2005, 42.

⁵² *Metro-Goldwyn-Mayer Studios INC. v. Grokster, LTD*, 545 U.S. (2005) .

⁵³ *Metro-Goldwyn-Mayer Studios INC. v. Grokster, LTD*, 545 U.S. (2005), პარ. 71-72.

უფრო მაღალი გახლდათ და სიტემის შემქმნელებმა ისიც კი არ იცოდნენ, როდის და რომელ ფაილს იწერდნენ მომხმარებლები. კვლევის თანახმად კი „გროკსტერის“ მიერ ხელმისაწვდომი ფაილების 90% საავტორო უფლებებით იყო დაცული.⁵⁴ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ მოპასუხეები არა მხოლოდ ინფორმირებულნი იყვნენ საავტორო უფლებების დარღვევის თაობაზე, არამედ მთელი მათი ბიზნესმოდელი და სტრატეგია მას ეფუძნებოდა. კერძოდ, დადასტურდა რომ მოპასუხეები „ნეჰსტერის“ სისტემის ყოფილ მომხმარებლებთან არეკლამებდნენ თავიანთ პროდუქტს, ასევე პოპულარიზაციას უწევდნენ სისტემის უკანონო მიზნებით გამოყენებას.⁵⁵ საინტერესოა, რომ სასამართლომ მოპასუხეთა პასუხისმგებლობა წახალისების⁵⁶ თეორიის მიხედვით განიხილა და დაასკვნა, როცა პირი ავრცელებს მონეობილობას, მხარს უჭერს მისი უკანონო მიზნებისთვის გამოყენებას, რაც დასტურდება გამოხატვითა თუ პირის მიერ გადადგმული ნაბიჯებით, პასუხისმგებელია სხვების მიერ ჩადენილი დარღვევებისთვის.⁵⁷

“P2P” სისტემების პასუხისმგებლობა აშშ-ს სასამართლოებმა სხვა შემთხვევებშიც იმსჯელეს.⁵⁸ ყურადღება ექცეოდა მოპასუხეთა ქცევას, რამდენად შეეძლოთ არსებული ტექნოლოგიების ფონზე, დარღვევებზე რეაგირება, რა ნაბიჯები გადადგეს საავტორო უფლებების დასაცავად. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ „ბეტამაქსის“ პრეცედენტი მოდიფიცირებული სახით ინტერნეტსივრცისთვისაც კვლავ რელევანტურია.

1.1.6. „იუთუბი“

„DMCA“-ის მიერ მომსახურების მიმწოდებლებისთვის შეღავათების დადგენამ, ინტერნეტის განვითარებამ და ხელმისაწვდომობის ზრდამ წახალისა მომხმარებლების შემოქმედებითობა. შედეგად, განვითარდა ისეთი ონლაინ

⁵⁴ იქვე, პარ. 23-25.

⁵⁵ იქვე, პარ. 61-62.

⁵⁶ „inducement theory“.

⁵⁷ Metro-Goldwyn-Mayer Studios INC. v. Grokster, LTD, 545 U.S. (2005), პარ. 18

⁵⁸ გამოსარჩევია „ნეჰსტერის“ კიდევ ერთი „მიმბაძველის“, „ეიმსტერის“ საქმე, რომელშიც სასამართლომ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა „ბეტამაქსის“ საქმეზე შემუშავებული შესაგებელი “Capable of substantial noninfringing uses” დაასკვნა, რომ მხოლოდ შესაძლებლობა არაა საკმარისი, ტექნოლოგია მნიშვნელოვანწილად უნდა გამოიყენებოდეს კანონიერი მიზნისთვის. ამასთან, დაადგინა რომ მოპასუხეს დარღვევების შესახებ ცოდნა მაშინაც გააჩნია, როცა ის სისტემას სპეციალურად ქმნის იმგვარად, რომ „ვერ დაინახოს“ უკანონო ქმედებები (“willful blindness”), Fisher W., CopyrightX lecture 11, Supplements to Copyright, Selected Illustrations, ob. <https://cyber.harvard.edu/people/tfisher/cx/CopyrightX_Lecture11_Illustrations.pdf> [28.06.2019].

პლატფორმები, რომლებიც ადამიანებს მათ მიერ შექმნილი მასალის ატვირთვისა და გამოქვეყნების საშუალებას აძლევდა. სისტემის ლეგიტიმური მიზნებით გამოყენების პარალელურად, გაიზარდა საავტორო უფლებების დარღვევის საფრთხეც. მათ შორის ყველაზე წარმატებული კომპანია, „იუთუბი“, 2005 წელს დაარსდა და მომდევნო წელს „გუგლმა“ 1,65 მილიარდ დოლარად შეისყიდა.⁵⁹ წლების განმავლობაში „იუთუბზე“ იტვირთებოდა და ხელმისაწვდომი ხდებოდა არალიცენზირებული პროდუქცია. „იუთუბს“ „ვიაკომმა“, სხვა კომპანიებთან ერთად უჩივლა, მოითხოვა ქმედების აღკვეთა და ფულადი კომპენსაცია, რადგან „იუთუბზე“ ისეთი ფაილებიც მოიძებნებოდა, რომელთა საავტორო უფლებებსაც აღნიშნული კომპანიები ფლობდნენ.⁶⁰

„იუთუბზე“ ვიდეოს განსათავსებლად საჭიროა სისტემაში დარეგისტრირება, რა დროსაც მომხმარებელი ეთანხმება საიტის გამოყენების პირობებს. ეს პირობები მოიცავენ იმასაც, რომ მომხმარებელმა საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოები შესაბამისი უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე არ უნდა ატვირთოს. „იუთუბი“ მომხმარებლის მიერ ატვირთული ვიდეოს ზუსტ ასლთან ერთად, ამზადებს ფაილის “flash” ვერსიას, რათა ფაილის ნახვა ყველა მომხმარებლისთვის გადმონერის გარეშე იყოს შესაძლებელი. მომხმარებელი აგზავნის მოთხოვნას და მისთვის სასურველ მონაცემებს უყურებს შესაბამის ვიდეოს „სტრიმინგის“⁶¹ მეშვეობით.⁶²

პირველი ინსტანციის სასამართლომ როგორც პირდაპირი, ასევე მეორეული პასუხისმგებლობის შესახებ იმსჯელა და მოპასუხეთათვის სასარგებლო გადაწყვეტილება გამოიტანა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ გააუქმა და შესაბამისი მითითებით მასვე დაუბრუნა გამოსაკვლევა.⁶³ სასამართლოს დასკვნით, “DMCA” §512(c) მოიაზრებს და იცავს „იუთუბის“ გასაჩივრებულ სამ ფუნქციას: „ფლემ“ ფორმატში გადაყვანას,

⁵⁹ *Viacom international, Inc., v. YouTube, Inc.*, (2012), ამერიკის შეერთებული შტატების მეორე ფედერალური ოლქის სააპელაციო სასამართლო, 676 F.3d 19, პარ. 21.

⁶⁰ *Viacom international, Inc., v. YouTube, Inc.*, (2012), ამერიკის შეერთებული შტატების მეორე ფედერალური ოლქის სააპელაციო სასამართლო, 676 F.3d 19.

⁶¹ „ნაკადური გადაცემა, სტრიმინგი (მონაცემების / აუდიო-ვიდეო სიგნალების ინტერნეტით უწყვეტი გადაცემის ხერხი რეალური დროის რეჟიმში).“ იხ. <<https://techdict.ge/ka/word/streaming%7Cen/>> [28.06.2019].

⁶² *Viacom international, Inc., v. YouTube, Inc.*, (2012), ამერიკის შეერთებული შტატების მეორე ფედერალური ოლქის სააპელაციო სასამართლო, 676 F.3d 19, პარ. 22-23.

⁶³ იქვე, პარ. 88-89.

სტრიმინგსა და დაკავშირებულ ვიდეოებში ჩვენებას. რაც შეეხება ლიცენზირების ან სინდიკაციის სახით ვიდეოების სხვა კომპანიებისთვის გადაცემას, აღნიშნული მეტ გამოკვლევას მოითხოვდა, უნდა გააანალიზებულიყო შესაბამისი ტრანზაქციები მომხმარებლის მხარეს თუ განხორციელდა.⁶⁴

1.1.6.1. დარღვევის აღკვეთის პროაქტიული მეთოდი - “Conternet ID”

როგორც აღინიშნა, მომსახურების მიმწოდებელს დაცვის სფეროში მოსახვედრად, კონკრეტული წესების გათვალისწინება ევალება. აღნიშნული ნორმები მომსახურების მიმწოდებელს აიძულებს, რომ ტექნოლოგიური განვითარების გათვალისწინებით, თავადაც მიიღოს გარკვეული ზომების საავტორო უფლებების დასაცავად. „იუთუბის“ საქმეში მოსარჩელები იმის დამტკიცებას ცდილობდნენ, რომ მოპასუხემ იცოდა საავტორო უფლების დარღვევის კონკრეტული შემთხვევები.⁶⁵ ჰქონდა ინფორმაცია რომ, მაგალითად, „პრემიერ ლიგის“ ვიდეოები საავტორო უფლების მქონეთა ნებართვის გარეშე იყო ატვირთული, მაგრამ არ ჩქარობდა მათ ამოღებას, რადგან ამგვარი ვიდეოები პოპულარობით სარგებლობდნენ და შემოსავალი მოჰქონდათ. კომპანია „გუგლმა“ „იუთუბის“ შექმნისა და „ვიაკომის“ სარჩელიდან მალევე კონტენტის წინასწარი ფილტრაციის გაუმჯობესებული საშუალება - “Content ID” აამოქმედა.⁶⁶ ხსენებული ტექნოლოგიის მეშვეობით საავტორო უფლების მფლობელები უკვე ატვირთული მასალის “notice-and-takedown”-ის გამოყენებით დაბლოკვის იმედად აღარ იყვნენ, უფრო მარტივად შეეძლოთ როგორც დარღვევის აღმოჩენა, ასევე რეაგირების მექანიზმის არჩევა. “Content ID”-ის მოქმედების სქემა:⁶⁷ აუდიო ან/და ვიდეო ნაწარმოების საავტორო უფლების მფლობელი⁶⁸ სისტემას აწვდის თავისი ნაწარმოების მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას (ფაილთან ერთად), რომელიც ინახება საერთო ბაზაში. სისტემა

⁶⁴ “at the direction of a user”, იქვე, პარ. 79, 89.

⁶⁵ პირდაპირსა (ფაქტობრივი) და ასევე, “red flag” ცოდნაზე. ეს უკანასკნელი უთანაბრდება ცოდნას, რადგან მოცემული გარემოებების გათვალისწინებით, სანინალმდეგო გამორიცხულია. იხ. 17 U.S. Code § 512(c)(1)(A)(ii); Viacom international, Inc., v. YouTube, Inc., (2012), ამერიკის შეერთებული შტატების მეორე ფედერალური ოლქის სააპელაციო სასამართლო, 676 F.3d 19, პარ. 35-46.

⁶⁶ *Bridy A.*, Copyright’s Digital Deputies: DMCA-Plus Enforcement by Internet Intermediaries, Forthcoming in John A. Rothchild (ed.), RESEARCH HANDBOOK ON ELECTRONIC COMMERCE LAW, Edward Elgar, 2016, 14.

⁶⁷ “How Content ID works”, იხ. <<https://support.google.com/youtube/answer/2797370>> [30.06.2019].

⁶⁸ იგულისხმება მასალის უმეტესი ნაწილის ექსკლუზიური საავტორო უფლების მფლობელი.

ქმნის და ინახავს კონტენტის ციფრულ „თითის ანაბეჭდს“. “Content ID” აღნიშნულ თითის ანაბეჭდს ადარებს „იუთუბში“ ატვირთულ ვიდეოებს და მსგავსი ფაილის (სისტემა ცალ-ცალკე ამოწმებს და ამოიცნობს მუსიკას, ვიდეოსა და მელოდიას) აღმოჩენის შემთხვევაში ატყობინებს უფლების მფლობელს. ამ უკანასკნელს რამდენიმე არჩევანი აქვს: 1. დაბლოკოს ვიდეო (დაბლოკვა შეიძლება ეხებოდეს ისევე როგორც მთლიან ვიდეოს, ასევე მხოლოდ მის ხმასაც); 2. ვიდეოს მონეტიზირება; 3. „ნახვების“ შესახებ დეტალური სტატისტიკური ინფორმაციის მიღება. ამასთან, შესაძლებელია სხვადასხვა ქვეყანაში უფლების დაცვის განსხვავებული მეთოდების გამოყენება.

2018 წელს „გუგლის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ “Content ID” ეფექტიანად იცავს საავტორო უფლებების მფლობელთა უფლებებს. 2017 წელს საჩივრების 98% სწორედ ამ სისტემის მეშვეობით განხორციელდა, “Content ID”-ს საჩივრების 90% კი მონეტიზაციით დასრულდა. 2017 წლის ოქტომბრიდან 2018 წლის მაისამდე „იუთუბმა“ მხოლოდ მუსიკის ინდუსტრიის წარმომადგენლებს სარეკლამო შემოსავლებიდან 1,8 მილიარდი აშშ დოლარი გადაუხადა.⁶⁹

“Content ID”-სა და ზოგადად, „იუთუბის“ გარშემო წლების განმავლობაში არაერთი კრიტიკული მოსაზრება დაფიქსირდა. პრობლემას ხშირად საავტორო სამართლის არასაკმარისი ცოდნა ან ბუნდოვანება ქმნის.⁷⁰ „იუთუბზე“ მრავლადაა მომხმარებლების მიერ შექმნილი ორიგინალური კონტენტი, მათ შორის, კომპიუტერული თამაშების ინსტრუქციები, პაროდები და სხვა. ხმის ჩამწერი სტუდიები მაქსიმალურად ცდილობენ, რომ დაცული ნაწარმოების რამდენიმეწამიანი მონაკვეთის გამოყენების შემთხვევაშიც დაიცვან საკუთარი საავტორო უფლებები, კონტენტის შემქმნელი იძულებულია, რომ „იუთუბის“ მოთხოვნის შესაბამისად შეცვალოს კონტენტის ნაწილი მაინც ან ვიდეოდან შემოსავალი დაკარგოს.⁷¹

⁶⁹ “YouTube: We’ve invested \$100 million in Content ID and paid over \$3 billion to rightsholders”, ხელმისაწვდომია: <<https://venturebeat.com/2018/11/07/youtube-weve-invested-100-million-in-content-id-and-paid-over-3-billion-to-rightsholders/>> [30.06.2019].

⁷⁰ “Common Copyright Myths”, იხ. <<https://support.google.com/youtube/answer/2797466>> [30.06.2019].

⁷¹ “Youtubers and Record Companies are Fighting, and Record Labels Keep Winning”, იხ. <<https://www.theverge.com/2019/5/24/18635904/copyright-youtube-creators-dmca-takedown-fair-use-music-cover>> [30.06.2019].

1.1.7. კეთილსინდისიერი გამოყენების უფლება

როგორც ზემოთ აღინიშნა, ნაწარმოების უნებართვოდ გამოყენებისას ხშირად რთულია ზღვარის გავლება თუ რომელი ქმედებები არღვევენ საავტორო უფლებებს. საავტორო სამართალი საავტორო უფლების მფლობელის/ავტორის უფლებებს ნაწილობრივ ზღუდავს მომხმარებლის სასარგებლოდ. აშშ-ს მაგალითზე ასეთ შემთხვევას გვთავაზობს ორი დოქტრინა: “first-sale doctrine” და “fair use”. პირველი მათგანის მიხედვით, ნაწარმოების პირველი გაყიდვის შედეგად თავდაპირველი მესაკუთრე (ავტორი) მასზე უფლებებს კარგავს და მყიდველს შეუძლია შენაძენის სურვილისამებრ გამოყენება. მაგალითად, წიგნის მყიდველს თავისუფლად შეუძლია წიგნის ხელახლა გაყიდვა ან განადგურება.⁷² რა თქმა უნდა, აღნიშნული პრინციპი არ გულისხმობს ნაწარმოების ფოტოასლების გაკეთებასა და გაყიდვას. “first-sale doctrine” პრობლემურია ციფრულ ეპოქაში. ამერიკულმა სასამართლომ პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში⁷³ დაასკვნა, რომ ინტერნეტში ნაყიდი კომპიუტერული პროგრამა (მისი ასლი), შეიძლება, რომ მყიდველის საკუთრებად არ ჩაითვალოს. უნდა განიმარტოს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება. თუ ეს უკანასკნელი საგრძნობლად ზღუდავს შემძენის უფლებებს, შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს დროებით ლიცენზიასთან და არა - ნასყიდობასთან. ამ შემთხვევაში შემძენს შეეზღუდება პროგრამის გასხვისება.

აშშ-ს საავტორო უფლებების აქტის 107-ე პარაგრაფი⁷⁴ აწესებს რომ ავტორის/საავტორო უფლების მფლობელის უფლებები შეიძლება შეზღუდოს და პირს მიეცეს დაცული ნაწარმოების კრიტიკის, კომენტარების, სწავლების, კვლევისა თუ სხვა მიზნით გამოყენების უფლება. სია ამომწურავი არაა, სამაგიეროდ კანონმდებელი ითვალისწინებს 4 ფაქტორს, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კეთილსინდისიერი გამოყენების უფლების

⁷² *Spinello A. R., Tavani T.H., Intellectual Property Rights: From Theory to Practical Implementation, Intellectual Property Rights in a Networked World : theory and practice, 2005, 23-24; Buchanan E., Campbell J., The Loss of the Information Commons through Law and Technology in the US, Intellectual Property Rights: From Theory to Practical Implementation, Intellectual Property Rights in a Networked World : theory and practice, 2005 230-231.*

⁷³ *Vernon v. Autodesk, Fisher W., CopyrightX lecture 8, Rights of Distribution and Performance, Selected Illustrations P. 7, ob.*

https://cyber.harvard.edu/people/tfisher/cx/CopyrightX_Lecture8_Illustrations.pdf [1.07.2019].

⁷⁴ 17 U.S. Code Title 17—COPYRIGHTS, § 107 ხელმისაწვდომია:

<https://www.law.cornell.edu/uscode/text/17/107> [01.07.2019].

დადგენისას: 1. გამოყენების მიზანი და ხასიათი (არაკომერციულ სასწავლო მიზანს უპირატესობა მიენიჭება); 2. ნაწარმოების ბუნება; 3. დაცული ნაწარმოების რა ნაწილი იქნა გამოყენებული და გამოყენებული ნაწილის მნიშვნელობა; 4. პოტენციურ ბაზარზე ნაწარმოების ღირებულებაზე გავლენა.⁷⁵ როგორც ვხედავთ, კანონმდებელი დეტალურ ჩამონათვალს კი არ აკეთებს, არამედ მითითებებს იძლევა, თუ როგორ უნდა დადგინდეს კეთილსინდისიერი გამოყენება. აღნიშნული მიდგომა სისტემის მოქნილობას უზრუნველყოფს. მოსამართლე თავის მსჯელობას ტექნოლოგიურ განვითარებას შეუსაბამებს. მეორე მხრივ, მხოლოდ ზოგადი მითითებების არსებობა სისტემას არაპროგნოზირებადს ხდის. გადაწყვეტილება ოთხივე ფაქტორის შეჯერების შედეგად მიიღება, მაგრამ მათგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირველსა და მეოთხე ფაქტორებს. ხშირ შემთხვევაში ყველაზე ბუნდოვანი და საკამათო პირველი კრიტერიუმია. სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში⁷⁶ სავალდებულოდ ჩათვალია, რომ მოპასუხის მიერ შექმნილი ნაწარმოები თავდაპირველ ნაწარმოებზე პასუხს, მოსაზრებას ან კრიტიკას უნდა წარმოადგენდეს, მას უნდა უცვლიდეს მნიშვნელობას ან მიზანს. სხვა შემთხვევაში⁷⁷ კი სასამართლომ ტრანსფორმაციულობის სხვა კრიტერიუმზე გააკეთა აქცენტი და საკმარისად ჩათვალია ის, რომ მოპასუხემ ნაწარმოები სხვა იდეის გასაფრცვლებლად გამოიყენა ისე, რომ შეცვლილი იდგა თავდაპირველი ნაწარმოების კრიტიკას ან ზოგადად, მასზე კომენტირებას არ ისახავდა მიზნად.

1.1.8. კეთილსინდისიერი გამოყენების უფლება მომხმარებლის მიმწოდებლებთან მიმართებით

კეთილსინდისიერი გამოყენების უფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ციფრულ ეპოქაში. ერთი მხრივ, კომპანიების მიერ შემოთავაზებული ახალი ტექნოლოგიები, მეორე მხრივ, კი „იუთუბსა“ და სხვა პლატფორმებზე შემოქმედებითი მომხმარებლების მიერ შექმნილი კონტენტი, ხშირად კეთილსინდისიერი გამოყენების უფლების მეშვეობით აღწევს თავს საავტორო

⁷⁵ იქვე.

⁷⁶ Campbell v. Acuff-Rose Music, Inc., 510 U.S. 569 (1994). აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ მოპასუხეთა მხრიდან პოპულარული სიმღერის საკუთარი ვერსიის შექმნა, რომელიც თავდაპირველი კომპოზიციის პაროდისა წარმოადგენდა და მას შინაარსსა და მიზანს უცვლიდა, არ ცნო საავტორო უფლების დარღვევად.

⁷⁷ Cariou v. Prince, (2013), ამერიკის შეერთებული შტატების მეორე ფედერალური ოლქის სააპელაციო სასამართლო, 714 F.3d 694.

უფლებების დარღვევას. ეს დადასტურდა „ბეტამაქსის“, „იუთუბისა“ თუ სხვა შემთხვევებში.

1.1.8.1. „გუგლის“ ციფრული ბიბლიოთეკა

გამოსაყოფია 2015 წელს მიღებული გადაწყვეტილება,⁷⁸ რომელშიც სასამართლომ სწორედ კეთილსინდისიერ გამოყენებაზე დაყრდნობით გაიზიარა მოპასუხე „გუგლის“ პოზიცია და ამ თეორიის ელემენტების განხილვისას ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ რა გავლენას ახდენდა მოპასუხის ქმედებები როგორც მოსარჩელეებზე, ასევე მთლიანად საზოგადოებაზე. სასამართლომ კეთილსინდისიერი გამოყენების უფლებაზე მსჯელობისას ხაზი გაუსვა, რომ საავტორო სამართალი იცავს ავტორებს, მაგრამ საბოლოოდ სამართლის ამ დარგის მიზანი საზოგადოების კეთილდღეობაა, რისი ერთ-ერთი გამოხატულებაა ხალხისთვის ნაწარმოებებთან წვდომის უზრუნველყოფა.⁷⁹

„გუგლმა“ შექმნა წიგნების ელექტრონული ბიბლიოთეკა. „Google Library“ და „Google books“-ის პროექტების ფარგლებში, სხვადასხვა ბიბლიოთეკამ „გუგლს“ გადასცა საავტორო უფლებით დაცული, ასევე ისეთი ნაწარმოებები, რომელთა საავტორო უფლებით დაცვის ვადები ამოწურული იყო. „გუგლმა“, დაასკანერა შესაბამისი ნაწარმოებები, მათი ციფრული ასლები გადასცა ბიბლიოთეკებს, ამასთან, საკუთარ ბაზაშიც დაიტოვა სრული ტექსტები. მთლიან ნაწარმოებთან წვდომა საჯაროდ არ იყო შესაძლებელი, სამაგიეროდ, „გუგლი“ ქმნიდა ელექტრონულ კატალოგს. მსურველს შეეძლო სასურველი სიტყვები მოეძიებინა ინტერნეტით, ასევე მიეღო ინფორმაცია წიგნებისა და იმის შესახებ, კონკრეტული სიტყვა რა პერიოდში რა სიხშირით გამოიყენებოდა.⁸⁰ განსაკუთრებით ეფექტური იყო „snippet view“, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევდა, რომ სიტყვა არა მხოლოდ მოეძებნა, არამედ ძიების შედეგებიდან სამხაზიან მონაკვეთსაც გასცნობოდა. აღნიშნული ფუნქცია მომხმარებელს კონტექსტის გააზრებისა და იმის საშუალებას აძლევდა, რომ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიეღო წიგნის შეძენასთან დაკავშირებით.⁸¹ ნაწყვეტებთან წვდომა არ იყო შესაძლებელი ლექსიკონებისა და რეცეპტების

⁷⁸ Authors Guild, Inc. v. Google, Inc, (2015), ამერიკის შეერთებული შტატების მეორე ფედერალური ოლქის სააპელაციო სასამართლო, 804 F.3d 202.

⁷⁹ იქვე, პარ. 31.

⁸⁰ იქვე, პარ. 8, 17-19, 21.

⁸¹ იქვე, პარ. 22.

წიგნების შემთხვევაში, რადგან შეიძლება, რომ მომხმარებელს სწორედ ის 2-3 ხაზი ან სიტყვა აინტერესებდა, რომელიც ნაწყვეტში უკვე ნახა და გადაეფიქრებინა წიგნის შეძენა. ზოგადად კი სისტემა ისე იყო მონყობილი, რომ მომხმარებელი ვერ შეძლებდა წიგნის 16%-ზე მეტის დათვალიერებას ნაწყვეტებით, გარკვეული მონაკვეთები და საერთოდ ხელმიუწვდომელი გახლდათ.⁸²

როგორც ძებნის, ასევე “snippet view”-სთან დაკავშირებით რაიონულმა და სააპელაციო სასამართლომაც დაადგინა კეთილსინდისიერი გამოყენება. ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ ჩამოთვლილი ფუნქციები ტრანზორმატიულია და მიზნად საზოგადოების ინფორმირებას ისახავს. ამასთან, „გუგლის“ მიერ შესაბამისი პროექტის შექმნის შემდეგ გაიზარდა „გაციფრებული“ ავტორების ცნობადობა და შემოსავალი. მოსარჩლეებისა და მოპასუხის პროდუქტი ერთმანეთის კონკურენტი არ იყო, „გუგლის“ მიერ შემოთავაზებული ნაწყვეტები არ ცდილობდა შესაბამისი ნაწარმოების ჩანაცვლებასა და არ იყო გამიზნული, როგორც ალტერნატივა. ბიბლიოთეკებისთვის მათივე ფონდში არსებული წიგნების ციფრული ვერსიების გადაცემა კი ვერ ჩაითვლება დარღვევად და რაიმე ტიპის პასუხისმგებლობის წინაპირობად.⁸³

1.2. ტექნოლოგიური დაცვის საშუალებების გვერდის ავლა

და საერთაშორისო ხელშეკრულებები

1.2.1. “WCT”

ინტერნეტსივრცეში საავტორო უფლებების დასაცავად ნაწარმოების ავტორები ხშირად იყენებენ სხვადასხვა ტექნოლოგიას, რომლებიც ნაწარმოების არალეგალურ გავრცელებას, ზღუდავენ რა მასზე წვდომას არაავტორიზებული მომხმარებლებისთვის. რა საკვირველია, „ინტერნეტ-მეკობრეები“ ცდილობენ შემლუდებისგან თავის დაღწევას, ამიტომაც კანონი კრძალავს დაცვის საშუალებების გვერდის ავლას. 1996 წელს ხელი მოეწერა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის⁸⁴ ორ ხელშეკრულებას: „ხელშეკრულებას

⁸² იქვე, პარ. 83-84.

⁸³ იქვე, პარ. 112.

⁸⁴ შემდ. „ისმო“ - World Intellectual Property Organization (“WIPO”)

საავტორო უფლებების შესახებ⁸⁵ და „ხელშეკრულებას შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ“⁸⁶. ორივე მათგანი აქცენტს აკეთებს ინტერნეტსივრცეში საავტორო უფლებების დაცვაზე. “WCT” წარმოადგენს პროგრესულ დოკუმენტს და ცდილობს, რომ იქამდე სხვადასხვა ხელშეკრულებაში გაბნეული უფლებები მოაწესრიგოს, შეუსაბამოს ტექნოლოგიურ განვითარებას. ხელშეკრულება „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის“ მე-20 მუხლით გათვალისწინებულ სპეციალურ შეთანხმებას წარმოადგენს, „ბერნის კონვენციით“ მოცემული ზოგიერთი უფლების განმტკიცებასთან ერთად, ავტორებს დამატებით უფლებებსაც ანიჭებს: გავრცელების უფლება (მ. 6); გარკვეული ტიპის ნაწარმოებების გაქირავების უფლება (მ. 7); ნაწარმოებების სადენითა თუ უსადენო კავშირით გადაცემის უფლება, რა დროსაც ნაწარმოები ხელმისაწვდომია ნებისმიერი ადგილიდან, სასურველ დროს (მ. 8).⁸⁷ ნაშრომის მიზნებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მე-10, მე-11, მე-12 და მე-14 მუხლები. შეთანხმებული განცხადება მე-10 მუხლთან დაკავშირებით პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ავტორთა უფლებები შეიძლება შეიზღუდოს, ციფრული ქსელისათვის კი შეიძლება დადგინდეს განსხვავებული შეზღუდვები და გამონაკლისები. მე-11 მუხლი ხელშემკვრელ მხარეებს ავალდებულებს, რომ გაატარონ ადეკვატური ზომები საავტორო უფლების დაცვის ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლის წინააღმდეგ. ავტორთა მიერ კანონიერი უფლებების დაცვის ღონისძიებები განსხვავდება ნაწარმოების ხასიათისა და ფორმიდან გამომდინარე. შეზღუდვები შეიძლება შეეხებოდეს ფიზიკურ ან ციფრულ ასლებთან წვდომის პირობებს, შესაბამისი ფაილის ნახვის დასაშვებ რაოდენობას, ასევე წვდომის დაშვებას მხოლოდ გარკვეული რეგიონებისთვის.⁸⁸ გატარებული ზომები ზედმეტად არ უნდა ზღუდავდეს მეორე მხარის ინტერესებს, მაგრამ უნდა იყოს შედეგიანი.

⁸⁵WIPO Copyright Treaty (“WCT”), ხელმისაწვდომია: <<https://wipolex.wipo.int/en/text/295157>> [2.07.2019]; ქართულენოვანი თარგმანი იხ.

<http://www.sakpatenti.gov.ge/media/page_files/copyright.pdf> [2.07.2019].

⁸⁶ WIPO Performances and Phonograms Treaty (“WPPT”), ხელმისაწვდომია:

<<https://wipolex.wipo.int/en/text/295477>> [2.07.2019]; ქართულენოვანი თარგმანი იხ.

<http://www.sakpatenti.gov.ge/media/page_files/performers_treaty_full.pdf> [2.07.2019].

⁸⁷ გაბუნია დ., საერთაშორისო საავტორო სამართალი, წიგნი II, ისმო-ს ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ, ისმო-ს ხელშეკრულება შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ, ანალიზი და კომენტარები, 2016, 10

⁸⁸ იქვე, 43.

“TRIPS”-ის შეთანხმების სტანდარტს თუ გამოვიყენებთ, ზომები უნდა იყოს დაუყონებლივი, ატარებდეს პრევენციულ ხასიათსა და ამავდროულად, სამომავლოდაც უნდა ააღებინოს ხელი შესაძლო დამრღვევს აკრძალულ ქმედებაზე.⁸⁹

“WCT”-ს მე-12 მუხლი უფლების მართვის შესახებ ინფორმაციის ხელშეუხებლობას იცავს. 1-ლი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების მხარეები ადევკვატურ და ქმედით ზომებს ატარებენ იმ პირის მიმართ, რომელიც შეგნებულად არღვევს ნახსენებ ინფორმაციას, ამასთან იცის ან საფუძველი აქვს ივარაუდოს, რომ შესაბამისი ქმედება ხელს შეუწყობს ან დაარღვევს ავტორის უფლებებს. 12(1)i კრძალავს უფლების დაცვის შესახებ ნებისმიერი ელექტრონული ინფორმაციის უნებართვოდ შეცვლას ან წაშლას, ხოლო 12(1)ii - გავრცელებას, შემოტანას ან საჯაროდ გადაცემას ისეთი ნაწარმოებისა, რომელსაც წაშლილი/შეცვლილი აქვს უფლების დაცვის ინფორმაცია. 12(2) კი განმარტავს, რა სახის ინფორმაციის წაშლა/შეცვლაა აკრძალული, საუბარია ავტორის მაიდენტიფიცირებელ, ასევე ნაწარმოების გამოყენების პირობების შესახებ სხვადასხვა მონაცემზე. ორივე შემთხვევაში აქცენტი კეთდება გააზრებულ ქმედებაზე.

“WCT”-ს მე-14 მუხლი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ გაატარონ აუცილებელი ზომები ხელშეკრულების აღსრულების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული მიიღწევა ეროვნულ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების გატარებით. სახელმწიფოს ვეალება უფლების დამრღვევი ქმედების დროული აღკვეთა, სწრაფი რეაგირება და მოსალოდნელი უმართლობის პრევენცია. ხელშეკრულება მხარეებს საშუალებას აძლევს, რომ თვითონვე აირჩიონ ხელსაყრელი ზომები, გაითვალისწინონ თავიანთი არსებული კანონმდებლობა. 14(2) მუხლი ნაწილობრივ იმეორებს “TRIPS”-ის 41(1) მუხლს. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი უფრო დეტალიზებულია, ჩამოთვლის სამართლის სხვადასხვა დარგში განსახორციელებლ შესაძლო ღონისძიებებს, ასევე განმარტავს, რომ მიღებული ზომების ეფექტურობა ფასდება იმით, რომ არ უნდა იყოს ზედმეტად რთული, ძვირადღირებული და არ მოითხოვდეს ზედმეტად დიდ დროს.⁹⁰

⁸⁹ იქვე, 46.

⁹⁰ იქვე, 54-55.

1.2.2. “WPPT”

“WPPT” აწესრიგებს ფონოგრამის დამამზადებლისა და შემსრულებლების უფლებებს.⁹¹ ტექნოლოგიური დაცვის საშუალებებისა და უფლების მართვის შესახებ “WCT”-ს მე-11 და მე-12 მუხლების მსგავს დებულებებს ითვალისწინებს, “WPPT”-ს 23-ე მუხლი კი იმეორებს “WCT”-ს მე-14 მუხლის მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტი აღიარებს უფლებებს ციფრულ სფეროში. მაგალითად, #6 შეთანხმებული განცხადება მე-7, მე-11 და მე-16 მუხლებთან დაკავშირებით, რეპროდუქციების უფლებაში მოიაზრებს შესრულებისა და ფონოგრამის ციფრული ფორმით შენახვას ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

“WCT”-სა და “WPPT”-ს დებულებები აისახა ხელმომწერი სახელმწიფოების კანონმდებლობაში. შემდგომშიც გაგრძელდა ბრძოლა საავტორო უფლებების დაცვის გამკაცრების შესახებ.

1.2.3. “ACTA”⁹²

შემოთავაზებულმა ხელშეკრულებამ თავიდანვე დიდი ყურადღება მიიპყრო. მრავალი ორგანიზაცია აკრიტიკებდა იმ გარემოებას, რომ “ACTA” დახურული და საიდუმლო მოლაპარაკებების შედეგად მიიღეს, განხილვებში მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო მონაწილეობდა.⁹³ “ACTA” უპირისპირდებოდა კონტრაფაქციულ ასლებს, ჯენერიკულ მედიკამენტებსა და ინტერნეტში საავტორო უფლებების დარღვევას, ამასთან ქმნიდა დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც გააკონტროლებდა შეთანხმების განხორციელებას. კრიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ შემოთავაზებული ხელშეკრულება განვითარებად ქვეყნებს უზღუდავდა წვდომას შედარებით იაფ, ჯენერიკულ მედიკამენტებზე. საავტორო სამართალს რაც შეეხება, მკაცრდებოდა სერვის-პროვაიდერების პასუხისმგებლობა და საფრთხე ექმნებოდა მომხმარებლების გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.⁹⁴ კომერციულ დონეზე მეკობრეობისა თუ მისი ხელშეწყობისთვის, “ACTA” სისხლისსამართლებრივ

⁹¹ “WPPT”: Article 3; <http://www.sakpatenti.gov.ge/media/page_files/performers_treaty_full.pdf> [4.07.2019].

⁹² “Anti-Counterfeiting Trade Agreement”, ხელმისაწვდომია: <<https://www.international.gc.ca/trade-agreements-accords-commerciaux/topics-domaines/ip-pi/acta-text-acrc.aspx?lang=eng>> [4.07.2019].

⁹³ ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციაა ELECTRONIC FRONTIER FOUNDATION (“EFF”) <<https://www.eff.org/issues/acta>> [4.07.2019].

⁹⁴ დეტალური ინფორმაციისთვის იხ: <https://en.wikipedia.org/wiki/Anti-Counterfeiting_Trade_Agreement> [4.07.2019].

პასუხისმგებლობას აწესებდა. აშშ-ს აქტიური მხარდაჭერით, “ACTA”-ს ხელი ტოკიოში მოეწერა 2011 წელს. თავდაპირველად, ევროკავშირიც ეთანხმებოდა მას, მაგრამ მოგვიანებით პოზიციები შეცვალა. “ACTA” ძალაში შევა 6 ხელმომწერი სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიცირების შემთხვევაში, მაგრამ ჯერჯერობით, ხელმომწერთაგან მხოლოდ იაპონიამ მოახდინა ხელშეკრულების რატიფიცირება.⁹⁵

1.3. ამერიკული იმპლემენტაცია: “DMCA”

როგორც აღინიშნა, აშშ-ს საავტორო სამართალში “WCT”-სა და “WPPT” იმპლემენტირება “DMCA”-ს მეშვეობით განხორციელდა.⁹⁶ “DMCA” §1201⁹⁷ “WCT”-ს მე-11 მუხლის განვრცობილ ვერსიას გვთავაზობს, §1202⁹⁸ კი “WCT”-ს მე-12 მუხლის ამერიკული ვარიანტია. §1201(1)(A) კრძალავს გვერდის ავლას იმ ტექნოლოგიური საშუალებისათვის, რომელიც ეფექტიანად აკონტროლებს კანონით დაცულ ნაწარმოებთან წვდომას. §1201(1)(C) კონგრესის ბიბლიოთეკის მმართველს უფლება აქვს, რომ ზედამხედველობა გაუწიოს აქტის მოქმედებას. კანონით განსაზღვრულ პირებთან კონსულტირების შემდეგ, ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ის უფლებამოსილია, დაადგინოს გამონაკლისები §1201(1)(A)-ს მოქმედების სფეროდან. ნორმა იმ გარემოებებსაც ჩამოთვლის, რომელთა გათვალისწინებითაც იღებს კონგრესის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი გადაწყვეტილებას: ყურადღება ექცევა, არის თუ არა შესაბამისი ნაწარმოებები თავისუფლად მოპოვებადი, რა გავლენას ახდენს წვდომის აკრძალვა ნაწარმოების გამოყენებაზე კრიტიკის, კომენტირების სწავლების, კვლევისა თუ სხვა მიზნებზე, რომლებიც კეთილსინდისიერი გამოყენების უფლებაში მოიაზრება, დაცული ნაწარმოების საგამონაკლისო ნორმაში მოხვედრა რა გავლენას იქონიებს მის საბაზრო ღირებულებაზე და სხვა.⁹⁹ §1201(2) კრძალავს ისეთი ტექნოლოგიის, პროდუქტის, მონაცობილობის ან მისი ნაწილის წარმოებას, იმპორტს, მიწოდებასა და ტრეფიკს, რომელიც: 1. უმთავრესად შექმნილია ნაწარმოებთან წვდომის ეფექტური კონტროლის ტექნოლოგიური საშუალების

⁹⁵ იქვე.

⁹⁶ DMCA: TITLE I.

⁹⁷ <<https://www.law.cornell.edu/uscode/text/17/1201>> [6.07.2019]

⁹⁸ <<https://www.law.cornell.edu/uscode/text/17/1202>> [6.07.2019]

⁹⁹ §1201(1)(C)(i)-(v).

გვერდის ავლისთვის; 2. აღნიშნულის გარდა, მხოლოდ შეზღუდული კომერციულად მნიშვნელოვანი მიზანი გააჩნია; 3. მას არეკლამენებენ, როგორც ტექნოლოგიური დაცვის საშუალებების გვერდის ავლის მექანიზმს.¹⁰⁰ §1201(a)(3) და §1201(b)(2) თავიანთ ნაწილებში განმარტავენ, თუ რას ნიშნავს ტექნოლოგიური დაცვის საშუალებებისთვის გვერდი ავლა და რომელი ტექნოლოგიური საშუალება იცავს ეფექტურად საავტორო უფლების მფლობელს. საერთო ჯამში, პირველი მათგანის განმარტება ძალიან ფართოა და შეიძლება ითქვას, რომ ცდება საავტორო სამართალს.¹⁰¹ საკამათოა მეორე ტერმინის მნიშვნელობაც, რომელშიც მოიაზრება საშუალება, რომელიც ნორმალური მოქმედებისთვის ითხოვს ინფორმაციის შეყვანას, სხვადასხვა პროცესსა თუ მოქმედებას საავტორო უფლების მფლობელის ნების შესაბამისად. თეორიულად, ამ განსაზღვრებაში ექცევა ფასიან პლატფორმაზე წვდომისთვის მეგობრისთვის საკუთარი პაროლის გაზიარება. ნორმის მიხედვით, წინამდებარე ნაწილი გავლენას არ ახდენს კანონით განმტკიცებულ სხვა უფლებებს, უფლების დაცვის საშუალებებსა თუ ნაწარმოების კეთილსინდისიერად გამოყენების უფლებაზე; არ აწესებს ტელეკომუნიკაციისა თუ კომპიუტერული პროდუქტის შექმნის დროს რომელიმე კონკრეტული დაცვის მექანიზმის გამოყენების ვალდებულებას; არ ზღუდავს სიტყვის თავისუფლების, პრესისა თუ მომხმარებელთა უფლებებს.¹⁰²

კანონი §1201-ში კიდევ 6 სახის გამონაკლისს გვთავაზობს, მაგრამ მათი გამოყენებაც სხვადასხვა წინაპირობას ემყარება, რაც ამცირებს შეღავათების ეფექტიანობას: 1. არაკომერციულ ბიბლიოთეკებს, არქივებსა და საგანმანათლებლო ინსტიტუტებს უფლება აქვთ ტექნოლოგიური დაცვის მექანიზმების გვერდით ავლით გაეცნონ საავტორო უფლებით დაცულ მასალებს, მხოლოდ და მხოლოდ იმის გადასაწყვეტად, შეიძინონ თუ არა შესაბამისი ნაწარმოები; 2. საინჟინრო ანალიზი,¹⁰³ როდესაც პირი იყენებს კანონიერად შეძენილ პროდუქციას და მისი მიზანია პროგრამის გაანალიზების გზით, მისი სხვა პროგრამასთან თავსებადობის¹⁰⁴ უზრუნველყოფა; 3. დაშიფრული მასალის

¹⁰⁰ §1201(2)(A)(B)(C).

¹⁰¹ იგულისხმება დაშიფრულ ნაწარმოებთან უნებართვოდ წვდომის სხვადასხვა გზა, ტექნოლოგიური საშუალებისგან თავის დაღწევა, შემოვლა, წაშლა, დეაქტივაცია და სხვა §1201(a)(3)(A).

¹⁰² §1201 (c)(1)-§1201 (c)(4).

¹⁰³ “reverse engineering”.

¹⁰⁴ “interoperability”.

კვლევა შესაძლო ნაკლოვანებების აღმოსაჩენად; 4. არასრულწლოვნების დაცვა; 5. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა, როდესაც პროგრამას შეუძლია პირადი ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება; 6. უსაფრთხოების ტესტირება.¹⁰⁵

§1202 ეხება უფლების დაცვის შესახებ ინფორმაციის ხელშეუხებლობას. კანონი კრძალავს საავტორო უფლების მართვის მცდარი ინფორმაციის მიწოდებასა თუ გავრცელებას, როდესაც აღნიშნული მიზნად ისახავს საავტორო უფლების დარღვევის წახალისებას, შესაძლებლობის მიცემას, ხელშეწყობასა და დაფარვას.¹⁰⁶ იკრძალება არა მხოლოდ უფლების მართვის ინფორმაციის წაშლა ან შეცვლა, არამედ ამგვარი ნამუშევრების/ასლების საჯაროდ შესრულება, გავრცელება, იმპორტი და სხვა, თუ პირმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა დარღვევის შესახებ.¹⁰⁷ 1202(c) განმარტავს უფლების მართვის ინფორმაციას, რომელიც მოიცავს ნაწარმოების/ავტორის იდენტიფიცირების სხვადასხვა მონაცემს, მათ შორის, ნაწარმოების გამოყენების პირობებს.

§1203 აწესებს დარღვევისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობას, დეტალურად განერს ზიანის ანაზღაურების წინაპირობებს, კომპენსაციის მაქსიმალურ ოდენობას. §1203(b)(5) მოსამართლეს უფლებას აძლევს შეუმციროს დაკისრებული თანხა იმ პირების, რომლებმაც არამართლზომიერების გაცნობიერების გარეშე დაარღვიეს კანონი. ნორმა შეიცავს საპროცესოსამართლებრივ მითითებებსაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ. §1204 კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ადგენს, როდესაც პირი §1201-§1202 ნაწილებს განზრახ, კომერციული ან/და პირადი მოგების მიზნით არღვევს.

1.3.1. “DRM”

როგორც ვხედავთ, ზემოაღნიშნული ნორმები “WIPO”-ს 1996 წლის ხელშეკრულებების მიერ დადგენილ ვალდებულებებს ცდება, საავტორო უფლების მფლობელს ციფრულ ეპოქაში უფლების დაცვის ქმედით საშუალებას სთავაზობს. “DMCA”-ს კრიტიკის მიზეზად ხშირად სწორედ მოცემული ნორმები სახელდება. შეიძლება ითქვას, რომ განხორციელებული ცვლილებები სცილდება

¹⁰⁵ THE DIGITAL MILLENNIUM COPYRIGHT ACT OF 1998 U.S. Copyright Office Summary, 1998, 5-6; 17 U.S. Code §1201(d)-§1201(j).

¹⁰⁶ §1202(a).

¹⁰⁷ §1202(b).

საავტორო სამართლის ფარგლებსაც. ციფრულ ეპოქაში “DRM”-სა¹⁰⁸ და “TPM”-ს¹⁰⁹ საკანონმდებლო ლეგიტიმაცია განხორციელდა. ზოგიერთი ავტორი აღნიშნულ ნორმებს „პარალელურ საავტორო სამართალსაც“¹¹⁰ კი უწოდებს.¹¹¹ კომპიუტერული ტექნოლოგიისა და ინტერნეტის განვითარების პირველ ხანებში, პროგრამებისა თუ სხვა ნაწარმოებების ლიცენზირებისას მომხმარებელი ეთანხმებოდა პირობებს, მათ შორის, გავრცელების ან ასლის გაკეთების აკრძალვის თაობაზე, მაგრამ პრაქტიკულად ცოტა თუ ასრულებდა ხელშეკრულებას. ტექნოლოგიური კონტროლის საშუალებების განვითარებასთან ერთად, სტანდარტული ლიცენზია „თავად სრულდება“, რადგან საავტორო უფლების მფლობელის მიერ აკრძალული ქმედებების განხორციელებას თავად სისტემა ზღუდავს.¹¹² ასეთ დროს უფლების მფლობელი სრულად აკონტროლებს მომხმარებლის ქცევას, განსაზღვრავს ნებადართულ მოქმედებებს. შეიძლება დაუშვას კოპირებაც, მაგრამ გარკვეული თანხის სანაცვლოდ. “DRM” ორ მიზანს ემსახურება: 1. იმის უზრუნველყოფა, რომ ნაწარმოები დაცული და ხელმიუწვდომელია არაავტორიზებული პირებისაგან. 2. დაცვის საშუალება დეტალურ ინსტრუქციას შეიცავს ნაწარმოების გამოყენების პირობების შესახებ, მართავს მომხმარებლისა და ავტორის ურთიერთობას.¹¹³ კონტროლის მექანიზმები კომპიუტერულ პროგრამას წარმოადგენენ, ტექნოლოგიურად გათვითცნობიერებულმა ადამიანმა შეიძლება მოახერხოს სისტემისთვის გვერდის ავლა და სხვასაც დაეხმაროს აღნიშნულში. “DMCA”-ს ამოქმედებამდე უფლების მფლობელებს შეეძლოთ დარღვევის ხელშეწყობისთვის (“contributory infringement”) ეჩვილათ შესაბამისი მონცობილობების/პროგრამების

¹⁰⁸ “Digital Rights Management” – „ციფრული უფლებების მართვა (საავტორო უფლებების დაცვის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ზღუდავს პროდუქტის ციფრულ შიგთავსს არალეგალური გადანერისგან“, <<https://techdict.ge/ka/word/digital%20rights%20management/>> [7.07.2019].

¹⁰⁹ “Technological Protection Measures” - ტექნოლოგიური დაცვის საშუალებები. “TPM” წარმოადგენს ინდივიდუალურ ტექნოლოგიას, რომელიც იცავს ნაწარმოებს, “DRM” უფრო რთული სისტემაა, მასში ერთდროულად მოიაზრება როგორც ტექნოლოგიური, ასევე სახელშეკრულებო და საკანონმდებლო დაცვის მექანიზმები, იხ. *Finck M., Moscon V.*, Copyright Law on Blockchains: Between New Forms of Rights Administration and Digital Rights Management 2.0, IIC - International Review of Intellectual Property and Competition Law, 2019, 85.

¹¹⁰ “paracopyright”

¹¹¹ *Burk L. D.*, Anticircumvention Misuse, 50 UCLA LAW REVIEW 1095 (2003), 1096.

¹¹² იქვე, 1101.

¹¹³ *Spinello A. R., Tavani T.H.*, Intellectual Property Rights: From Theory to Practical Implementation, Intellectual Property Rights in a Networked World : theory and practice, 2005, 38.

შემქმნელებისთვის, ახალი რეგულაცია კი უფრო მკაცრი და მრავლისმომცველი გამოდგა.¹¹⁴ ზოგიერთი ავტორის აზრით,¹¹⁵ საავტორო უფლების მფლობელის გავლენა იმდენად დიდია, რომ მომხმარებელს ეზღუდება ნაწარმოების კეთილსინდისიერი გამოყენების შესაძლებლობა. კანონიერად მოპოვებული ნაწარმოების/მისი ასლის ისეთი ფორმით განკარგვა, რომელიც “first-sale doctrine”-ს მიხედვით დაშვებულია, შეიძლება აღარ იყოს განხორციელებადი. ამასთან, ტექნოლოგიური დაცვის საშუალებების გამოყენებელი პირები მეტ ინფორმაციას აგროვებენ მომხმარებლების გემოვნებისა თუ სხვა მახასიათებლების შესახებ. ჩვეულებრივი მომხმარებლები, სასჯელის შიშით, ნაკლებ ექსპერიმენტებს ატარებენ, რაც აფერხებს ტექნოლოგიურ განვითარებას.

საინტერესოა, რომ “DRM” თეორიულად იცავს არა მხოლოდ საავტორო სამართლით დაცულ ნაწარმოებს, არამედ ისეთ ნამუშევრებსაც, რომელთა საავტორო უფლება ამონურულია ამ საერთოდ არ მოიაზრება საავტორო უფლების ობიექტად, სამაგიეროდ ტექნიკური საშუალებით არის დაშიფრული. ასეთ დროს “DMCA”-ს მოქმედების სფეროში შეიძლება ფაქტი ან იდეა აღმოჩნდეს.¹¹⁶

1.3.2. „პარალელური საავტორო სამართალი“

„პარალელური საავტორო სამართალი“, განსაკუთრებით “DMCA”-ს ანტიტრეფიკინგული ნორმები, ფაქტობრივად, კონკურენციის შეზღუდვისა და ბაზრის კონტროლის ერთ-ერთი საშუალებაა.¹¹⁷ არსებობს მოსაზრება, რომ “DMCA”-ს არამართლზომიერად გამოყენების შესამცირებლად და „პარალელური საავტორო სამართლის“ დასაბალანსებლად საჭიროა სამართლის მონათესავე დარგის გამოცდილების გაზიარება. საუბარია საპატენტო სამართლის წიაღში აღმოცენებულ უფლების ბოროტად გამოყენების¹¹⁸ პრინციპზე, რომელიც სამართლიანობის დოქტრინის¹¹⁹ ნაირსახეობაა.¹²⁰ პერიოდულად საავტორო სამართლის საქმეებშიც სასამართლოები იყენებენ უფლების

¹¹⁴ *Burk L. D.*, Anticircumvention Misuse, 50 UCLA LAW REVIEW 1095 (2003), 1101-1104.

¹¹⁵ *Spinello A. R., Tavani T.H.*, Intellectual Property Rights: From Theory to Practical Implementation, Intellectual Property Rights in a Networked World : theory and practice, 2005, 40.

¹¹⁶ *Burk L. D.*, Anticircumvention Misuse, 50 UCLA LAW REVIEW 1095 (2003), 1108.

¹¹⁷ იქვე, 1109-1110, 1113.

¹¹⁸ “misuse”.

¹¹⁹ “equitable doctrine”.

¹²⁰ იქვე, 1114-1115.

ბოროტად, არამართლზომიერად გამოყენების დოქტრინას. აღნიშნული ტენდენცია შეინიშნება კომპიუტერულ პროგრამებთან მიმართებით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უფლების მფლობელი ცდილობს ლიცენზიის პირობებით მაქსიმალურად შეზღუდოს კონტრაქტის უფლებამოსილება, ზოგ შემთხვევაში სასამართლომ დაასკვნა, რომ ანტიკონკურენტული ექსკლუზიური ნორმები საავტორო უფლებების ბოროტად გამოყენებაა და ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.¹²¹ ხშირად კომპანიები საავტორო უფლებებს ბოროტად იყენებენ სწორედ იმისთვის, რომ საპატენტო უფლების მსგავსი კონტროლი დაამყარონ ისეთ ნივთებზე/პროგრამებზე, რომლებიც არ არიან საპატენტო სამართლის ობიექტები, რაც ასევე იქცევა ხოლმე სარჩელის დაუკმაყოფილებლობის წინაპირობად.¹²²

1.3.3. გაუთვალისწინებელი შედეგები და გახმაურებული საქმეები

“DMCA”-ს გვერდით ეფექტებთან დაკავშირებით საინტერესოა ამერიკული ორგანიზაციის, “Electronic Frontier Foundation” საქმიანობა. ორგანიზაცია მწვავედ აკრიტიკებს აქტს, პერიოდულად კი აქვეყნებს დოკუმენტს, რომელშიც თავმოყრილია ყველა ის გახმაურებული შემთხვევა, როდესაც “DMCA” არამართლზომიერად იყო გამოყენებული.¹²³ ორგანიზაცია ასკვნის, რომ ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლის ამკრძალავი ნორმები პრაქტიკაში გამოიყენება ბევრ ისეთ შემთხვევაში, რომელსაც საავტორო უფლებებთან კავშირი არ აქვს. აქტის მოქმედება გასცდა მისი მიღების დროს განჭვრეტილ მიზნებს, სამომავლოდ კი შეიძლება, ის კიდევ უფრო გაუთვალისწინებელ კონტექსტში ვიხილოთ.¹²⁴

ერთ-ერთი პირველი სკანდალური შემთხვევა უკავშირდება რუსი პროგრამისტის, დიმიტრი სკლიაროვის დაკავებას. 2000 წელს “DMCA” ძალაში შევიდა. 2001 წელს, როდესაც სკლიაროვი აშშ-ში კომპიუტერული უსაფრთხოების კონფერენციას ესწრებოდა, ის დააკავეს. მისი დანაშაული გამოიხატებოდა იმაში, რომ კომპანია “ElcomSoft”-ისთვის მუშაობის დროს დაწერა პროგრამა, რომელსაც შეეძლო “Adobe”-ს მიერ ელექტრონული წიგნებისთვის შექმნილი შიფრის მოხსნა.

¹²¹ იქვე.

¹²² იქვე, 1126

¹²³ უახლესი კვლევა: Unintended Consequences: Sixteen Years under the DMCA, EFF, September 2014, <<https://www.eff.org/files/2014/09/16/unintendedconsequences2014.pdf>> [8.07.2019].

¹²⁴ იქვე, 30.

შესაბამისად, მომხმარებელს შეეძლო ელექტრონული წიგნის სხვა ფორმატში გადაყვანა. მეორე მხრივ, პროგრამის მეშვეობით შესაძლებელი გახლდათ არალეგიტიმური მიზნების მიღწევა, მაგალითად, წიგნის დაკოპირება. სკლიაროვის დაკავებას საზოგადოებისა და განსაკუთრებით, პროგრამისტების მხრიდან მწვავე პროსტესტი გამოიწვია. ის მალევე გაათავისუფლეს და სისხლისსამართლებრივი დევნა კომპანია “ElcomSoft”-ის მიმართ გაგრძელდა.¹²⁵ სკლიაროვის პრეცედენტმა, გაათავისუფლების მიუხედავად, უარყოფითი გავლენა იქონია სხვა მკვლევარებისა თუ პროგრამისტების საქმიანობაზე. ბევრი მათგანი სიფრთხილეს იჩინდა და ცდილობდა, რომ არ სხვადასხვა კონფერენციაზეც კი არ ჩასულიყო აშშ-ში, მეტიც, ზოგი კონფერენცია ღროებით სხვა ქვეყანაშიც კი იქნა გადატანილი¹²⁶.

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ „ბეტამაქსის“ საქმეზე დაადგინა, რომ გადახვევის ფუნქცია კეთილსინდისიერი გამოყენების უფლებაში მოიაზრება. “DMCA”-ს ეპოქაში აუდიოვიზუალური ნაწარმოების უკანონო რეპროდუცირებისგან დასაცავად, საავტორო უფლების მფლობელი სხვადასხვა ხერხს მიმართავენ, მათ შორის იმასაც, რომ ნაწარმოებს სპეციალურად დაშიფრული ფორმით გამოსცემენ. “CSS”¹²⁷ უზრუნველყოფს, რომ ნაწარმოები მხოლოდ დასაშვები მონაცემილობების მიერ იქნას აღქმული და ამასთან, არ იძლევა კოპირების შესაძლებლობას. “DeCSS” არის პროგრამა, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს „განშიფროს“ დაშიფრული ვიდეოფაილი, უყუროს ფაილს მისთვის სასურველ მონაცემილობაზე, შეინახოს სათადარიგო ასლი, გადაახვიოს და სხვა. ისევე როგორც „ბეტამაქსი“, ხსენებული პროგრამაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მეკობრეობის მიზნებისთვის გამოიყენონ. Universal v. Reimerdes¹²⁸ საქმეში, სასამართლომ დაადგინა, რომ პროგრამა არღვევდა “DMCA”-ს ტექნოლოგიური საშუალებებისთვის გვერდის

¹²⁵ Unintended Consequences: Sixteen Years under the DMCA, EFF, September 2014, 8 <<https://www.eff.org/files/2014/09/16/unintendedconsequences2014.pdf>> [8.07.2019]; *Spinello A. R., Tavani T.H.*, Intellectual Property Rights: From Theory to Practical Implementation, Intellectual Property Rights in a Networked World : theory and practice, 2005, 35.

¹²⁶ Unintended Consequences: Sixteen Years under the DMCA, EFF, September 2014 , 9.

¹²⁷ “Content Scramble System”

¹²⁸ UNIVERSAL CITY STUDIOS, INC v. Shawn C. REIMERDES, et al(2000) 111 F.Supp.2d 294, ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური რაიონული სასამართლო.

ავლის ნორმას. მეორე ინსტანციაში¹²⁹ მოპასუხე კორლის მიმართ, რომლის ონლაინ პლატფორმაზე ხელმისაწვდომი იყო “DeCSS”-ს გადმოწერა, სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.¹³⁰ ბევრის აზრით, კორლის ონლაინ ჟურნალ, “2600”-ის პრეცედენტი ზღუდავს სიტყვისა და აზრის გამოხატვის კონსტიტუციურ პრინციპს, მოსამართლის გადაწყვეტილებით ჟურნალს სამუდამოდ აეკრძალა, რომ სადავო პროგრამაზე გადასასვლელი ბმული ჩაესვა თავის საიტზე. პლატფორმა, რომელსაც არავითარი წვლილი არ მიუძღოდა პროგრამის შექმნის ან შემდგომში მისი არაკანონიერი მიზნებით გამოყენებაში, ფაქტობრივად, ცენზურის მსხვერპლი აღმოჩნდა.¹³¹

კიდევ ერთ შემთხვევაში, დამამთავრებელი კურსის სტუდენტმა აღმოაჩინა კომპაქტური დისკის დამცავ სისტემაში შესაძლო რისკები, მაგრამ სანამ კვლევას გამოაქვეყნებდა, “DMCA”-ს დარღვევისა და პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, დარგში მომუშავე იურისტებს არაერთხელ შეხვდა. ამ პერიოდში კი სხვა მკვლევარმა გამოაქვეყნა ანალოგიური კვლევა. რამდენიმე კვირის განმავლობაში მომხმარებლები საფრთხის წინაშე იმყოფებოდნენ, დაზიანებული სისტემის შემქმნელებს უფრო ადრე გააფრთხილებდნენ, რომ არა “DMCA”-ს შიში.¹³²

კიდევ ერთ საქმეში, კომპანიამ “DMCA”-ს სადავო ნორმები გამოიყენა კონკურენტი კომპანიის წინააღმდეგ. ამერიკული “Chamberlain” აწარმოებდა ავტოფარების კარის დამცავ სისტემას, რომელიც პულტით იმართებოდა. Skylink-მა კი მომხმარებლებს პულტის უფრო იაფი, გამარტივებული ვერსია შესთავაზა. მოსარჩელის მტკიცებით, აღნიშნული წარმოადგენდა ტექნოლოგიური დაცვის საშუალების გვერდის ავლას და მოპასუხე უკანონო ნივთების გავრცელებაში¹³³ დაადანაშაულა. საბოლოოდ დავა მოპასუხის გამარჯვებით დასრულდა.¹³⁴

სხვა საქმეში “DMCA”-ზე დაყრდნობით ბილეთების გამყიდველმა კომპანია “Ticketmaster”-მა უჩივლა “RMG Technologies”-ს იმ მიზეზით, რომ ამ უკანასკნელმა

¹²⁹ Universal City Studios v. Corley, (2001) ამერიკის შეერთებული შტატების მეორე ფედერალური ოლქის სააპელაციო სასამართლო 273 F.3d 429 (2d Cir. 2001),

¹³⁰ Unintended Consequences: Sixteen Years under the DMCA, EFF, September 2014, 10.

¹³¹ იქვე.

¹³² იქვე, 4-5.

¹³³ 17 U.S. Code §1202(b).

¹³⁴ Unintended Consequences: Sixteen Years under the DMCA, EFF, September 2014, 22-23.

ტექნოლოგიური საშუალების, “CAPTCHA”-ს გვერდის ავლით შეაღწია მოსარჩელის საიტზე და 1 მომხმარებელზე ნებადართული ბილეთების ლიმიტზე ბევრად მეტი ბილეთი შეიძინა შემდგომში გადაყიდვის მიზნით. საინტერესოა, რომ მოსარჩელემ დავა მოიგო არა კომპიუტერში უკანონოდ შეღწევის შესახებ კანონების გამოყენებით, არამედ DMCA-ის დახმარებით.¹³⁵

ზემოთ ნახსენებ შემთხვევებში ჩანს, რომ ხშირად “DMCA”-ს ციფრულ ეპოქაში საავტორო უფლების ობიექტების დაცვის მისაღებად არ იყენებენ. ხსენებული კანონი იჭრება სხვა აქტებით დაცულ სფეროში, ნაკლებად ემსახურება მიმღებთა და მხარდამჭერთა გაცხადებულ მიზნებს.

თავი 2. ევროკავშირის საავტორო სამართალი

ინტერნეტ-მეკობრეობასთან ბრძოლა ევროკავშირის ქვეყნებისთვისაც მნიშვნელოვანი საკითხია. საავტორო უფლებებთან მიმართებით საერთაშორისო ხელშეკრულებების იმპლემენტაციას ევროკავშირის რამდენიმე ღირეფტივა ეძღვნება, რომლებსაც წევრი ქვეყნები შემდგომ თავიანთ კანონმდებლობაში ასახავენ. ნაშრომის მიზნებისთვის გამოვყოფ იმ ღირეფტივებს, რომლებიც ინტერნეტში საავტორო უფლებების დაცვას ემსახურება.

2.1. „ელექტრონული კომერციის შესახებ ღირეფტივა“¹³⁶

საინტერესოა „ელექტრონული კომერციის შესახებ ღირეფტივის“ მე-4 ნაწილი, რომელიც აწესრიგებს მომსახურების მიმწოდებლების პასუხისმგებლობას.¹³⁷ ეს ეხება როგორც ონლაინ სერვისის პროვაიდერებს, ასევე ინტერნეტ სერვისის პროვაიდერებს. მე-12 მუხლის მიხედვით, როდესაც სერვისის მიმწოდებელი მომხმარებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამტარის როლს ასრულებს, თავად არ იწყებს გადაცემას, არ ირჩევს გადაცემის მიმღებსა და არ ცვლის გადაცემულ ინფორმაციას, ამ ნაწილში თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.¹³⁸ იგულისხმება, რომ მომსახურების მიმწოდებელი

¹³⁵ იქვე, 29.

¹³⁶ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 8 ივნისის ღირეფტივა 2000/31/EC, საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების გარკვეული ასპექტების, კერძოდ შიდა ბაზარზე ელექტრონული კომერციის შესახებ (ღირეფტივა ელექტრონული კომერციის შესახებ) [2000] OJ L178/1.

¹³⁷ იქვე, OJ L178/12-13.

¹³⁸ იქვე, OJ L178/12, Art. 12(a)(b)(c).

ინფორმაციას მხოლოდ და მხოლოდ გადაცემისთვის საჭირო დროის განმავლობაში ინახავს.¹³⁹

დაცვის სფეროში შედის ქეშირებაც. როდესაც საკომუნიკაციო ქსელში გადაცემა მიმდების მიერ მიწოდებული ინფორმაცია, სერვისის მიმწოდებელი არაა პასუხისმგებელი ინფორმაციის დროებითი, ავტომატური შენახვისთვის, თუ აღნიშნულის ერთადერთი მიზანია მიმღები პირებისთვის ინფორმაციის შემდგომი მიღების გამარტივება.¹⁴⁰ ამ მუხლით სარგებლობისთვის მომსახურების მიმწოდებელმა რამდენიმე კრიტერიუმი უნდა დააკმაყოფილოს, მათ შორის, ის არ უნდა ცვლიდეს ინფორმაციას. როდესაც გაიგებს, რომ ინფორმაციის თავდაპირველი წყარო ხელმიუწვდომელი/ქსელიდან ამოღებულია, სასამართლომ ან ადმინისტრაციულმა ორგანომ მიღებული აქტით მასზე წვდომა შეზღუდა, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, დაუყონებლივ იმოქმედოს: წაშალოს მასალა ან ხელმიუწვდომელი გახადოს.¹⁴¹

ღირექტივის მე-14 მუხლი ჰოსტინგის განმახორციელებელ მომსახურების მიმწოდებელს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან. აღნიშნული მოიცავს იმ შემთხვევას, როდესაც ინფორმაციას თავად მიმღები ათავსებს და ის მომსახურების მიმწოდებლის დაქვემდებარებაში არ იმყოფება. ამ შემთხვევაშიც აუცილებელია, რომ მომსახურების მიმწოდებელი არ იყოს ინფორმირებული არალიცენზირებული მასალის ატვირთვის თაობაზე, ზიანთან მიმართებით კი მნიშვნელოვანია, რომ არც იმ გარემოებებს იცნობდეს, რომლებიც აშკარად მიუთითებენ მასალის უკანონობაზე.¹⁴² აღნიშნული ინფორმაციის შეტყობისთანავე, ინფორმაციის მიმწოდებლის ვალდებულებაა მასალის წაშლა ან მასზე წვდომის შეზღუდვა.

ხაზგასასმელია, რომ მომსახურების მიმწოდებლებისთვის მინიჭებული პრივილეგიები მათ სრულად არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან. კერძოდ, სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს, საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, სამართლებრივი აქტით დაავალდებულოს მომსახურების მიმწოდებელი თავიდან აიცილოს ან აღკვეთოს დარღვევა.¹⁴³

¹³⁹ იქვე, Art. 12.2.

¹⁴⁰ იქვე, OJ L178/13, Art. 13.1.

¹⁴¹ იქვე, OJ L178/13, Art. 13.1(a)-(d).

¹⁴² იქვე, OJ L178/13, Art. 14.1(a)(b), 14.2.

¹⁴³ იქვე, Art. 12.3; 13.2; 14.3.

დირექტივის მე-15 მუხლის თანახმად, მომსახურების მიმწოდებლებს მე-12-14 მუხლებში მოცემული ქმედებების განხორციელებისას არ გააჩნიათ ზედამხედველობის ან უკანონო ფაქტების გამოვლენის ზოგადი ვალდებულება.¹⁴⁴ მეორე მხრივ, თავად სახელმწიფოს შეუძლია დაავალდებულოს მომსახურების მიმწოდებელი, რომ კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნისთანავე მიაწოდოს მას ინფორმაცია უკანონო ქმედებების თაობაზე, მათ შორის, დაეხმაროს არალეგალურ ქმედებებში შემჩნეული პირობის იდენტიფიცირებაში.¹⁴⁵

2.1.1. “DMCA”-სთან შედარება

ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის განხილული მუხლები შინაარსობრივად ემთხვევა აშშ-ში “DMCA”-ს მიერ შემოღებულ “safe harbour”-ს.¹⁴⁶ ტერმინოლოგიური განსხვავებების მიუხედავად, ორივე დოკუმენტი მეტად იცავს მომსახურების ისეთ მიმწოდებელს, რომელიც პასიური როლით გამოირჩევა, თვითონ არ ირჩევს მიმღებს, შესაბამისი პირის მოთხოვნის შესაბამისად გადასცემს ან ინახავს ინფორმაციას. ამავდროულად, არ გააჩნია ცოდნა დარღვევის შესახებ. აშშ და ევროკავშირი იყენებენ მეორეული პასუხისმგებლობის თეორიას. ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივა უფრო ზოგადია, ის ითვალისწინებს სერვის პროვაიდერის პასუხისმგებლობას მომხმარებელთა მიერ ჩადენილ სხვადასხვა უკანონო ქმედებაზე, ხოლო “DMCA”-ს მონესრიგების სფეროს საავტორო უფლებები წარმოადგენს.¹⁴⁷ სამაგიეროდ, “DMCA” იცავს უფრო მრავალფეროვან პირთა წრეს. კერძოდ, “safe harbours”-ში შედის საძიებო სისტემები. ასევე ეჭვს არ იწვევს, რომ აქტში მოიაზრება როგორც პასიური, ასევე აქტიური ჰოსტინგ-პლატფორმები. დირექტივის ტექსტიდან პირდაპირ არ იკვეთება, ისეთი პლატფორმები, რომლებსაც მეტი კავშირი აქვთ მომხმარებლებთან, მეტად აკონტროლებენ სისტემაში ატვირთულ მონაცემებს და საჭიროების შემთხვევაში, რეაგირებენ მათზე, ხვდებიან თუ არა მე-14 მუხლის

¹⁴⁴ იქვე, Art. 15.1.

¹⁴⁵ იქვე, Art. 15.2.

¹⁴⁶ 17 U.S. Code §512.

¹⁴⁷ DIRECTORATE GENERAL FOR INTERNAL POLICIES POLICY DEPARTMENT A: ECONOMIC AND SCIENTIFIC POLICY, Providers Liability: From the eCommerce Directive to the future, 2017, 16, ხელმისაწვდომია

<[http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/IDAN/2017/614179/IPOL_IDA\(2017\)614179_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/IDAN/2017/614179/IPOL_IDA(2017)614179_EN.pdf)> [9.07.2019]

დაცვის სფეროში.¹⁴⁸ იმის გათვალისწინებით, რომ ღირეექტივა არაა დეტალური დოკუმენტი და ევროკავშირის წევრებს შეუძლიათ მოუწესრიგებელი საკითხების განმარტება, გამოდის, რომ ერთიანი მიდგომა ამ საკითხთან მიმართებით არ არსებობს. რეკომენდირებულია, რომ ღირეექტივამ, აშშ-ს მსგავსად, დაიცვას „აქტიური“ სერვის პროვაიდერები. ამასთან, განეროს სერვის პროვაიდერებისთვის მეორეული პასუხისმგებლობის დაკისრების შედარებით კონკრეტული წინაპირობები, კერძოდ, წინასწარ რა ზომები უნდა იქნეს მიღებული. ყურადღება უნდა მიექცეს ასრულებს მომსახურების მიმწოდებელი გულმოდგინე ზრუნვის მოვალეობას თუ თავადვე უწყობს ხელს კანონის დამრღვევს. მნიშვნელოვანია ისიც, თუ რა ფორმით ხდებოდა მომხმარებლებთან ურთიერთობა, სერვის პროვაიდერი ხომ არ ახალისებდა უკანონობას და სხვა.¹⁴⁹

2.2. „საავტორო უფლებების ღირეექტივა“¹⁵⁰

ევროკავშირის საავტორო სამართლის მიმართულებით ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტი საავტორო უფლებების ღირეექტივა, რომელიც წარმოადგენს „ისმოს“ 1996 წლის ხელშეკრულებების (“WCT” და “WPPT”) იმპლემენტაციას, ამავდროულად, გამოყოფს ავტორის რამდენიმე უფლებას. ასევე აწესებს იმ გამონაკლისებს, როდესაც შესაძლებელია დაცული ნაწარმოების უნებართვოდ გამოყენება.

ღირეექტივის მეორე მუხლი ავტორებს ანიჭებს ექსკლუზიურ უფლებას, რომ ნება დართონ/აკრძალონ თავიანთი ნაწარმოებების ან მისი ნაწილის პირდაპირ/არაპირდაპირი, დროებითი/მუდმივი რეპროდუქცირება. იგივე უფლებები ენიჭებათ შემსრულებლებს მათი შესრულების მიმართ და სხვა.¹⁵¹ მესამე მუხლი მიჯნავს საჯარო შესრულების უფლების ორ ნაწილს: 1. საზოგადოებისთვის ნაწარმოების კომუნიკაციის (გადაცემის) უფლებას; 2.

¹⁴⁸ DIRECTORATE GENERAL FOR INTERNAL POLICIES POLICY DEPARTMENT A: ECONOMIC AND SCIENTIFIC POLICY, Providers Liability: From the eCommerce Directive to the future, 2017,18; “Active vs. passive hosting in the EU intermediary liability regime: time for a change?”

ხელმისაწვდომია: <<https://www.law.kuleuven.be/citip/blog/active-vs-passive-hosting-in-the-eu-intermediary-liability-regime-time-for-a-change/>> [9.07.2019]

¹⁴⁹ DIRECTORATE GENERAL FOR INTERNAL POLICIES POLICY DEPARTMENT A: ECONOMIC AND SCIENTIFIC POLICY, Providers Liability: From the eCommerce Directive to the future, 2017, 28

¹⁵⁰ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 22 მაისის ღირეექტივა 2001/29/EC, საინფორმაციო საზოგადოებაში საავტორო და მასთან დაკავშირებული უფლებების ზოგიერთი ასპექტის ჰარმონიზაციის შესახებ [2001] OJ L167/10.

¹⁵¹ იქვე, OJ L167/16 Art. 2.

საზოგადოებისთვის ნაწარმოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ორივე შემთხვევაში იგულისხმება, რომ საზოგადოების წევრებს ნაწარმოებთან წვდომის შესაძლებლობა აქვთ სასურველ დროსა და ადგილას. ავტორებსა და მუხლში დასახელებულ სხვა პირებს აქვთ შესაბამისი ქმედების განხორციელების ან აკრძალვის ექსკლუზიური უფლება.¹⁵²

დირექტივის მე-4 მუხლი აწესრიგებს ავტორის ექსკლუზიურ უფლებას, გაყიდვის ან სხვა გზით გაავრცელოს თავისი ნაწარმოები.¹⁵³

დირექტივის განმარტებითი ნაწილი აქცენტს აკეთებს სხვადასხვა ტიპის უფლებების მფლობელებისა და საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების გამომყენებლის, ავტორისა და მომხმარებლის ინტერესთა სამართლიან დაბალანსებაზე.¹⁵⁴ ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობაში არსებობს განსხვავებული მიდგომები იმასთან დაკავშირებით, თუ რა შემთხვევებში დაიშვება დაცული ნაწარმოების გამოყენება ავტორის ნებართვის გარეშე, კომპენსაციის გადახდით თუ მის გარეშე. ამავე განმარტების მიხედვით, დირექტივის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია საგამონაკლისო შემთხვევების გამოყოფა და მასთან დაკავშირებით, წევრთა შიდა კანონმდებლობების ჰარმონიზაცია. მე-5 მუხლში სწორედ ასეთი საგამონაკლისო სიაა მოცემული. აღსანიშნავია, რომ სიიდან სავალდებულო მხოლოდ 1 შემთხვევაა: დირექტივის მე-2 მუხლში მითითებული დროებითი რეპროდუქციების გარდამავალი ან შემთხვევითი აქტები, რომლებიც ტექნოლოგიური პროცესის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია და ერთადერთ მიზნად ისახავს კანონიერი გამოყენების გზით მესამე პირებს შორის ქსელში მონაცემების გადაცემის უზრუნველყოფას შუამავლის მიერ.¹⁵⁵ ნორმა იცავს მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობას, როდესაც გარდამავალ ასლს ეკონომიკური მნიშვნელობა არ გააჩნია.

მე-5 მუხლის დანარჩენი პუნქტები ცალ-ცალკე განსაზღვრავენ მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებში მოცემული უფლებების საგამონაკლისო პირობებს. აქედან სამ შემთხვევაში აუცილებელია საავტორო უფლების მფლობელისთვის სამართლიანი კომპენსაციის გადახდა.¹⁵⁶

¹⁵² იქვე, Art. 3.

¹⁵³ იქვე, Art. 4.

¹⁵⁴ იქვე, OJ L167/12 recital 31.

¹⁵⁵ იქვე, OJ L167/16 Art. 5(1).

¹⁵⁶ იქვე, Art. 5(2)(a), 5(2)(b), 5(2)(e).

ღირექტივის მიერ შემოთავაზებული სია ამომწურავია, დასახელებული ერთადერთი სავალდებულო შემთხვევის გარდა, სახელმწიფოები თავად ირჩევენ, რომელი საგამონაკლისო პირობა გაითვალისწინონ ეროვნულ კანონმდებლობაში. უკვე არსებული გამონაკლისები ხელახლა უნდა შეფასდეს ციფრული ინოვაციებისა და არსებული გამონაკლისების გათვალისწინებით.¹⁵⁷ ფაქტობრივად, ქვეყნები ვერ გასცდებიან შემოთავაზებულ სიას. ერთი მხრივ, ღირექტივა ცდილობს, რომ წევრ-სახელმწიფოებს არჩევანის თავისუფლება ბოლომდე არ შეუზღუდოს, მაგრამ აღნიშნული მიდგომა ეწინააღმდეგება თავად ღირექტივის მიზანს - ევროკავშირის მასშტაბით საავტორო უფლებების საგამონაკლისო შემთხვევების ჰარმონიზაციას.

როგორც ზემოთ განვიხილეთ, აშშ-ს კანონმდებლობაც ითვალისწინებს საავტორო უფლებების საგამონაკლისო შემთხვევებს, როდესაც ნაწარმოები ავტორის ნებართვის გარეშე გამოიყენება/გადაიყენება თუ სხვა. მასში მოიაზრება სავალდებულო ლიცენზირების ნორმები და ასევე, ნაწარმოების კეთილსინდისიერი გამოყენების უფლება. ამ უკანასკნელთან მიმართებით, ამერიკელი კანონმდებელი უფრო მოქნილი აღმოჩნდა, კანონში სახელმძღვანელო პრინციპები მიუთითა, რომელთა დაზუსტება სასამართლოს პრეროგატივაა. ევროპული მიდგომა, ამომწურავი სიის მიუხედავად, უფრო ბუნდოვანია. ორივე შემთხვევაში საბოლოო სიტყვა სასამართლოს ეკუთვნის, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ჰარმონიზაციის შემდეგ, მაგალითად გერმანელ ავტორს ან მომხმარებელს, რომელიც თავისი ქვეყნის საავტორო კანონმდებლობაში კარგად ერკვევა, ინფორმაცია/მოლოდინი ექნება თუ რა შედეგით დასრულდება ღირექტივის 5(2) მუხლში მოცემული საგამონაკლისო შემთხვევების შესახებ სამართლებრივი დავა ევროკავშირის სხვა წევრ-სახელმწიფოში. აშშ-ში კი, ზოგადი მითითების მიუხედავად, სასამართლოები შემლუღელნი არიან პრეცედენტებით, რაც ავსებს საკანონმდებლო ბუნდოვანებას.¹⁵⁸

¹⁵⁷ იქვე, OJ L167/12 recital 31.

¹⁵⁸ ხაზგასასმელია, რომ ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოთა სასამართლოებს აქვთ შესაძლებლობა მიმართონ მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს (Court of Justice of the European Union (“CJEU”)) და მათგან მიიღონ ღირექტივის კონკრეტული მუხლის განმარტება. გაკეთებული განმარტებები იბეჭდება ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში, განსახილველ ღირექტივასთან დაკავშირებული განმარტებები ხელმისაწვდომია საიტზე: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex:32001L0029>> [10.07.2019].

არანაკლებ მნიშვნელოვანია დირექტივის მე-3 თავი, რომელიც ტექნოლოგიური საშუალებებისთვის გვერდის ავლასა და უფლების მართვის ინფორმაციის ხელშეუხებლობას აწესრიგებს. 6(1) მუხლის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყოს ადეკვატური სამართლებრივი დაცვა ეფექტიანი ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლის წინააღმდეგ. მე-2 პუნქტის თანახმად, ადეკვატური სამართლებრივი მექანიზმები უნდა ამოქმედდეს ისეთი მოწყობილობის/მომსახურების ან მისი ნაწილის წარმოების, იმპორტის, გავრცელების, რეკლამირების წინააღმდეგ, რომელიც მოწყობილობა/მომსახურება უპირველესად გვერდის ავლის მიზნით არის შექმნილი, ამავე მიზნით ხდება მისი რეკლამირება და გვერდის ავლის გარდა, კომერციულად შეზღუდული მნიშვნელობა აქვს.¹⁵⁹

დირექტივის მიზანია, რომ საგამონაკლისო შემთხვევებში საზოგადოებას ჰქონდეს ტექნოლოგიური საშუალებით დაცული ნაწარმოების გამოყენების უფლება. როდესაც თავად უფლების მფლობელი ნებაყოფლობით არ ემნის დაცვის სისტემიდან ამ გამონაკლისს, ამგვარი საშუალების უზრუნველყოფა უფლების მფლობელის დავალდებულების გზით, სახელმწიფოს მოვალეობაა. დირექტივა მიუთითებს მე-5 მუხლში ჩამოთვლილ რომელ საგამონაკლისო შემთხვევაში უნდა მოხდეს უფლების მფლობელის დავალდებულება. როგორც ზემოთ აღინიშნა, დირექტივა ერთადერთ სავალდებულო საგამონაკლისო შემთხვევას აწესებს, სხვებთან მიმართებით სახელმწიფოებს აქვთ დისკრეცია, ასახონ თუ არა კონკრეტული შეზღუდვა კანონმდებლობაში. აქედან გამომდინარე, მომხმარებლის უფლება, ლეგიტიმური მიზნით გამოიყენოს ნაწარმოები, გარანტირებული არაა. კრიტიკა ეხება საქმის მეორე მხარესაც:¹⁶⁰ უფლების მფლობელები ვალდებულნი არიან, რომ შექმნან საგამონაკლისო პირებისთვის (შიდა კანონმდებლობაში იმპლემენტირებული გამონაკლისები) ნაწარმოებზე ხელმისაწვდომობა. რეალურად დიდ ძალისხმევას მოითხოვს ტექნიკური საშუალების ისე მოწყობა, რომ მან „ამოიცნოს“ ლეგიტიმური გამოყენება, მისცეს პირს წვდომის უფლება და ამავდროულად, საფრთხე არ შეუქმნას დაცვის მექანიზმის ეფექტიან მუშაობას. კონვენციის 6(4) მუხლი ამ ვალდებულებიდანაც ითვალისწინებს გამონაკლისს, კერძოდ, როდესაც ობიექტი მოთხოვნითი

¹⁵⁹ OJ L167/16 Art. 6(2).

¹⁶⁰ *Finck M., Moscon V.*, Copyright Law on Blockchains: Between New Forms of Rights Administration and Digital Rights Management 2.0, IIC - International Review of Intellectual Property and Competition Law, 2019, 87.

რეჟიმითაა წარმოდგენილი ინტერნეტში და წვდომისათვის საჭიროა ხელშეკრულებაზე დათანხმება, უფლების მფლობელს აღარ ენიჭება ვალდებულება ამავე პუნქტში მითითებული პირებისთვის წვდომის უზრუნველყოფის შესახებ. გამოდის, რომ ინტერნეტში განთავსებული, ტექნოლოგიური საშუალებით დაცული ნაწარმოების შემთხვევაში, საზოგადოება ვერ ისარგებლებს მე-5 მუხლში ჩამოთვლილი პრივილეგიებით.¹⁶¹

ტექნოლოგიური საშუალებებისთვის გვერდის ავლის აკრძალვის როგორც ამერიკული, ასევე ევროპული სისტემა მკაცრია, საგამონაკლისო შემთხვევები ლიმიტირებულია და ხშირად არ არსებობს მათი გამოყენების მექანიზმები. ორივე შემთხვევაში ერთმანეთთან არასაკმარისადაა დაკავშირებული ტექნოლოგიური დაცვის საშუალება და საავტორო უფლებები.¹⁶²

ღირეფტივა წევრ-სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ გაითვალისწინონ სანქციები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები ღირეფტივაში განმტკიცებული უფლებების დასაცავად. სანქცია უნდა იყოს ეფექტიანი, პროპორციული და საკმარისად მკაცრი იმისთვის, რომ შესაძლო დამრღვევს უკანონო ქმედების ჩადენა გადააფიქრებინოს.¹⁶³ იმ სახელმწიფომ, სადაც ირღვევა ღირეფტივით გათვალისწინებული უფლებები, საჭირო ზომები უნდა მიიღოს იმისთვის, რომ დაზარალებულმა მხარეს შეძლოს უფლების დაცვა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ან/და ქმედების აღკვეთა, საჭიროების შემთხვევაში კი გამოყენებულ იქნეს ყადაღა.¹⁶⁴ მე-3 პუნქტის მიხედვით, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, უფლების მფლობელს უნდა შეეძლოს სასამართლოს მიმართოს და მოითხოვოს ამკრძალავი განჩინება იმ შუამავალი პირის მიმართ, რომლის მომსახურებაც გამოიყენება საავტორო ან მომიჯნავე უფლებების დასარღვევად,¹⁶⁵ როგორც ვხედავთ, ნორმაში განმტკიცებულია მეორეული პასუხისმგებლობა. მე-8 მუხლი თავისი არსით ზოგადია, მაგრამ მოითხოვს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა ქმედითი ზომები მიიღონ ღირეფტივით გათვალისწინებული უფლებების უზრუნველსაყოფად.

¹⁶¹ იქვე, 87-88.

¹⁶² იქვე, 86.

¹⁶³ OJ L167/16 Art. 8(1).

¹⁶⁴ იქვე, OJ L167/16 Art. 8(2).

¹⁶⁵ იქვე, OJ L167/16 Art. 8(3).

2.3. განახლებული ღირეექტივა

2019 წელს ევროკავშირში მიღებულ იქნა საავტორო სამართლის განახლებული ღირეექტივა,¹⁶⁶ რომელიც დიდი აჟიოტაჟისა და უკმაყოფილების მიზეზი გახდა.

ღირეექტივა რამდენიმე მიმართულებითაა საინტერესო. ის ერთდროულად მიზნად ისახავს ავტორების, მკვლევარების, პრესის, მომსახურების მიმწოდებლების, მომხმარებლების უფლებების დაცვას. მე-3-მე-4 მუხლები საგამონაკლისო შემთხვევებში განამტკიცებს მკვლევართა მიერ მონაცემთა ავტომატურ მოპოვებასა და ანალიზს.¹⁶⁷

მე-5 მუხლის დაცვის სფეროშია ციფრული ფორმით და სხვა ქვეყანაში განხორციელებული სასწავლო აქტივობები. სამუხაროდ, ხსენებული ნორმა მკაცრ ჩარჩოშია მოქცეული და ქმედებათა მცირე კატეგორიას იცავს. გამონაკლისი ეხება ნაწარმოების ციფრულ სფეროში საჩვენებელ გამოყენებას, რომელიც: 1. ტარდება საგანმანათლებლო დაწესებულების პასუხისმგებლობით, მისი მდებარეობის ან სხვა ადგილზე, დაცულ ელექტრონულ გარემოში, რომელიც მხოლოდ აღნიშნული დაწესებულების მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვისაა ხელმისაწვდომი.¹⁶⁸ შესაძლებლობის შემთხვევაში წყაროსა და ავტორის მითითება სავალდებულოა.¹⁶⁹ როდესაც მასალა ისედაც სასწავლო მიზნისთვისაა განკუთვნილი, წევრ-სახელმწიფოზეა დამოკიდებული, გაავრცელებს თუ არა მასზე სწავლების შესახებ გამონაკლისს.¹⁷⁰

ღირეექტივის მოწინააღმდეგეები ძირითადად აკრიტიკებდნენ ორ ნორმას: მე-11 და მე-13 მუხლებს. მე-11 მუხლი, ე.წ. „ბმულის გადასახადი“,¹⁷¹ საკმაოდ ბუნდოვნად იყო ჩამოყალიბებული, ის პრესისა და გამომცემლობების წარმომადგენლებს ონლაინ-პლატფორმებთან მოლაპარაკებისას დიდ უპირატესობას აძლევდა. სტატიის უმნიშვნელო ნაწილის გამოყენებას თუ არ ჩავთვლით, ყველა დანარჩენ შემთხვევაში ონლაინ სერვის პროვაიდერი, რომელიც აგროვებდა სათაურსა და მცირე მონაკვეთებს ახალის ამბებიდან,

¹⁶⁶ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 17 აპრილის ღირეექტივა 2019/790, ერთიან ციფრულ ბაზარზე საავტორო და მასთან დაკავშირებული უფლებებისა და 96/9/EC და 2001/29/EC ღირეექტივებში შესწორებების შეტანის შესახებ [2019] OJ L130/92.

¹⁶⁷ “data mining” OJ L130/92 Art. 3, 4.

¹⁶⁸ იქვე, OJ L130/92 Art. 5(1)(a).

¹⁶⁹ იქვე, OJ L130/92 Art. 5(1)(b).

¹⁷⁰ იქვე, OJ L130/92 Art. 5(2).

¹⁷¹ “link tax”.

ვალდებული იყო, რომ ხსენებული ქმედებისთვის აელო ლიცენზია და შესაბამისი თანხად გადაეხადა.¹⁷² ბუნდოვანებას ქმნიდა ის გარემოება, რომ თავად სახელმწიფოები წყვეტდნენ, რა შეიძლება ყოფილიყო მიჩნეული „უმნიშვნელო ნაწილად“.¹⁷³ მუხლი აზიანებდა როგორც დიდ, ასევე პატარა კომპანიებს, ეხებოდა ყველას, განურჩევლად კომერციული თუ არაკომერციული მიზნებისა. პატარა კომპანიებისთვის შეზღუდვა განსაკუთრებით მძიმე იქნებოდა, მაგრამ დიდი კომპანიებისგან განსხვავებით, ისინი ვერ შეძლებდნენ ლიცენზიის მოპოვებას.¹⁷⁴ “Hyperlink”-ს განმარტება შემდეგია: „*ჰიპერბმული, ბმული (ელექტრონული ტექსტის ელემენტი, რომელზე დანკაპუნებითაც შესაძლებელია ტექსტის სხვა გვერდზე ან სხვა ტექსტზე გადასვლა; შემოკლ. link)*“.¹⁷⁵

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ორ ქვეყანას: გერმანიასა და ესპანეთს უკვე ჰქონდათ „ბმულის გადასახადის“ შემოღების გამოცდილება. ორივე შემთხვევაში პრაქტიკამ აჩვენა სისტემის ნაკლოვანება.¹⁷⁶ გერმანიის მაგალითზე, კომპანია „გუგლმა“ საერთოდ უარი განაცხადა საძიებო ველში პატარა მონაკვეთების (“snippet”) ჩვენებაზე. კონკურენციის სამართლიდან გამომდინარე დავაში რეგულატორმა „გუგლის“ დისკრეციად ჩათვალა, გამოიყენებდა თუ არა გამომცემლების „მონაკვეთებს“, მოლაპარაკებების შედეგად, ფაქტობრივად, „გუგლს“ გაუუქმდა ლიცენზიის გადასახადი.¹⁷⁷ ესპანეთმა უფრო მკაცრი მიდგომა აირჩია და დაავალდებულა ახალი ამბების აგრეგატორები მონაკვეთების ფუნქციის გამოყენებისა და ლიცენზირების თაობაზე. შედეგად, ესპანეთში „გუგლმა“ საერთოდ დახურა თავისი ერთ-ერთი სერვისი “Google News”, რომლის ფუნქციონირებისთვის მას „ბმულის გადასახადის“ გადახდა მოუწევდა.¹⁷⁸

¹⁷² “The European Copyright Directive: What Is It, and Why Has It Drawn More Controversy Than Any Other Directive In EU History?” Updated 19.03.2019, ხელმისაწვდომია: <<https://www.eff.org/deeplinks/2019/03/european-copyright-directive-what-it-and-why-has-it-drawn-more-controversy-any>> [11.07.2019]; დირექტივის შემოთავაზებული ტექსტი რამდენჯერმე შეიცვალა, 2018 წლის 25 მაისის ვერსია შეიცავს მე-11 მუხლის საკამათო ტექსტს, ხელმისაწვდომია: <<https://www.consilium.europa.eu/media/35373/st09134-en18.pdf>> [11.07.2019].

¹⁷³ იქვე, Art. 11(1).

¹⁷⁴ “The European Copyright Directive: What Is It, and Why Has It Drawn More Controversy Than Any Other Directive In EU History?” Updated 19.03.2019

¹⁷⁵ <<https://techdict.ge/ka/word/hyperlink%7Cen/>> [11.07.2019]

¹⁷⁶ “EU Lawmakers Are Still Considering This Failed Copyright Idea.” Updated 24.03.2016, ხელმისაწვდომია: <<https://fortune.com/2016/03/24/eu-ancillary-copyright/>> [11.07.2019]

¹⁷⁷ იქვე.

¹⁷⁸ იქვე.

დირექტივის საბოლოო ტექსტში შეიცვალა სტრუქტურა, მე-11 მუხლში არსებული დებულება მე-15 მუხლში შევიდა. განხორციელდა ორი მთავარი შინაარსობრივი ცვლილება: 1. დოკუმენტში პირდაპირ აისახა, რომ ბმულის ჩასმა/გაზიარებისთვის ლიცენზია არ იქნება საჭირო, 2. აგრეთვე, ნორმის ობიექტი არაა პრეს-პუბლიკაციის ცალკეული სიტყვები ან ძალიან პატარა მონაკვეთები.¹⁷⁹

ცვლილებები განიცადა დირექტივის ყველაზე გახმაურებულმა ნორმამ, რომელიც მე-13-დან მე-17 მუხლში გადავიდა.¹⁸⁰ მონინაალმდეგეები აღნიშნულ ნორმაში ცენზურის დანესების საფრთხესაც კი ხედავდნენ, რადგან ონლაინ სერვის პროვაიდერებს, ფაქტობრივად, მოეხსნათ სამართლებრივი დაცვა მომხმარებელთა მიერ ატვირთული მასალის შინაარსთან დაკავშირებით, დირექტივა არაპირდაპირ მიუთითებდა პროაქტიული რეაგირებისთვის საჭირო მექანიზმის - ფილტრაციის სისტემის დანერგვაზე.¹⁸¹ მსგავსი მოთხოვნების შესრულება კომპანიებისგან დიდ ფინანსურ რესურსს მოითხოვდა, მაგრამ თავის დროს „იუთუბის“ „Content ID“ სისტემის შექმნაში 100 000 000 აშშ დოლარი დაიხარჯა. ამ ოდენობის ინვესტიციას ევროპული კომპანიები, რომლებიც მასშტაბებით თავიათ ამერიკელ კოლეგებს ჩამოუვარდებიან, ვერ განახორციელებდნენ.

საკამათო მუხლის საბოლოო ვარიანტში მეტ-ნაკლებად გათვალისწინებულია გამოთქმული კრიტიკა. პირველ რიგში, არაკომერციული, საგანმანათლებლო პლატფორმები და ენციკლოპედიები, პროგრამის შექმნისა და გაზიარების პლატფორმები, ელექტრონული კომუნიკაციის მომსახურების მიმწოდებლები და ე.წ. „დრუბლოვანი მომსახურების“¹⁸² განმახორციელებელი პროვიდერები არ მოიაზრებიან „ონლაინ კონტენტის-გამზიარებელ მომსახურების მიმწოდებელში“¹⁸³, შესაბამისად,¹⁸⁴ მათზე დირექტივის მე-17 მუხლი არ გავრცელდება.

მე-17 მუხლის მიხედვით, „ონლაინ კონტენტის-გამზიარებელ მომსახურების მიმწოდებელი“ ვალდებულია, რომ საავტორო სამართლის 2001 წლის

¹⁷⁹ OJ L130/92 Art. 15(1).

¹⁸⁰ იქვე, Art. 17.

¹⁸¹ “The European Copyright Directive: What Is It, and Why Has It Drawn More Controversy Than Any Other Directive In EU History?” Updated 19.03.2019. [11.07.2019].

¹⁸² “cloud services”.

¹⁸³ “online content-sharing service providers”.

¹⁸⁴ OJ L130/92 Recital 62; Art. 2(6).

დირექტივის შესაბამისად ნაწარმოების საზოგადოებისთვის კომუნიკაციის ან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შემთხვევაში, წინასწარ დადოს ლიცენზიის შესახებ ხელშეკრულება.¹⁸⁵ მე-4 პუნქტი გამორიცხავს ისეთი პროვაიდერის პასუხისმგებლობას, რომელმაც ყველა ღონე იხმარა ლიცენზიის მისაღებად; ინდუსტრიაში დამკვიდრებული მაღალი სტანდარტების შესაბამისად, უზრუნველყო უფლების მფლობელის მიერ მითითებული ფაილის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა; თუ ნაწარმოები მაინც მოხდა სისტემაში, უფლების მფლობელის დასაბუთებული მოთხოვნისთანავე უნდა ამოიღონ/დაბლოკოს სადავო ფაილი და ამასთან, მაქსიმალურად შეეცადოს, რომ ისინი ხელახლა არ ატვირთონ.¹⁸⁶ ბოლო წინადადებაში მოცემულია ტერმინი „პრევენცია“, რაც მიუთითებს, რომ დირექტივა კვლავაც შეიცავს საფრთხეებს. დოკუმენტის განმარტებით ნაწილში¹⁸⁷ დიფერენცირებულია სერვის პროვაიდერების პასუხისმგებლობა მათი მასშტაბებიდან გამომდინარე. მითითებულია, რომ მომხმარებლის მიმწოდებელს ზედამხედველობის ზოგადი ვალდებულება არ გააჩნია, მაგრამ დირექტივა ზედმეტად მაღალ სტანდარტებს აწესებს პროვაიდერის დაცვის სფეროში მოსახვედრად. “DMCA”-ს მსგავსად, აქაცაა საფრთხე, რომ “Notice&Takedown” პროცედურა ზედმეტად ხშირად, უსაფუძვლოდ იქნება გამოყენებული და ამასთან, პასუხისმგებლობის დაკისრების შიშით, სერვის პროვაიდერები საჩივრის წარმდგენების ნებისმიერ მოთხოვნას დააკმაყოფილებს, საქმის შესწავლის გარეშე დაბლოკავს სადავო ფაილს.

გამოხმაურებების შედეგად შეიცვალა დოკუმენტში აისახა მომხმარებლების უფლებების დაცვისთვის კიდევ ერთი საგამონაკლისო შემთხვევა. ციფრულ ეპოქაში სოციალურ ქსელებსა თუ სხვა პლატფორმებზე მომხმარებელთა მიერ მოდიფიცირებული უამრავი ფოტო თუ ვიდეო იტვირთება. საუბარია ე.წ. „მიმებზე“¹⁸⁸, „გიფებზე“¹⁸⁹ და სხვა. „მიმების“ აკრძალვას საფრთხეზე

¹⁸⁵ იქვე, Art. 17(1).

¹⁸⁶ იქვე, Art. 17(4)(a)(b)(c).

¹⁸⁷ იქვე, Recital 66.

¹⁸⁸ “Meme”: *“An image, video, piece of text, etc., typically humorous in nature, that is copied and spread rapidly by Internet users, often with slight variations.”* <<https://www.lexico.com/en/definition/meme>> [11.07.2019] („ფოტო, ვიდეო ტექსტი და ა.შ., როგორც წესი, იუმორისტული, რომლის ასლებიც სწრაფად ვრცელდება ინტერნეტის მომხმარებლებს შორის, ხშირად, სხვადასხვა ვარიაციით.“)

¹⁸⁹ “GIF” (graphic interchange format): „გრაფიკული ფაილის ფორმატი, რომელშიაც გამოსახულება იკუმშება დაპაკეტების გარეშე – ფერებისა და ხარისხის შენარჩუნებით.“

არაერთი დაინტერესებული პირი მიუთითებდა.¹⁹⁰ 2019 წლის თებერვალში ევროპარლამენტმა სოციალური ქსელის მეშვეობით არაორაზროვნად განაცხადა, რომ დირექტივა არ ითვალისწინებდა „მიმების“ აკრძალვას ან სტატიების მოკლე მონაკვეთების გამოყენებისთვის გადასახადის დაწესებას.¹⁹¹

დირექტივის საბოლოო ტექსტი ორ ადგილას მიუთითებს, რომ მომხმარებელს საშუალება უნდა ჰქონდეთ ატვირთონ და ხელმისაწვდომი გახადონ მათ მიერ შექმნილი კონტენტი, რომლის ერთადერთი მიზანია კრიტიკა, განხილვა, პაროდირება და სხვა.¹⁹² საავტორო უფლებების დაცვის მიუხედავად, ნეერი-სახელმწიფოები ვალდებული არიან, რომ მომხმარებლები აღნიშნული საგამონაკლისო პრივილეგიით უზრუნველყონ.

თავი 3. უფლების დაცვის საშუალებები

3.1. აშშ

საავტორო სამართლის დარღვევისთვის აშშ-ს კანონმდებლობა ძირითადად სამოქალაქო პასუხისმგებლობას ადგენს, განსაკუთრებით მიმდებარე დარღვევებთან მიმართებით კი შესაძლებელია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებაც. საავტორო უფლების მფლობელს უფლების დაცვის რამდენიმე საშუალება აქვს. 1. მას შეუძლია სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს ქმედების აკრძალვა.¹⁹³ “Injunction” შეიძლება გამოყენებულ იქნას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით წინასწარ¹⁹⁴, საქმის დასრულების შემდეგ კი სასამართლო გამოსცემს მუდმივ აკრძალვას¹⁹⁵. 2. უფლების

¹⁹⁰ იხ. “The EU’s disastrous Copyright Reform, explained by its lovers and haters”, ხელმისაწვდომია: <<https://thenextweb.com/eu/2018/06/19/the-eus-disastrous-copyright-reform-explained/>> [11.07.2019];

European Parliament Approves Controversial “Meme Ban”, ხელმისაწვდომია:

<<https://futurism.com/the-eu-agreed-on-the-final-text-of-a-meme-ban>> [11.07.2019].

“The European Copyright Directive: What Is It, and Why Has It Drawn More Controversy Than Any Other Directive In EU History?”, ხელმისაწვდომია: <<https://www.eff.org/deeplinks/2019/03/european-copyright-directive-what-it-and-why-has-it-drawn-more-controversy-any>> [11.07.2019].

¹⁹¹ <https://twitter.com/Euoparl_EN/status/1095979233283919872> [11.07.2019].

¹⁹² OJ L130/92 Recital 70; Art. 17(7)(b).

¹⁹³ 17 U.S. Code §502.

¹⁹⁴ “preliminary injunction”.

¹⁹⁵ “permanent injunction”.

მფლობელს შეუძლია კომპენსაციის მოთხოვნა.¹⁹⁶ რაც შეეხება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, დამრღვევი შეიძლება დაჯარიმდეს ან პატიმრობა შეეფარდოს.¹⁹⁷

3.1.2. “Notice&Takedown”

ქმედების აკრძალვის მოთხოვნით უფლების მფლობელს შეუძლია, რომ უშუალოდ დამრღვევს ან იმ პირს მიმართოს, რომლის დახმარებითაც ხდება შესაბამისი ქმედება. “DMCA”-ს მიერ დადგენილი “Notice&Takedown” პროცედურა, რომელსაც სხვადასხვა ჰოსტინგ-პლატფორმა, მათ შორის, „იუთუბი“ იყენებს, ყოველთვის შედეგიანი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ წესების დაცვით შედგენილ საპროტესტო შეტყობინებას პლატფორმები ემორჩილებიან, უფლების მფლობელს რამდენიმე დღე ეძლევა სასამართლოსაგან ამკრძალავი დოკუმენტის მისაღებად, წინააღმდეგ შემთხვევაში, პლატფორმებზე სადავო მასალა ისევ ხელმისაწვდომი გახდება.¹⁹⁸ კონტენტის ამტვირთავის მიერ საპირისპირო შეტყობინების (“Counter-Notice”) გაგზავნის შემთხვევაში, კეთილსინდისიერ პირსაც გაუჭირდება საკუთარი უფლებების დაცვა.¹⁹⁹

3.1.3. სასამართლო აკრძალვა

დავებრუნდეთ სასამართლო აკრძალვას. აშშ-ში ტრადიციულად საავტორო სამართლის დავებთან მიმართებით წინასწარი აკრძალვის საკითხი მარტივად წყდებოდა მოსარჩელის სასარგებლოდ. დასაბუთებული სარჩელი, რომლის დაკმაყოფილებაც მოსალოდნელია, თითქმის ავტომატურად ნიშნავდა წინასწარი აკრძალვის გამოყენებას.²⁰⁰ 2006 წელს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაში,²⁰¹ რომელიც საპატენტო სამართალს ეხებოდა, სტანდარტი გამკაცრდა, მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს რომ მან: განიცადა გამოუსწორებელი ზიანი, რომლის კომპენსირებისთვის ფულადი ანაზღაურება

¹⁹⁶ 17 U.S. Code §504.

¹⁹⁷ 17 U.S. Code §506.

¹⁹⁸ *Presseller S.*, Copyright Infringement Via Social Media Live Streaming Shortcomings of the Digital Millennium Copyright Act, 7 Ariz. St. U. Sports & Ent. L.J. 357 (2018), 374-375.

¹⁹⁹ იქვე.

²⁰⁰ Shifting Injunction Standards in Copyright, Trademark Cases, ხელმისაწვდომია:

<<https://cdas.com/shiftinginjunctionstandards/>> [12.07.2019].

²⁰¹ eBay Inc. v. MercExchange, L.L.C., 547 U.S. 388 (2006).

არაადეკვატურია. ამასთან, მოსარჩელის ინტერესი უფრო შეიძლება შეილახოს, ვიდრე მოპასუხის, აკრძალვით არ დაზარალებს საჯარო ინტერესები. კიდევ ერთ საქმეში სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემული წესები წინასწარი აკრძალვის გადანყვეტის დროსაც უნდა იქნეს გამოყენებული.²⁰²

მეორე ოლქის სააპელაციო სასამართლოს გახმაურებული გადანყვეტილებით,²⁰³ დადასტურდა, რომ „იხის“ საქმეში დადგენილი სტანდარტი საავტორო სამართლის დავებშიც უნდა იქნეს გამოყენებული.²⁰⁴

3.1.4. ზიანის ანაზღაურება

აქტის 504-ე ნაწილში გამოყოფილია ზიანის ანაზღაურების ორი ფორმა: 1. რეალურად დამდგარი ზიანი, რომელსაც შეიძლება დაემატოს მოპასუხის მიერ მიღებული შემოსავალი;²⁰⁵ 2. კანონით მიერ დადგენილი ზიანის კომპენსაცია.²⁰⁶ ეს უკანასკნელი აშშ-ს კანონმდებლობის თავისებურებაა. მოსარჩელეს, რომელსაც დარეგისტრირებული აქვს თავისი საავტორო უფლება, საბოლოო გადანყვეტილების მიღებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია, რომ კანონის პირველი ალტერნატივა მეორეთი ჩაანაცვლოს. “statutory damages” განსაკუთრებით გამოსადეგია მაშინ, როდესაც შეუძლებელია ზიანის ზუსტი ოდენობის შეფასება. კანონმდებელი განსაზღვრავს ამ ტიპის ანაზღაურების მინიმალურსა და მაქსიმალურ ოდენობას,²⁰⁷ განზრახვის დამტკიცების დარღვევის შემთხვევაში, ზიანის ფარგლები საგრძნობლად იზრდება.²⁰⁸

3.1.5. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

კანონი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასაც. პირი, რომელიც განზრახ არღვევს საავტორო უფლებებს უნდა დაისაჯოს

²⁰² Winter v. Natural Resources Defense Council 555 U.S. 7 (2008); Shifting Injunction Standards in Copyright, Trademark Cases, ხელმისაწვდომია: <<https://cdas.com/shiftinginjunctionstandards/>> [12.07.2019].

²⁰³ Salinger v. Colting (2010), ამერიკის შეერთებული შტატების მეორე ფედერალური ოლქის სააპელაციო სასამართლო, 607 F.3d 68.

²⁰⁴ Shifting Injunction Standards in Copyright, Trademark Cases, ხელმისაწვდომია: <<https://cdas.com/shiftinginjunctionstandards/>> [12.07.2019].

²⁰⁵ 17 U.S. Code §504(a)(1); §504(b); “actual damages”.

²⁰⁶ 17 U.S. Code §504(a)(2); §504(c); “statutory damages”.

²⁰⁷ იქვე, §504(c)(1).

²⁰⁸ იქვე, §504(c)(2).

სისხლისსამართლებრივი წესით, თუ ეს ქმედება ჩადენილია:²⁰⁹ 1.კომერციული ან პირადი შემოსავლის მიღების მიზნებისთვის;²¹⁰ 2.როდესაც 180-დღიან მონაკვეთში რეპროდუცირება ან გავრცელება, მათ შორის ელექტრონული საშუალებებით, მოხდა ისეთი ნაწარმოების 1 ასლის მაინც, და რომელთა საერთო ღირებულება 1000 აშშ დოლარს აღემატება. 3. მესამე შემთხვევაა, როცა პირი კომერციული გავრცელებისთვის გამიზნულ ნაწარმოებს უნებართვოდ ავრცელებს ან კომპიუტერული ქსელის მეშვეობით საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომს ხდის.²¹¹ 2319-ე ნაწილში სამივე ტიპის უკანონო ქმედებისთვისაა განსაზღვრული სასჯელი: ჯარიმა და პატიმრობა.²¹² დამამძიმებელ გარემოებებს წარმოადგენს: ფინანსური ინტერესი, დანაშაულის განმეორებით ჩადენა, უკანონო ასლების ოდენობა და სხვა.²¹³

აღსანიშნავია, რომ პასუხისმგებლობის დაკისრების ნორმები წლების განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა. მაგალითად, 1994 წელს პროკურატურამ ვერ შეძლო რობერტ ლამაქიასთან პასუხისმგებლობის დაკისრება, რადგან მის მიერ განხორციელებული მოქმედება: კომპიუტერული პროგრამების ინტერნეტით უნებართვოდ გავრცელება არ ატარებდა კომერციულ ხასიათს და არც სხვა სარგებელს აძლევდა დამრღვევს.²¹⁴ კანონის არსებული ვერსიით ლამაქია დაისჯებოდა, რადგან მან დროს შესაბამის მონაკვეთში 1000 აშშ დოლარზე მეტი ღირებულების პროგრამა ატვირთა.

თავის მხრივ, ტექნოლოგიურ საშუალებათა გვერდის ავლისა და უფლების მართვის შესახებ ინფორმაციის შეცვლის/წაშლის ნორმებიც აწესებს პასუხისმგებლობის ზემოთ ჩამოთვლილ ფორმებს.²¹⁵

3.2.ევროკავშირი

3.2.1. 2004/48/EC დირექტივა²¹⁶

²⁰⁹ იქვე, §506(a)(1).

²¹⁰ იქვე, §506(a)(1)(A).

²¹¹ იქვე, §506(a)(1)(C).

²¹² იხ. 18 U.S. Code § 2319.Criminal infringement of a copyright.

²¹³ იქვე.

²¹⁴ *Spinello A. R., Tavani T.H., Intellectual Property Rights: From Theory to Practical Implementation, Intellectual Property Rights in a Networked World : theory and practice, 2005, 36.*

²¹⁵ 17 U.S. Code §1203-§1204.

²¹⁶ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის დირექტივა 2004/48/EC, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ, [2004] OJ L 157/16.

რაც შეეხება ევროკავშირს, აქამდე განხილული ევროპული თუ საერთაშორისო დოკუმენტები ზოგად მითითებას მაინც შეიცავენ უფლებების დაცვის უზრუნველყოფის შესახებ. მათ გარდა, ცალკე გამოსაყოფია 2004/48/EC დირექტივა, რომელიც უშუალოდ აღსრულებას შეეხება. დირექტივის განმარტებით ნაწილში ვკითხულობთ, რომ საერთაშორისო შეთანხმებების მიუხედავად, წევრი სახელმწიფოების შიდა კანონმდებლობა არაა ჰარმონიზებული, ზოგიერთ ქვეყანაში საავტორო უფლების მფლობელებს არ აქვთ უფლების დაცვის საკმარისი მექანიზმები.²¹⁷ საავტორო უფლების დარღვევები ხშირად უკავშირდება ორგანიზებულ დანაშაულს, ამასთან, გახშირდა მეკობრეობა.²¹⁸ დირექტივით განმტკიცებული ზომების მიღების მოთხოვნა შეუძლიათ არა მხოლოდ უფლების მფლობელებს, არამედ იმ პირებსაც პირდაპირი ინტერესი და შესაბამისი სამართლებრივი მდგომარეობა გააჩნიათ, მათ შორის, უფლების მართვის ორგანიზაციებს.²¹⁹ სამოქალაქო და ადმინისტრაციულსამართლებრივი ზომების მიმღების გარდა, ზოგიერთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი სანქციების გამოყენებაც დასაშვებია, მაგრამ ეს უკანასკნელი დირექტივის მოქმედების სფეროში არაა მოქცეული.²²⁰

დირექტივა ყურადღებას ამახვილებს მტკიცებულებებზე. თუ მხარე წარადგენს მის ხელთ არსებულ მტკიცებულებასა და მოთხოვნის განსამტკიცებლად მეორე მხარის მფლობელობაში არსებული დოკუმენტაცია/მტკიცებულება ესაჭიროება, სასამართლომ უნდა დაავალოს მეორე მხარეს აღნიშნული მტკიცებულების წარდგენა,²²¹ ამასთან, საჭიროების შემთხვევაში სხვა უწყებებიდან/დანესებულებებიდან და გამოითხოვოს დაიცვას გარკვეული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.²²²

დირექტივა მითითებას იძლევა მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ. თუ მხარე მის ხელთ არსებულ მტკიცებულებებს წარადგენს იმის თაობაზე, რომ მისი უფლება დაირღვა ან შეიძლება მალევე დაირღვეს, სასამართლოს შეუძლია მიიღოს კანონით დადგენილი ეფექტიანი ზომები მტკიცებულების დაცვის

²¹⁷ OJ L 157/17, recital 7.

²¹⁸ OJ L 157/17, recital 9.

²¹⁹ OJ L 157/18, recital 18.

²²⁰ OJ L 157/19, recital 28, Art. 2(3)(c).

²²¹ OJ L 157/20, Art. 6(1).

²²² OJ L 157/20, Art. 7(1).

უზრუნველსაყოფად.²²³ ასეთი ზომა შეიძლება უფლებადამრღვევი ნივთის დეტალური აღწერა, ნიმუშის აღება, დაყადაღება, დოკუმენტაციის გამოთხოვა და სხვა.²²⁴ თუ დაყოვნებამ შეიძლება უფლების მფლობელს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს, ან არსებობს მტკიცებულების განადგურების რისკი, სასამართლოს განჩინება მეორე მხარის მოსმენის გარეშე გამოაქვს.²²⁵

სასამართლოს შეუძლია მიიღოს წინასწარი (შუალედური) ზომები სარჩელთან დაკავშირებით, მათ შორის, იმ მესამე პირების მიმართ, რომლებიც ეხმარებიან უშუალო დამრღვევს, გარდა საავტორო სამართლის შესახებ 2001 წლის დირექტივის 8(3) მუხლში მითითებული მომსახურების მიმწოდებლებისა.²²⁶

დირექტივა სასამართლო აკრძალვის გამოყენების ზოგად მითითებას იძლევა. როდესაც დადგინდება საავტორო უფლებების დარღვევა, წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ სასამართლომ შეეძლოს ქმედების გაგრძელების აკრძალვა, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, დამრღვევს შეიძლება დაეკისროს მრავალჯერადი ჯარიმა.²²⁷

როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ მხარემ განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გარეშე დაარღვია სხვა პირის უფლებები, დირექტივის მე-5 ნაწილში გათვალისწინებული ზომების ალტერნატივის სახით, მას შეიძლება დაეკისროს დაზარალებული პირისთვის ფულადი კომპენსაციის გადახდა.²²⁸

ზიანის ანაზღაურებას მე-12 მუხლი განსაზღვრავს, რომლის მიხედვითაც, პირს, რომელმაც იცოდა, ან უნდა სცოდნოდა, რომ არღვევდა ინტელექტუალური საკუთრებით დადგენილ უფლებებს, დაზარალებული მხარისთვის ზიანის ანაზღაურება ეკისრება.²²⁹ თანხის დადგენისას უფლებამოსილმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს სხვადასხვა ეკონომიკური თუ მორალური ფაქტორი,²³⁰

²²³ OJ L 157/20, Art. 6(2).

²²⁴ იქვე.

²²⁵ იქვე.

²²⁶ OJ L 157/17, Art. 9(1)(a); აღნიშნული პირებთან მიმართებით 2001 წლის დირექტივა ისედაც მიუთითებს, რომ თავად წევრომა სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ისეთი კანონები, რომელთა დახმარებით უფლების მფლობელები შეძლებენ სასამართლო აკრძალვის მოთხოვნას იმ შუამავალი პირების წინააღმდეგ, რომელთა მომსახურებასაც მესამე პირები უფლებების დასარღვევად იყენებენ.

²²⁷ OJ L 157/23, Art. 11.

²²⁸ OJ L 157/23, Art. 12.

²²⁹ OJ L 157/23, Art. 13(1).

²³⁰ OJ L 157/23, Art. 13(1)(a).

ალტერნატიულად, ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს ანაზღაურების მყარი თანხა.²³¹

თუ პირმა განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გარეშე დაარღვია შესაბამისი უფლებები, კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურმა ორგანომ მას შეიძლება დააკისროს მიღებული შემოსავლის ან კომპენსაციის დაზარალებული მხარისთვის გადაცემა.²³²

3.2.2. დირექტივის შედეგი

კომისია პერიოდულად აქვეყნებს დოკუმენტს დირექტივის შეფასების შესახებ. 2017 წლის დოკუმენტში²³³ დირექტივის მოქმედება დადებითადაა შეფასებული, მისი იმპლემენტაცია ყველა წევრმა სახელმწიფომ განახორციელა, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მექანიზმების კუთხით მეტ-ნაკლებად ერთიანი მიდგომა ჩამოყალიბდა.²³⁴

კონსულტაციების შედეგად დადგინდა, რომ დირექტივის მე-3 მუხლით დადგენილი სტანდარტი, რომ გამოყენებული ზომა უნდა იყოს სამართლიანი, პროპორციული და ეფექტური, ამასთან არ უნდა იყოს ზედმეტად გართულებული და დიდ ხარჯთან დაკავშირებული, ხშირად ირღვევა.²³⁵ კერძოდ, სასამართლო აკრძალვის ღონისძიებას ზოგჯერ ზედმეტად მარტივად იყენებს, სხვა დროს კი პირიქით, რაც მიუთითებს ერთიანი სტანდარტის არარსებობასა და დაუბალანსებლობაზე.²³⁶

შეფასებაში ვკითხულობთ, 2010 წლის ანგარიში მიუთითებდა, რომ დირექტივა არ იყოს მომზადებული ინტერნეტსივრცეში ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან ეფექტიანად საბრძოლველად.²³⁷ გამოსავლის საძიებლად სხვადასხვა ტიპის კონფერენცია და შეხვედრები გაიმართა. თავდაპირველად, მოლაპარაკებები გაიმართა საერთაშორისო შეთანხმების, “ACTA”-ს მიღებისთვისაც, მაგრამ უარყოფითი გამოხმაურების შედეგად,

²³¹ OJ L 157/23, Art. 13(1)(b).

²³² OJ L 157/23, Art. 13(2).

²³³ COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT EVALUATION Accompanying the document COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL AND THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE Guidance on certain aspects of Directive 2004/48/EC of the European Parliament and of the Council on the enforcement of intellectual property rights, 2017, Brussels, ხელმისაწვდომია: <<https://ec.europa.eu/>>.

²³⁴ იქვე, 45.

²³⁵ იქვე, 38-39.

²³⁶ იქვე, 39.

²³⁷ იქვე, 69.

ევროკავშირმა სხვა გზა აირჩია.²³⁸ 2014 წელს კომისია მიიღო დოკუმენტი: “IPR enforcement Action Plan”, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების დაცვისთვის სხვა სტრატეგიას ითვალისწინებს: მომხმარებლების დასჯის სანაცვლოდ, აქცენტი იმ პირებზე გაკეთდა, რომლებიც უფლებების დარღვევით სარგებელს იღებენ.²³⁹ კომისია წარმატებად მიიჩნევს იმას, რომ ინტერნეტ მეკობრეობასთან ბრძოლის წინააღმდეგ სხვადასხვა ნებაყოფლობით ინიციატივა ხორციელდება, თავად დაინტერესებული პირები ცდილობენ ისეთი პრაქტიკის დანერგვას, რომელიც დამრღვევ საიტებს შემოსავლებს შეუზღუდავს და ინტერნეტ მეკობრეობას არამიმზიდველს გახდის.²⁴⁰

3.3. „მეკობრული კონტენტის“ მომხმარებელთა წინააღმდეგ მიღებული სხვა ზომები

3.3.1. “Graduated Response” და საფრანგეთი

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საკანონმდებლო რეგულაციით ან თავად ინდუსტრიის ნებაყოფლობითი თანამშრომლობით შექმნილია მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ინტერნეტ სერვის პროვაიდერების მიერ კონტროლდება აბონენტთა ინტერნეტტრაფიკი.²⁴¹ „მეკობრულ“ ფაილებთან წვდომის შემთხვევაში ინტერნეტის მიმწოდებელი აბონენტის ქმედების აღსაკვეთად სხვადასხვა ზომას მიმართავს. აღნიშნული ნორმები „მზარდი პასუხისმგებლობის“/პასუხის²⁴² სახელითაა ცნობილი. ისინი რამდენიმე სახელმწიფოში მოქმედებენ. მსგავსი ნორმების შემოღება წინააღმდეგობებით აღსავსე აღმოჩნდა საფრანგეთში. 2009 წელს მზარდი პასუხისმგებლობის შესახებ კანონი - “HADOPI” მიიღეს, რომელიც ითვალისწინებდა ინტერნეტის მომსახურების შეჩერებასა და შეწყვეტას.²⁴³

²³⁸ იქვე, 70.

²³⁹ იქვე.

²⁴⁰ იქვე, 40-41.

²⁴¹ „კომპიუტერული სისტემის მიერ გენერირებული ნებისმიერი კომპიუტერული მონაცემი, რომელიც კომუნიკაციათა ჯაჭვის ნაწილია, მიუთითებს კომუნიკაციის წყაროს, დანიშნულების ადგილს, მიმართულებას, დროს, თარიღს, ზომას, ხანგრძლივობას და ძირითადი მომსახურების ტიპს“ -< <http://gil.mylaw.ge/ka/term/859.html>>.

²⁴² “graduated response”.

²⁴³ Strowel, A., et. al. The ‘Graduated Response’ in France : Is It the Good Reply to Online Copyright Infringement. In: Irini Stamatoudi, Copyright Enforcement and the Internet, I. Stamatoudi 2010, 148, ხელმისაწვდომია: <http://graduatedresponse.org/new/wp-content/uploads/2016/12/Graduated-Response.Stamatoudi.2010.pdf>

საკონსტიტუციო საბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ კანონი შეიცვალა (“HADOPI I”) და უარი ითქვა მკაცრ სანქციებზე.²⁴⁴ სისხლისსამართლებრივი სანქციების მოსაწესრიგებლად იმავე წელს მიიღეს ახალი კანონი (“HADOPI II”), რომელიც საკონსტიტუციო საბჭომ ძალაში დატოვა.²⁴⁵ ხსენებული კანონები ერთობლიობაში მოქმედებენ და ქმნიან სისტემას, რომელიც ეტაპობრივად ამკაცრებს ანტიმეკობრულ სანქციებს. აღნიშნული წესები “three strikes”-ის სახელითაცაა ცნობილი.²⁴⁶

წლების განმავლობაში “HADOPI”-ს მოქმედების სქემა შემდეგში მდგომარეობდა: “HADOPI” უფლებათა მფლობელების მიერ დანიშნული პირებისაგან იღებს შეტყობინებებს, ამონებს მათ, საფუძვლიანობის შემთხვევაში კი ინტერნეტის მომსახურების მიმწოდებლებისაგან IP მისამართის მიხედვით გამოითხოვს აბონენტის მონაცემებს.²⁴⁷ შემდეგ ეტაპზე ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლების მეშვეობით შესაბამის აბონენტებს ეგზავნებათ საინფორმაციო ხასიათის შეტყობინებები, რომლებიც მითითებულია სავარაუდო დარღვევის ზუსტი თარიღი, “HADOPI”-ს საკონტაქტო მონაცემები და ინტერნეტ-მეკობრეობის გავლენის შესახებ ინფორმაცია.²⁴⁸ თუ შეტყობინებიდან 6 თვის განმავლობაში იგივე აბონენტი კვლავ იქნება შემჩნეული საავტორო უფლებების დარღვევაში, მას მეორე შეტყობინებაც ეგზავნება, შესაძლებელია იყოს მითითება იმაზე, რომ ამ უკანასკნელმა გაატაროს უსაფრთხოების ზომები.²⁴⁹

„მზარდი პასუხის“ ბოლო ეტაპზე, “HADOPI” ან მის მიერ უფლებამოსილი პირი შეისწავლის და გამოიძიებს შესაძლო დარღვევის საქმეს, საჭიროების შემთხვევაში აბონენტსაც ევალება საკუთარი პოზიციის წარდგენა.²⁵⁰ კვლევის შედეგები წარედგინება მთავარ პროკურორს, რომელიც წყვეტს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწესების საკითხს, საჭიროების შემთხვევაში, ცალკე გამოიძიებას ატარებს იმის თაობაზე, აბონენტმა თავად დაარღვია საავტორო უფლებები თუ უსაფრთხოების ადეკვატური ზომების მიუღებლობის

²⁴⁴ იქვე.

²⁴⁵ იქვე.

²⁴⁶ “About Graduated Response”, ხელმისაწვდომია: <http://graduatedresponse.org/new/?page_id=5>. [12.07.2019].

²⁴⁷ Strowel, A., ; et. al. The ‘Graduated Response’ in France : Is It the Good Reply to Online Copyright Infringement. In: Irini Stamatoudi, Copyright Enforcement and the Internet, I. Stamatoudi 2010, p. 149

²⁴⁸ იქვე.

²⁴⁹ იქვე, 149-150.

²⁵⁰ იქვე, 150.

გამო სხვამ გამოიყენა მისი მონაცემები.²⁵¹ კრიმინალური პროცედურების დანჯების შემდეგ, უკვე სასამართლო წყვეტს, რა ტიპის სანქციები გაატაროს დამრღვევის მიმართ. სანქციის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნას აბონენტისთვის ინტერნეტ-მომსახურების 1 წლამდე ვადით შეჩერება, რა დროის განმავლობაშიც მან მაინც უნდა გადაიხადოს სააბონენტო გადასახადი, ამასთან, სხვა პროვაიდერებსაც ეკრძალებათ მასთან ინტერნეტის მიწოდების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება.²⁵² იმ პირს, რომელმაც გაუფრთხილებლობით ხელი შეუწყო საავტორო უფლებების დარღვევას, შეიძლება 1 თვემდე ვადით შეუჩერდეს ინტერნეტი.²⁵³ ნებისმიერ შემთხვევაში, აბონენტს შეუძლია გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრება.²⁵⁴

“HADOPI”-ს გარდა, უფლების დამრღვევების წინააღმდეგ სხვა მექანიზმებიც არსებობს. როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონალურ დონეზე ევროპაში არსებობს “Uniform Dispute Resolution Policy” (“UDRP”), რომელიც წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების უფლებიდან გამომდინარე დავების გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას, არბიტრაჟს.²⁵⁵

აღსანიშნავია, რომ ფრანგული კანონმდებლობა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაში მოიაზრებს ინტერნეტკავშირსაც, სწორედ ამიტომაც, რომ მისი შემზღუდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი მხოლოდ სასამართლოა.²⁵⁶

3.3.1.1. “HADOPI”-ს შედეგები

2013 წელს კანონი შეიცვალა, გაუქმდა ინტერნეტის შემზღუდვის შესაძლებლობა, რაც შეეხება ჯარიმას, თუ სათანადოდ გაფრთხილებული პირი 1 წლის განმავლობაში რამდენჯერმე იქნება შემჩნეული ინტერნეტში ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევაში, ან უსაფრთხოებისთვის საჭირო ზომებს არ მიიღებს, მას სასამართლოს მიერ 1500 ევრომდე ჯარიმა დაეკისრება.²⁵⁷ რა საკვირველია, დაზარალებულისთვის კვლავ ხელმისაწვდომია

²⁵¹ იქვე.

²⁵² იქვე, 150-151.

²⁵³ იქვე, 151.

²⁵⁴ იქვე.

²⁵⁵ იქვე, 153.

²⁵⁶ იქვე, 155.

²⁵⁷ “Survey shows that the French graduated response fights online copyright infringement efficiently”, updated 17.04.2018, ხელმისაწვდომია:

უფლების დაცვის საავტოროსამართლებრივი საშუალებები, დამრღვევი შეიძლება დაისაჯოს როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის მიხედვით.

„მზარდი პასუხის“ ეფექტიანობის თაობაზე სხვადასხვა კვლევა ჩატარდა. საფრანგეთის მაგალითზე ერთ-ერთი ასეთი წამყვანი კვლევის მიხედვით,²⁵⁸ “HADOPI”-მ გაამართლა მოლოდინები. “ITUNES”-ის მეშვეობით მუსიკის ლეგალური შექმნა, კონტროლის ჯგუფის სხვა ქვეყნებთან შედარებით, საფრანგეთში 25%-ით გაიზარდა, პოზიტიური ტენდენციები გამოიკვეთა კომპაქტური დისკების ლეგალურ ყიდვასთანაც დაკავშირებით.

3.3.2. ნებაყოფლობითი ინიციატივები აშშ-ში

აშშ-ში “DMCA”-ს ამოქმედებამ მომსახურების მიმწოდებლებს, დაცვასთან (“safe harbours”) ერთად, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის სანინაალმდეგოდ მოქმედების ვალდებულება დააკისრა. აქედან მოყოლებული ონლიან თუ ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლები ცდილობენ, რომ გაითვალისწინონ კანონის მოთხოვნები, ამასთან, საუკეთესო პრაქტიკის დასამკვიდრებლად ნებაყოფლობით ინიციატივებშიც ერთვებიან. მათი აქტიურობა ზოგჯერ შეიძლება არც იყოს მისასალმებელი, რადგან “DMCA”-ს ისედაც ხისტი რეგულაციების კიდევ უფრო დამძიმება, პირველ რიგში, მომხმარებლებსა (აბონენტებს) და პატარა ინტერნეტ-პლატფორმებს აზარალებს.²⁵⁹

“DMCA”-ს მიხედვით, ინტერნეტ-პლატფორმებს, რომლებიც მომხმარებლის მიერ ატვირთული მასალისაგან შედგება, “Notice&Takedown”-სა და უფლების არაერგზის დამრღვევი პირის სანინაალმდეგო პროცედურების დანერგვა ევალებათ, უშუალოდ ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებელს (“ISP”) კი - მხოლოდ ამ უკანასკნელის. მომსახურების მიმწოდებელს არ გააჩნია ზედამხედველობის ზოგადი მოვალეობა, მაგრამ უფლების მფლობელები ხშირად ცდილობენ, რომ სასამართლოსგან ამგვარი განმარტება მიიღონ, მათი არგუმენტია, რომ მომსახურების მიმწოდებლებს გააჩნიათ ცოდნა იმის თაობაზე,

<http://copyrightblog.kluweriplaw.com/2018/04/17/survey-shows-french-graduated-response-fights-online-copyright-infringement-efficiently/> [12.07.2019]

²⁵⁸ *Danaher B., Smith M. D., Telang R.*, Piracy and Copyright Enforcement Mechanisms, University of Chicago Press, Innovation Policy and the Economy, Vol. 14, 2013, 51-52

²⁵⁹ *Bridy A.*, Copyright’s Digital Deputies: DMCA-Plus Enforcement by Internet Intermediaries, Forthcoming in John A. Rothchild (ed.), RESEARCH HANDBOOK ON ELECTRONIC COMMERCE LAW, Edward Elgar, 2016, 4-5.

რომ მათ სისტემაში ინტელექტუალური საკუთრების უფლებები ირღვევა.²⁶⁰ საკამათოა, რა ზომები უნდა იქნეს მიღებული უფლების მრავალჯერადად დამრღვევის წინააღმდეგ. კერძოდ, შეიძლება თუ არა ამ ნორმის საფუძველზე ვივარაუდოთ, რომ ამერიკული კანონმდებლობაც ითვალისწინებს „მზარდი პასუხის“ გამოყენებას? კანონმდებლობით და სასამართლო პრაქტიკით არა, მაგრამ „მზარდი პასუხის“ გარკვეული ნაირსახეობა მოლაპარაკებების გზით შეიქმნა.²⁶¹

3.3.2.1. “Six Strikes”²⁶²

აშშ-ს ხუთმა უმსხვილესმა ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებელმა 2011 წელს მემორანდუმი გაათორმა ფილმებისა და მუსიკის ინდუსტრიის წარმომადგენლებთან, რამაც “six strikes” სისტემის შექმნა მოჰყვა. მემორანდუმი Copyright Alert System-ს (“CAS”) ემყარებოდა, გამოიყენებოდა ადგილობრივი ფართოზოლოვანი მომსახურებისთვის და მისი მიზანი “P2P” ქსელებში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა გახლდათ.²⁶³

„ექვსი გაფრთხილების“ სისტემა შემდეგნაირად მოქმედებს: უფლების მფლობელი ინტერნეტის მომსახურების მიმწოდებელს შესაძლო დარღვევის შესახებ ინფორმაციას აწვდის, მითითებულ “IP” მისამართზე მომსახურების მიმწოდებელი შეტყობინებას აგზავნის.²⁶⁴ პირველი ორი შეტყობინება მხოლოდ ინფორმაციულ ხასიათს ატარებს. მესამე და მეოთხე შეტყობინება უფრო მკაცრია და ამავდროულად, აბონენტის მხრიდან მიღების დადასტურებას ითხოვს.²⁶⁵ მეხუთე შეტყობინების გაგზავნის შემდეგ მომსახურების მიმწოდებელს შეუძლია კონკრეტული საშუალებების გამოყენება, მათ შორის: ინტერნეტის სიჩქარის დროებითი შემცირება, აბონენტის გადაყვანას სპეციალურ გვერდზე, სადაც მას მოუწევს საავტორო უფლებების შესახებ ინსტრუქციის შევსება ან კომპანიის წარმომადგენლებთან დაკავშირება, ინტერნეტთან წვდომის დროებითი შეზღუდვა და სხვა.²⁶⁶ მომსახურების მიმწოდებელი არ იყო ვალდებული, რომ

²⁶⁰ იქვე, 7.

²⁶¹ იქვე, 8.

²⁶² იქვე, 8-9.

²⁶³ იქვე, 9-10.

²⁶⁴ იქვე, 10.

²⁶⁵ იქვე, 10-11.

²⁶⁶ იქვე, 11.

აბონენტისთვის ინტერნეტის მიწოდება შეეჩერებინა, მთავარია, რომ ბოლო ეტაპზე მას გარკვეული ზომა მიეღო, თუნდაც ნაკლებად მკაცრი.

ინიციატივა თავიდანვე გააკრიტიკეს,²⁶⁷ პირველ რიგში იმიტომ, რომ საზოგადოების ჩართულობის გარეშე იქნა მიღებული. აგრეთვე, ის არ ითვალისწინებდა არასწორი შეტყობინებების შედეგად დაზარალებულთა ინტერესებს. აღრესატებს უჭირდათ პოზიციის დაცვა, რადგან დავა ხარჯებს უკავშირდებოდა და ამასთან, ზედმეტად იყო შეზღუდული შესაგებლები.

3.3.2.2. ინიციატივის შედეგი

2017 წლის დასაწყისში პროგრამა დაიხურა. “MPAA” -ს (ამერიკული კინოს ასოციაცია) განცხადებით, სისტემა არ იყო საკმარისად ეფექტიანი და ვერ მოახერხა აქტიური „მეკობრეების“ „შემინება“.²⁶⁸

„მზარდი პასუხის“ სისტემის ლეგიტიმურობა ხშირად დგება ეჭვქვეშ, თუნდაც იმიტომ, რომ უსაფუძვლოდ დადანაშაულებულ აბონენტს სიმართლის დასამტკიცებლად არაპროპორციული ფულადი და დროის რესურსის ხარჯვა უწევს.²⁶⁹ საკამათოა ისიც, თუ შიდა კანონმდებლობების მიხედვით, რამდენად დასაშვებია ინტერნეტთან წვდომის შეზღუდვის დანერგვა,²⁷⁰ მით უმეტეს, რომ ზოგჯერ უფლებამოსილ პირად გვევლინება არა სასამართლო, არამედ კერძო კომპანია. ერთ-ერთი მოსაზრებით,²⁷¹ სჯობს, რომ “safe harbours”-ისე განიმარტოს, რომ არაორაზროვნად დადგინდეს მომსახურების მიმწოდებელს (“ISP”) არ გააჩნია ინდუსტრიის მიერ შემუშავებული „მზარდი პასუხის“ ტიპის სისტემის იმპლემენტირების ვალდებულება. ამასთან, ამერიკის მაგალითმა გვაჩვენა, რომ ინდუსტრიის მიერ შემუშავებული სქემა ხშირად მიკერძოებულია და არ ითვალისწინებს საზოგადოების ინტერესებს, ამიტომ თუ მაინც გადაწყდა მსგავსი სისტემის დანერგვა, სჯობს, რომ ეს ყველაფერი საკანონმდებლო დონეზე

²⁶⁷ “It’s the End of the Copyright Alert System (As We Know It)”, updated 6.02.2017, ხელმისაწვდომია: < <https://www.eff.org/deeplinks/2017/02/its-end-copyright-alert-system-we-know-it>> [13.07.2019].

²⁶⁸ იქვე.

²⁶⁹ *Suzor N., Fitzgeralds B.*, The Legitimacy of Graduated Response Schemes in Copyright Law, UNSW Law Journal Volume 34(1), 2011, 40-41.

²⁷⁰ იქვე.

²⁷¹ იქვე, 41.

მონესრიგდეს, პროცესი უფრო გამჭვირვალე გახდეს და ნორმების ჩამოყალიბების დროს ყველა დაინტერესებული პირის ინტერესი დაიცვან.²⁷²

3.3.3. პასუხისმგებლობა დაუცველი უსადენო ქსელისათვის

3.3.3.1. აშშ

საინტერესოა, რომ ინტერნეტის დაცვის ეფექტიანი ზომების მიუღებლობა შეიძლება, გაცილებით მძიმე შედეგის მომტანი აღმოჩნდეს. მაგალითად, WLAN-ის (უსადენო ადგილობრივი ქსელი²⁷³) და ზოგადად, უსადენო ქსელის ოპერატორები (იგულისხმებიან აბონენტები) პაროლის დაუყენებლობით გაუფრთხილებლად მოქმედებენ, რადგან მათ შეიძლება პასუხისგება მოუწიოთ იმ პირის ქმედებისთვის, რომელმაც ქსელი ინტერნეტ-დანაშაულის ჩასადენად გამოიყენა. მაგალითად, “BitTorrent”-ის მეშვეობით არალიცენზირებული ფაილების გაზიარების მიზეზით უფლების მფლობელებმა 250000 ადამიანზე მეტს უჩივლეს, მათი ვინაობა კი “IP მისამართით” დადგინდა, რადგან სასამართლოები ხშირად ავალეებენ ინტერნეტის მომსახურების მიმწოდებელს “IP მისამართთან” დაკავშირებული პირის ვინაობის გამჟღავნებას.²⁷⁴

ვინაობის დადგენის შემდეგ უფლების მფლობელები უკვე შესაბამის პირს უგზავნიან მორიგების შესახებ შეთავაზებას, თანაც უთითებენ არაადეკვატურად დიდ ფულად კომპენსაციაზე, შემინებული ხშირად აბონენტები თანხმდებიან შეთავაზებებს, თუნდაც არ ჩაედინათ სავადო ქმედება.²⁷⁵ აღნიშნული სქემა განსაკუთრებით ეფექტიანია, როდესაც საქმე ეხება პორნოგრაფიულ მასალას, რადგან მორიგება მოპასუხეთა ანონიმურობას უზრუნველყოფს.²⁷⁶ არაერთ გახმაურებულ საქმეში დადასტურდა, რომ უკანონო ქმედებებს სხვა პირები ჩადიოდნენ. ჩანს, რომ საჩივრების მიზანი ხშირად მორიგების „გამოძალვა“ და არა - სასამართლოს მიერ საქმის განხილვა.²⁷⁷

²⁷² იქვე.

²⁷³ <<https://techdict.ge/ka/word/WLAN%7Cen/>> [13.07.2019].

²⁷⁴ *Watkins G. C.*, *Wireless Liability: Liability Concerns for Operators of Unsecured Wireless Networks*, 65 *Rutgers L. Rev.* 635 (2013), 648.

²⁷⁵ იქვე.

²⁷⁶ იქვე, 649.

²⁷⁷ იქვე, 650.

3.3.3.2. გერმანია

უსადენო ქსელებთან დაკავშირებით საინტერესოა გერმანული მიდგომა. ქსელის ოპერატორს (აბონენტს) ევალება იმის შემოწმება, არის თუ არა ქსელი ადეკვატურად დაცული მესამე პირის მიერ მისი უკანონო მიზნით გამოყენებისაგან.²⁷⁸ აბონენტი დაჯარიმდება თუ აღნიშნული ვალდებულება ვერ შეასრულა და ქსელი ფაილის არაავტორიზებულად გადმოწერის ან გავრცელებისთვის გამოიყენეს.²⁷⁹

თავი 4. საავტორო უფლებების დაცვა საქართველოში

4.1. საერთაშორისო ხელშეკრულებები და შიდა საკანონმდებლო ბაზა

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი შემოქმედების თავისუფლების უზრუნველყოფაზე მიუთითებს, ამასთან აღგენს, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლება დაცულია კანონით. საავტორო სამართალთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“.²⁸⁰ საქართველო მიერთებულია საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის შესახებ მიღებულ სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებას: „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ“ ბერნის კონვენცია (საქართველო წევრია 1995 წლის 16 მაისიდან), „შემსრულებლების, ფონოგრამის დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების დაცვის შესახებ“ რომის კონვენცია (საქართველო წევრია 2004 წლის 14 აგვისტოდან), ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმებები „საავტორო უფლებების შესახებ“ (WCT) და „შემსრულებებისა და ფონოგრამების შესახებ“ (WPPT) (საქართველო წევრია 2002 წლის 20 მაისიდან), ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის „ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრებაზე უფლებების ასპექტების შესახებ“ (TRIPS) შეთანხმება (საქართველო წევრია 2000 წლის 14 ივნისიდან).²⁸¹

²⁷⁸ იქვე, 664-665.

²⁷⁹ იქვე.

²⁸⁰ საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ სსმ, 28(35), 08/07/1999.

²⁸¹ <<http://www.sakpatenti.gov.ge/ka/page/27/>> [14.07.2019]

4.1.1. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი

ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ქართულ კანონმდებლობაში არაერთი რეფორმა განხორციელდა, ცვლილება შეეხორკოროც მატერიალურ კანონმდებლობას, ასევე უფლების დაცვის მექანიზმებს. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის²⁸² მე-17 მუხლი ნაწარმოების ავტორის არაქონებრივ, ხოლო მე-18 მუხლი - ქონებრივ უფლებებს გამოყოფს. ნაშრომის მიზნებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქონებრივი უფლებების განხილვა, რადგან ნაწარმოების უნებართვოდ გამოყენებით საავტორო უფლების მფლობელის განსაკუთრებული უფლება: აკრძალოს/ნება დართოს ნაწარმოების რეპროდუცირება, გავრცელება საჯაროდ ჩვენება, ირღვევა.

კანონის 21-ე-23-ე მუხლები²⁸³ იმ საგამონაკლისო შემთხვევებს ადგენენ, როდესაც საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების გამოყენება დასაშვებია, ავტორისთვის კომპენსაციის გადახდით თუ მის გარეშე. საქართველო, როგორც ევროპული სამართლის ოჯახის წარმომადგენელი, საავტორო უფლებების კუთხითაც ევროპულ მიდგომას ირჩევს და ამომწურავ სიას გვთავაზობს.

კანონის 58-ე მუხლში²⁸⁴ ჩამოთვლილია, რა ითვლება საავტორო, მომიჯნავე და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დარღვევად. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ნაწარმოების/შესრულების/ბაზის უკანონოდ გამოყენებას და სხვა. „ისმოს“ 1996 წლის ხელშეკრულებების გავლენით, კანონი ითვალისწინებს დარღვევის შედეგ სახეებსაც: უფლების მართვის ინფორმაციის უნებართვოდ ნაშლა, ტექნოლოგიური დაცვის საშუალებების გვერდის ავლა, გვერდის ავლის ხელშეწყობა და ამისთვის საჭირო ტექნოლოგიის წარმოება, გავრცელება, იმპორტი, გაქირავება, რეკლამირება და სხვა.²⁸⁵

²⁸² კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, მე-17 და მე-18 მუხლები.

²⁸³ იქვე, მ. 21-23.

²⁸⁴ იქვე, მ. 58.

²⁸⁵ კანონის 58(3)(ე.ბ) მუხლში ვკითხულობთ: „რომელსაც აქვს შეზღუდული კომერციული მნიშვნელობა და ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლის გარდა შესაძლებელია მისი სხვა მიზნით გამოყენება;“ შესაძლოა დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, ანალოგიური ტიპის ნორმები მოცემულია ნაშრომში განხილულ ორ დოკუმენტში: “DMCA”-სა და ევროკავშირის საავტორო სამართლის 2001 წლის დირექტივაში და ორივე შემთხვევაში მითითებულია, რომ ტექნოლოგია აკრძალულია, როდესაც მას, დაცვისთვის გვერდის ავლის გარდა, შეზღუდული კომერციული მნიშვნელობა აქვს.

4.2. უფლების დაცვის საშუალებები

საავტორო, მომიჯნავე და მონაცემთა ბაზის დამამზადებლისთვის კანონის მე-60 მუხლი²⁸⁶ ითვალისწინებს უფლების დაცვის რამდენიმე საშუალებას, რომლებიც „ისმოს“ 1996 წლის ხელშეკრულებებითა და “TRIPS“-ის მიერაა ნაკარნახევი:

1. უფლების აღიარება.

2. უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და იმ მოქმედების აღკვეთა, რომელიც არღვევს უფლებას ან ქმნის დარღვევის საფრთხეს. აღნიშნული ნორმის ადრესატი შეიძლება გახდეს როგორც დამრღვევი, ასევე მისი ხელშემწყობი.

3. კონტრაფაქციული ასლების, ასევე ტექნოლოგიური საშუალებებისთვის გვერდის ავლისთვის საჭირო მასალის ჩამორთმევა.

4. ზიანის ანაზღაურება (მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით) ან დამრღვევის მიერ მიღებული შემოსავლის მოსარჩელისთვის გადაცემა.

4.2.1. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

საავტორო, მომიჯნავე და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დარღვევისთვის პასუხისმგებლობას საქართველოს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“²⁸⁷ 157¹-157³ მუხლები აწესრიგებს. დარღვევის სიმძიმისა და მრავალჯერადობის გათვალისწინებით, ჯარიმის ოდენობა 500 ლარიდან 5000 ლარამდე მერყეობს, დასაშვებია დარღვევისთვის გამოყენებული მონაცემების ჩამორთმევა/განადგურება. ამ კანონის მიხედვით დაჯარიმების უფლებამოსილება პოლიციას აქვს და არა - კოლექტიური მართვის ორგანიზაციას, რომელიც უკეთ ერკვევა საავტორო უფლების დარღვევის საკითხებში, აღნიშნული შეუსაბამობა ნორმის არაეფექტიანობას განაპირობებს.²⁸⁸

4.2.2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

საქართველოს „სისხლის სამართლის კოდექსის“²⁸⁹ მიხედვით, ნაწარმოების კანონის დარღვევით შეძენა, იმპორტი, შენახვა და სხვა

²⁸⁶ კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, მ. 60.

²⁸⁷ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 31/12/1984.

²⁸⁸ ბეჟაშვილი ზ. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების როლი საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2013, 44.

²⁸⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 13/08/1999, 183-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

დასახელებული ქმედებები, ჩადენილი დიდი ოდენობის შემოსავლის მიღების მიზნით, ჯარიმით ან 1-დან 2 წლამდე შინაპატიმრობით, ხოლო თუ ქმედება განსაკუთრებით დიდი ოდენობის შემოსავლის მიღების მიზნით, ან/და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერაა ჩადენილი, მაშინ პირს სასჯელის სახით შეიძლება 3 წლამდე პატიმრობაც შეეფარდოს. იურიდიული პირს რაც შეეხება, ის შეიძლება დაჯარიმდეს, საქმიანობის უფლება ჩამოერთვას ან საქმე მისი ლიკვიდაციით დასრულდეს.

4.2.3. უფლების დაცვის საპროცესოსამართლებრივი საშუალებები

2017 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს²⁹⁰ დაემატა მე-75 კარი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის შესახებ დავის თავისებურებებს აყალიბებს. მიღებული რეგულაციები სარჩელის უზრუნველყოფისა და მტკიცებულებების ნაწილში ჰგავს ნაშრომში განხილულ კიდევ ერთ დოკუმენტს: „აღსრულების დირექტივას“ (2004/48/EC). კანონის 363²⁷ მუხლის მიხედვით, როცა საფრთხე ექმნება მტკიცებულებას, განსაკუთრებული უფლების მფლობელის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ შეიძლება გამოიტანოს განჩინება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. აღნიშნული ღონისძიება შეიძლება გულისხმობდეს სადავო ნივთის აღწერას (ნიმუშის აღებით ან მის გარეშე) ან/და ყადაღის დადებას. გადაუდებელ შემთხვევაში, შეიძლება არც მოუსმინონ მეორე მხარეს.²⁹¹

363²⁸ ინფორმაციის მიღების უფლებას აწესებს. ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის შესახებ დავაში, მოსარჩელის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, მეორე მხარეს შეიძლება დაევალოს სხვადასხვა ტიპის, მათ შორის, ფინანსური ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების წარდგენა. მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია.²⁹²

ინფორმაციის გადაცემის შესახებ მოთხოვნა შეიძლება წარედგინოს სხვა პირსაც, რომელიც სხვადასხვა სახით მონაწილეობდა შესაძლო დარღვევის საქმეში.²⁹³

²⁹⁰ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 31/12/1997

²⁹¹ იქვე, მ. 363²⁷ (1)-(4).

²⁹² იქვე, მ. 363²⁸.

²⁹³ იქვე, მ. 363²⁸ (1)(ბ).

ამ ტიპის დავების მიმართაც გამოიყენება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები. 363²⁹⁴ მუხლის მიხედვით, განსაკუთრებული უფლების მფლობელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. აღნიშნული ღონისძიება შეიძლება მოიცავდეს ყადაღას, დოკუმენტაციის წარდგენის დავალდებულებას, ქმედების აკრძალვას და სხვა. ანალოგიური ზომები შეიძლება გამოიყენებულ იქნას იმ პირის მიმართაც, რომლის მომსახურება გამოიყენება ან გამოიყენებოდა განსაკუთრებული უფლების კომერციული მასშტაბით დარღვევისათვის.²⁹⁴

მითითებული კანონები ინტერნეტსივრცეში ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგაც გამოიყენება.

4.3. საავტორო უფლებების სფეროში მოქმედი ორგანიზაციები

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად,²⁹⁵ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებასა და სხვა ფუნქციების შესრულებას „საქპატენტი“ უზრუნველყოფს. „საქპატენტი“ საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელის უშუალო მონაწილეობით მომზადდა არაერთი კანონპროექტი.²⁹⁶ სხვა ფუნქციებთან ერთად, ის ჩაბმულია საგანმანათლებლო საქმიანობაში: ამზადებს წიგნებს, ბროშურებს, ანგარიშებს, აწყობს კონფერენციებს და სხვა.²⁹⁷ მაგალითად, 2017 წელს ორი კონფერენცია მიეძღვნა ქართული საავტორო სამართლისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებს: მომსახურების მიმწოდებლების პასუხისმგებლობასა და მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლას.²⁹⁸

საავტორო ან მომიჯნავე უფლების მფლობელს შეუძლია საკუთარი უფლების ინდივიდუალურად დაცვა, მაგრამ თუნდაც საქართველოს მასშტაბის ქვეყანაში, შეუძლებელია ნაწარმოების უნებართვოდ გამოყენების შემთხვევებზე რეაგირება. მომხმარებელთა და საავტორო უფლების მფლობელთა დასაკავშირებლად „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლი ითვალისწინებს ქონებრივი უფლების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების შექმნას. აღნიშნული ორგანიზაციები

²⁹⁴ იქვე, მ. 363²⁹ (1).

²⁹⁵ კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, მ. 63(1).

²⁹⁶ <<http://www.sakpatenti.gov.ge/ka/page/18/>> [13.07.2019].

²⁹⁷ იქვე.

²⁹⁸ <http://www.sakpatenti.gov.ge/ka/news_and_events/76/>; <http://www.sakpatenti.gov.ge/ka/news_and_events/129/> [13.07.2019].

(არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით იქმნებიან, საქმიანობის დაწყებისთვის სავალდებულოა რეგისტრაცია, ხოლო რეგისტრაციისთვის აუცილებელია, რომ ხელშეკრულებები ჰქონდეთ გაფორმებული მსგავსი ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ამასთან საჭიროა „საქპატენტის“ დადებითი დასკვნა.²⁹⁹ ავტორი მსგავსი ტიპის ორგანიზაციას ნებაყოფლობით გადასცემს ქონებრივი უფლებების მართვის უფლებას.³⁰⁰

დღეის მდგომარეობით, საქართველოში ერთადერთი კმო ფუნქციონირებს: „საავტორო უფლებათა ასოციაცია“, რომელიც აქტიურადაა ჩაბმული საავტორო უფლებების დაცვის საკითხებში, მოლაპარაკებებს მართავს დაცული ნაწარმოებების მოსარგებლეებთან, უშუალო მონიტორინგითა თუ სასამართლოს დახმარებით, დაცული მუსიკალური ნაწარმოების უნებართვოდ საჯარო შესრულების ფაქტებმა იკლო, შესაბამისად, გაიზარდა ორგანიზაციის წევრი ქართველი თუ უცხოელი ავტორების ანაზღაურება.³⁰¹

ავტორთა უფლებებს იცავს პირველი ქართული მუსიკალური გამომცემელი, „ჯი ემ აი“ (GMI Rights Management) რომელიც საავტორო უფლებათა ასოციაციასთან თანამშრომლობით, სასამართლოში წარმომადგენლობას უწევს შესაბამისი უფლების მფლობელებს.³⁰²

4.4. ინტერნეტსივრცე და განსახორციელებელი ცვლილებები

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სივრცის შესახებ მოლაპარაკებები ჯერ კიდევ 2009 წელს დაიწყო. ევროკომისიამ საქართველოს წარუდგინა სხვადასხვა სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების სია, რომლიდან ერთ-ერთს ინტელექტუალური საკუთრების სამართალი წარმოადგენდა.³⁰³ 2014 წლის 27

²⁹⁹ ბეჟაშვილი მ., ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების როლი საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2013, 29-30.

³⁰⁰ კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, მ. 64(1).

³⁰¹ ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ:

<<https://www.gca.ge/index.php?cid=60&lang=geo>> [13.07.2019].

³⁰² ბეჟაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 2018, 34, ხელმისაწვდომია:

<<http://asocireba.ge/files/Mariam-Begiashvili-IPR-2018.pdf>> [14.07.2019]

³⁰³ <<http://www.dcfta.gov.ge/ge/agreement>> [14.07.2019]

იენის, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ხელი მოაწერა ასოცირების შეთანხმებას, რომლის რატიფიცირება საქართველოს პარლამენტმა 2016 წლის 18 ივლისს მოახდინა.³⁰⁴ საქართველომ ნელ-ნელა დაიწყო ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მოწესრიგება, ცვლილებები შეეხო რამდენიმე კანონს.³⁰⁵ ამავედროულად, საავტორო უფლებების დაცვის კუთხით მნიშვნელოვანია „ელექტრონული კომერციის შესახებ“ კანონი, რომლის შემუშავება ჯერ კიდევ 2016 წლის სამოქმედო გეგმით იყო გათვალისწინებული,³⁰⁶ მაგრამ მოლაპარაკებების პროცესი რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა. 2019 წლის შესრულების ანგარიშის მიხედვით, კანონპროექტი შემუშავებულია.³⁰⁷

4.4.1. „ელექტრონული კომერციის შესახებ“ კანონი

„ელექტრონული კომერციის შესახებ“ კანონის მიღებამ შეიძლება, მკვეთრად შეცვალოს ავტორების, სერვის-პროვაიდერებისა და მომხმარებლების მდგომარეობა. კანონპროექტის შედგენაში ჩართული პირების განცხადებებს თუ გავითვალისწინებთ, საავტორო უფლების დარღვევისას, დაზარალებულს შეეძლება რომ პირდაპირ მიმართოს სერვის პროვაიდერს იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელის სერვერზე პირის საავტორო უფლებები ირღვევა, თუ სერვის პროვაიდერი დაბლოკავს შესაბამის ვებგვერდს/საიტს, მას პასუხისმგებლობა მოეხსნება, მაგრამ თუ ამას არ გააკეთებს, დაზარალებულს შეეძლება რომ სასამართლოს მიმართოს და უშუალოდ სერვის პროვაიდერისგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.³⁰⁸

³⁰⁴ იქვე.

³⁰⁵ <<http://www.dcfta.gov.ge/ge/legislation>> [14.07.2019]

³⁰⁶ <<http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/implimentation/2016%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90.pdf>> [14.07.2019]

³⁰⁷ <<http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/implimentation/DCFTA%202019%20Q1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf>> [14.07.2019] კანონპროექტის შედგენა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მოვალეობაა. კანონპროექტის ტექსტი ჯერ არ გასაჯაროებულა.

³⁰⁸ ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 2018, 34-35.

4.4.2. ინტერნეტ-მეკობრეობა და მის წინააღმდეგ ბრძოლა საავტორო სამართლის სხვადასხვა სფეროში

მეკობრეობის დონე განსაკუთრებით თვალშისაცემია მუსიკალურსა და აუდიოვიზუალურ ნაწარმოებებთან მიმართებით. მუსიკალური ნაწარმოების საჯარო შესრულების საკითხებს „საავტორო უფლებათა ასოციაცია“ მეტ-ნაკლებად არეგულირებს: გასცემს შესაბამის ნებართვებს, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, სასამართლოს მეშვეობით იცავს ავტორთა უფლებებს. რაც შეეხება აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს, მეკობრეობა კვლავ წამყვან როლს ასრულებს. წლების განმავლობაში კომუნიკაციების ეროვნული კომისია³⁰⁹ განიხილავდა უფლების მფლობელების მხრიდან შემოსულ საჩივრებს.

საქართველოში ინტერნეტის გავრცელების სხვადასხვა ყოველთვის გამოიყენებოდა რამდენიმე ტიპის საიტი,³¹⁰ რომელთა მეშვეობითაც ხორციელდებოდა ნაწარმოებებზე არალიცენზირებული წვდომა/გადმოწერა. თავისთავად ქართული მეკობრული საიტებიც უკანონო გზებით მოიპოვებდნენ შესაბამის ფაილებს, ზოგჯერ ტელეკომპანიის მიერვე გახმოვანებული ვერსია ხდებოდა მეკობრეობის ობიექტი. სავარაუდო სისხლისსამართლებრივი შემადგენლობის მიუხედავად, როგორც წესი, დავა არ სცდებოდა ხოლმე სამოქალაქო/ადმინისტრაციულ ფარგლებს.

მეკობრეობით განსაკუთრებით ზარალდებიან ის პირები, რომელთაც კანონიერად აქვთ მოპოვებული ნაწარმოების გავრცელების/საჯარო ჩვენების უფლება: თანამედროვე ქართული კინოპროდუქცია, კინოთეატრები და ტელევიზიები, რომლებიც ლიცენზიის საფუძველზე ავრცელებენ ნაწარმოებს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოებას აქვს უფასო ალტერნატივა, რომლის გამოყენებაც სასურველ დროს შეუძლია, კანონიერი გამავრცელებლები შემოსავალს კარგავენ.³¹¹

კომუნიკაციების ეროვნული კომისია (GNCC) განიხილავს მსგავსი ტიპის საჩივრებს და უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს. მაგალითად, სხვადასხვა ფილმის არალიცენზირებული განთავსების გამო 2015 წელს შპს „კინოდისტრიბუციამ“ კომისიას მიმართა, რამდენიმე ქართული და რუსული

³⁰⁹ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია <<http://gncc.ge/ge/>>.

³¹⁰ მაგ. P2P ტიპის ქსელები, ე.წ. ტორენტები, სტრიმინგ საიტები და სხვა.

³¹¹ <<https://commersant.ge/ge/post/internet-mekobreebi-qartul-kino-industrias-atobit-milionbit-zarals-ayeneben>> [15.04.2016], [14.07.2019].

საიტის წინააღმდეგ, მაგრამ რეაგირება მხოლოდ ქართული საიტების მიმართ განხორციელდა.³¹² 2016 წელს რამდენიმე ტელეარხმა (შპს „იბერია-TV“, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, შპს „კინო დისტრიბუცია“ და შპს „ჯი დი ეს თი ვი“) კომისიას წარუდგინა განცხადება და მოითხოვა, რომ სამ ქართულ საიტს კონკრეტული ფილმები/სერიალები აელო. აქედან ორი დაემორჩილა განცხადებასა და შემდგომში, კომისიის წერილს, რაც შეეხება www.adjaranet.com, ადმინისტრაციამ უარი განაცხადა როგორც უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენაზე, ასევე კონტენტის ამოღებაზე.³¹³ საქმე იქამდე მივიდა, რომ კომისიამ ინტერნეტპროვაიდერებს მიმართა დაუმორჩილებლობის შემთხვევაში საიტის დაბლოკვის მოთხოვნით. სადავო საიტი მცირე დროით დაბლოკა კომპანია „სილქნეტმა“, მაგრამ www.adjaranet.com ახალი საიტის მეშვეობით დაბრუნდა.³¹⁴ კომისიის განცხადებით, დაბლოკვასთან მიმართებით მათი უფლებამოსილება შესაბამისი რეგლამენტით დასტურდება: „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის“ მე-10¹ მუხლის შესაბამისად, ინტერნეტმომსახურების გამწვევი პირი, ინტერნეტპროვაიდერი ვალდებულია შეიმუშაოს ისეთი მექანიზმი, რომელიც შესაძლებლობას მისცემს გააუქმოს ან განაკავშიროს მომხმარებელი, თუ გამოვლინდა ან ცნობილი გახდა, რომ ის აწარმოებს დაუშვებელი პროდუქციის გავრცელებას, ხოლო ამავე რეგლამენტის მე-3 მუხლის 3¹ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაუშვებელი პროდუქცია არის ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით გადაცემული პორნოგრაფია, სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველი, პირადი ცხოვრების შემლახველი, ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი, უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევი, უზუსტო, საავტორო უფლებებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემული სხვა პროდუქცია.“³¹⁵

საიტი კონტენტის ამოღების შესახებ წერილის დაუმორჩილებლობას იმას უკავშირებდა, რომ ინტერნეტსივრცეში გავრცელების უფლებას არც აღნიშნული 4

³¹² იქვე.

³¹³ <<https://netgazeti.ge/news/113588/>> [11.05.2019].

³¹⁴ იქვე.

³¹⁵ <<https://netgazeti.ge/news/113588/>>[11.05.2016] [14.07.2019].

კომპანია არ ფლობდა. აღნიშნული ვერ გამოდგება პასუხისმგებლობის არიდების საკმარის საფუძვლად. მეტიც, კომპანიები, რომლებიც საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების საჯარო გადაცემას უნებართვოდ ახორციელებენ, არღვევენ კანონს. შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლებრივი დევნის დანაწევების საფუძველიც კი არსებობს, რადგან ისინი მოგების მიღების მიზნით მეკობრული წყაროებიდან გაცნობიერებულად მოიპოვებენ და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომს ხდიან მასალებს.

ინტერნეტსაიტის დაბლოკვის თაობაზე “GNCC”-ს უკვე აქვს მიღებული გადაწყვეტილება, „ელექტრონული კომერციის შესახებ“ ახალი კანონი სავარაუდოდ, უფრო გაამკაცრებს მომსახურების მიმწოდებლების პასუხისმგებლობას, საკამათოა, რამდენად უნდა ჰქონდეს პროვაიდერს იმის ვალდებულება, რომ სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს მითითების გარეშე, თავად გადაწყვიტოს ირღვევა თუ არა საავტორო უფლებები და დაბლოკოს საიტი. აღნიშნული კომპანიები ჰოსტინგის მომსახურებასაც აწვდიან ქართულ საიტებს, რომლებმაც შეიძლება უცხოურ მომსახურებაზე გადასვლა არჩიონ, პერიოდულად გადამისამართდნენ, რაც გაართულებს კანონის აღსრულებას. მეტიც, პრობლემურია უკვე არსებული საკანონმდებლო ბაზა. კერძოდ, “GNCC”, ფაქტობრივად, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიერ მინიჭებული უფლებამოსილებით ახორციელებს იმას, რაც ევროპასა და აშშ-ში სასამართლოს მეშვეობით ხორციელდება: საიტის დაბლოკვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ ინტერნეტსერვერებში არალიცენზირებულ კონტენტთან საბრძოლველად საჭიროა იმ პირთა ჩართულობა, რომლებმაც კანონიერი გზებით შემოიტანეს პროდუქცია, აპირებენ მის გავრცელებას და ებრძვიან კონკურენტებს - პროდუქციის უკანონოდ გამავრცელებლებს. აღნიშნული საკითხი მეტ-ნაკლებად მოგვარებულია ტელემაუნწყებლებთან მიმართებით. “GNCC”-ს ოფიციალურ გვერდზე იძებნება არაერთი ისეთი საქმე, როდესაც ტელემაუნწყებელი უნებართვოდ აჩვენებდა სხვადასხვა ტიპის პროდუქციას, უფლების მფლობელის მიმართვის საფუძველზე კი კომისიამ მის წინააღმდეგ გამოიტანა გადაწყვეტილება, ქმედება კი აღიკვეთა.³¹⁶ ერთ ასეთ

³¹⁶ გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია: <<http://gncc.ge/ge/legal-acts/solutions>> [14.07.2019].

საქმეში³¹⁷ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ კომისიას მიმართა სს „სილქნეტის“ წინააღმდეგ „მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევით გადაცემის გამო. დოკუმენტში ვკითხულობთ:³¹⁸ „კომისია აღნიშნავს, რომ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, განსაკუთრებული ლიცენზიის ხელშეკრულებით ავტორი ან საავტორო უფლების სხვა მფლობელი მხოლოდ ლიცენზიანტს აძლევს განსაკუთრებულ უფლებას, გამოიყენოს ნაწარმოები ხელშეკრულებით განსაზღვრული სახითა და ფარგლებში და მასვე ანიჭებს უფლებას, აკრძალოს ნაწარმოების ამგვარი გამოყენება სხვა პირთა (მათ შორის, ავტორის) მიერ. ნაწარმოების სხვა პირთა მიერ გამოყენების აკრძალვის უფლება შეიძლება განახორციელოს ავტორმა, თუ ლიცენზიანტი არ აწარმოებს ამ უფლების დაცვას. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელმა“ წერილობით (კომისიაში რეგისტრაციის №-6/3639-18, 01.08.2018) დაადასტურა, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელს“, როგორც ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების საქართველოს ტერიტორიაზე რეტრანსლირების ექსკლუზიური უფლების მფლობელს არ გააჩნია პრეტენზია სს „სილქნეტის“ მიმართ და ითხოვს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტას.“ საბოლოოდ, დავა შეწყდა, რადგან მხარეებმა შეთანხმება მიაღწიეს, მაგრამ აქედანაც ჩანს, რომ ექსკლუზიური უფლების მფლობელს სათანადო სამართლებრივი და პრაქტიკული საშუალება გააჩნია მაუწყებლის ან პროვაიდერის მიერ ჩადენილი დარღვევის აღსაკვეთად.

ინტერნეტსივრცეში ხდება ფოტოგრაფიული ნაწარმოების, ასევე ინტერნეტმედიის მიერ გამოქვეყნებული სტატიის უნებართვოდ გამოყენება. ზოგი საიტი „დაკოპირების“ ფუნქციას ბლოკავს, მაგრამ მხოლოდ ეს არაა საკმარისი უფლების დასაცავად.³¹⁹ 2019 წელს თბილისის საქალაქო სასამართლომ პრეცედენტული გადაწყვეტილება გამოიტანა, მოსარჩელე „პალიტრამედიის“ 4-წლიანი სამართლებრივი დავა დასრულდა იმით, რომ მოპასუხე საიტს,

³¹⁷ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება, <<http://gncc.ge/ge/legal-acts/solutions/2018-529-18.page>> [14.07.2019].

³¹⁸ იქვე.

³¹⁹ ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 2018, 36.

რომელმაც არაერთი სტატია თუ ფოტო უნებართვოდ გადაიტანა თავის ვებგვერდზე, 117600 ლარის კომპენსაციის გადახდა დაეკისრა.³²⁰

ინტერნეტსივრცეში ფოტოების უნებართვოდ გამოყენების შესახებ სხვა არსებობს გადაწყვეტილებებიც, რომელთა ფარგლებში მოპასუხეებს ზიანის ანაზღაურება დაევალათ.³²¹

ინტერნეტსივრცესთან მიმართებით საინტერესოა კიდევ ერთი საქმე, რომელშიც ონლაინ ლექსიკონს, www.translate.ge-ს წინააღმდეგ დავა წამოიწყო წყაროდ გამოყენებული ერთ-ერთი ლექსიკონის შემდგენელის მემკვიდრეებმა.

კანონის მიხედვით,³²² ლექსიკონების გამომცემლებს აქვთ მის გამოყენებაზე ექსკლუზიური უფლება, ავტორის გარდაცვალების შემდეგ ნაწარმოებზე ქონებრივი უფლებები გადადის მემკვიდრეობით ან ანდერძით.³²³ საავტორო უფლების დაცვის ვადები გასული არ იყო, შესაბამისად, პირები მოითხოვდნენ, რომ საიტს ამოეღო შესაბამისი მასალა და გადაეხადა კომპენსაცია. სასამართლო გადაწყვეტილებით საიტს დაეკისრა ჯარიმა და ყოველთვიური გადასახადი ნაწარმოების გამოყენებისთვის, შეთანხმების შედეგად, საიტმა სადავო სიტყვები ბაზიდან ამოიღო, შემცირდა გადასახდელი თანხა.³²⁴ მოგვიანებით, გვარჯალაძის ოჯახის წევრებმა ლექსიკონის სტრუქტურის ამოღებაც მოითხოვეს, რადგან საიტმა განმარტებები კი ამოიღო, მაგრამ სიტყვების განლაგება, მათი სტრუქტურა, ისევ ხელმისაწვდომია.³²⁵ შედგენილი ნაწარმოები, საავტორო სამართლით მაშინაა

³²⁰ <<https://www.ambebi.ge/article/232361-117-600-laris-sankcia-statiebis-moparvistvis-pirveli-sasamartlo-precedenti-sakartveloshi/>> [12.03.2019], [14.07.2019].

³²¹ ბეგიაშვილი მ., ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 2018, 36.

³²² „საავტორო და მომჩინავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტი.

³²³ იქვე, 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

³²⁴ <<https://netgazeti.ge/news/263821/>> [30.03.2018]

³²⁵ <<https://on.ge/story/20897-translate-ge-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83>>

დაცული, როდესაც მასალის შერჩევა/განლაგება ავტორის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს.³²⁶ საინტერესოა, ამ მიმართულებით როგორ განვითარდება პრაქტიკა ისე, რომ არაპროპორციულად არ შეილახოს მოქალაქის ინტერესები.

4.4.3. ინტერნეტსივრცეში მეკობრეობის გამომწვევი მიზეზები

საავტორო უფლებების დაცვა მთელი მსოფლიოს პრობლემაა, განსაკუთრებით რთული ვითარებაა განვითარებად ქვეყნებში. პირველ რიგში, საკითხავია, თუ რატომ ირჩევს საზოგადოება კონტენტის არალიცენზირებული წყაროებიდან მიღებას? მას განაპირობებს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, ზოგჯერ კი ლეგიტიმური წყაროების არარსებობა მაშინ, როდესაც პროდუქტის მიღების არაერთი საეჭვო (უკანონო) გზა არსებობს.

4.4.3.1. სოციალური მიზეზები და საზოგადოებრივი განწყობა

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სამომხმარებლო საზოგადოება ჯერ მზად არ არის მეკობრეობაზე უარის სათქმელად. უკვე რამდენიმე წელია საქართველოშიც ხელმისაწვდომია აუდიოვიზუალური ნაწარმოებების კანონიერი სტრიმინგ-პლატფორმა „ნეტფლიქსი“.³²⁷ გამომწერს შეუძლია, რომ ყოველთვიური გადასახადის სანაცვლოდ, სასურველ მოწყობილობაში იხილოს არაერთი ფილმი თუ სერიალი, სია პერიოდულად ახლდება. 2018 წლის ბოლოს პლატფორმამ ინოვაციური პროდუქტი წარადგინა: ინტერაქტიული ფილმი, „Black Mirror: Bandersnatch“, რომლის მიმდინარეობასაც თავად მაყურებელი ირჩევდა, ამავდროულად, სისტემა ისე იყო მოწყობილი, რომ 5-საათიანი ქრონომეტრაჟის მქონე მასალას, განვითარებით მილიონობით ვარიაცია ჰქონდა, ფილმის მოპარვის შემთხვევაში კი მაყურებელს 5-საათიანი ფილმის ნახვა კი

[%98%E1%83%A1-%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%A1](https://www.netflix.com/ge/) > [6.04.2018], [14.07.2019].

³²⁶ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი.

³²⁷ <<https://www.netflix.com/ge/>> [14.07.2019].

შეეძლო, მაგრამ ინტერაქტიული რეჟიმი არ იყოს ხელმისაწვდომი.³²⁸ შედეგად, მთელს მსოფლიო, მათ შორის, საქართველოშიც იმატა იმ მომხმარებელთა რიცხვმა, რომლებმაც 1-თვიანი უფასო საცდელი პერიოდით ისარგებლეს, ნახეს ფილმი, შემდეგ კი გამოწერა გააუქმეს. რაც შეეხება სტანდარტული ფორმით მოწოდებულ პროდუქციას, ფილმი იქნება ეს, მუსიკალური ნაწარმოები, ელექტრონული წიგნი თუ სხვა, მათი „უფასო“ ანალოგების მოძიება ინტერნეტში არც ისე რთულია. სწორედ ამიტომ, დიდი სადისტრიბუციო კომპანიები ერიდებიან მომსახურების წარმოადგენას ისეთ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის ოდენობა, შესაბამისად, ბაზარი მცირეა, მეკობრეობის მასშტაბები კი - პირიქით.

როგორც აღინიშნა, საქართველოში საავტორო უფლებების დაცვის კუთხით პრობლემას წარმოადგენს არა კანონმდებლობა, არამედ - მისი აღსრულება. გასათვალისწინებელია კანონის სიმკაცრით დაცვის სოციალური ფასიც. არსებობს მოსაზრება, რომ განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის მიერ არალიცენზირებული კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით ამერიკელი მწარმოებლები არაფერს კარგავენ, რადგან მეკობრეული გზები რომ არა, დაბალი სოციალური ფენის მოსახლეობა ისედაც ვერ შეიძინდა საკმაოდ ძვირადღირებულ პროდუქციას.³²⁹ მსგავსს პრობლემაზე აკეთებენ აქცენტს 2013 წელს მომზადებული ერთ-ერთი ანგარიშის ავტორები.³³⁰ ლიცენზირებული პროდუქტის ფასებისა და ქართველი მომხმარებლების შემოსავლის შედარების შედეგად ის მოსაზრებაც კი იბადება, რომ თუ მომხმარებლებს არალიცენზირებულ პროგრამებთან წვდომას შევუზღუდავთ, ისინი ვერ შეიძინენ კანონიერ ანალოგს, ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი კი მკვეთრად დაეცემა.³³¹ ამის საპირისპიროდ, ავტორები

³²⁸ <<https://on.ge/story/32000-%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%A1-netflix-%E1%83%A1>> [31.12.2018], [14.07.2019].

³²⁹ *Spinello A. R., Tavani T.H., Intellectual Property Rights: From Theory to Practical Implementation, Intellectual Property Rights in a Networked World : theory and practice, 2005, 24-25.*

³³⁰ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ორმხრივი და მრავალმხრივი საგზაო რუკების შესრულება საქართველოში 2013 წელს ვაჭრობასა და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სფეროში, 2014, 54 , ხელმისაწვდომია: <http://www.epfound.ge/wp-content/uploads/2016/10/report_2013_geo.pdf> [14.07.2019].

³³¹ იქვე.

გვთავაზობენ მოსაზრებას, რომ ეფექტიანი, მაგრამ ნაკლებად ხისტი ცვლილებების გატარება შესაძლებელია.³³²

იმის გათვალისწინებით, რომ ჯერ „ელექტრონული კომერციის შესახებ“ კანონპროექტის ტექსტი ხელმისაწვდომი არაა, რთული სავარაუდოა კონკრეტულად რა სანქციებს და მექანიზმებს გაითვალისწინებს ის საავტორო უფლებების დასაცავად. თუ შეიქმნება ქმედითი მექანიზმი, მას მხოლოდ ის პირები გამოიყენებენ, რომლებსაც შესაბამის ნაწარმოებზე აქვთ უფლებები. აღნიშნულმა პრეცედენტებმა შეიძლება ბაზარი აუდიოვიზუალური მომსახურების მიმწოდებელი საერთაშორისო კომპანიებისთვისაც უფრო მიმზიდველი გახადოს.

www.adjaranet.com-ის საქმიდანაც კარგად ჩანს, რომ

მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი განწყობები. ამ მიმართულებით ჩატარდა კვლევა, რომლის მიხედვითაც, ინტერნეტ-მეკობრეობა მონაწილეთა დიდი ნაწილისთვის, არ არის სოციალურად მიუღებელი.³³³ საინტერესო ისაა, რომ კვლევის მონაწილეებს პრესტიჟული სამართლის სკოლების აკადემიური პერსონალი და სტუდენტები წარმოადგენდნენ. კვლევის ავტორები აღნიშნავენ, რომ ინტერნეტში მუსიკალური ნაწარმოებისა თუ ფილმის გამავრცელებელი კანონიერი პლატფორმები “P2P” ქსელებიდან წარმოიქმნენ, მათი წარმატების არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ გაითვალისწინეს მომხმარებელთა საჭიროებები, უფასო და ფასიანი მომსახურების კომბინაციით, ბაზარზე თავი დაიმკვიდრეს.³³⁴ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები კიდევ უფრო ლოიალურად არიან განწყობილნი ფაილების გაზიარების მიმართ, კანონმდებლობა კი ტენდენციების საწინააღმდეგოდ მოქმედებს.³³⁵

პარადოქსულია, მაგრამ ზოგჯერ სწორედ კონკურენციის ზრდა იწვევს მომხმარებლების მეკობრეობასთან დაბრუნებას. აღნიშნული ეხება მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნებსაც. ბოლო წლების განმავლობაში ლეგალური სტრიმინგ-პლატფორმები, მაგალითად, „ნეტფლიქსი“, ინტერნეტში ფილმების ნახვისთვის საუკეთესო საშუალებად მიიჩნეოდა. მას შემდეგ, რაც ბაზარზე სხვა პლატფორმებმაც მოიპოვეს პოპულარობა და ყველა მათგანი მეტ-ნაკლებად „ექსკლუზიურ“ პროდუქტს სთავაზობს მომხმარებელს, ეს უკანასკნელი

³³² იქვე, 54,55.

³³³ *Hergueux J. & Jemielniak D.*,: Should digital files be considered a commons? Copyright infringement in the eyes of lawyers, The Information Society, 2019, 1, 10.

³³⁴ იქვე.

³³⁵ იქვე, 3.

ყველა მათგანის გამონერისთვის ფულს აღარ იხდის და ურჩევნია, რომ გარკვეული პროდუქცია არალეგალურად, მაგრამ უფასოდ მოიპოვოს.³³⁶

4.4.3.2. ინტერნეტ-მეკობრეობასთან ბრძოლის ეფექტურობა

2005 წლამდე შვედეთი გახლდათ ის ერთადერთი ევროპული ქვეყანა, სადაც საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების პირადი გამოყენებისთვის გადმონერას კანონი დასაშვებად მიიჩნეოდა. 2005 წელს კი ევროკავშირის დირექტივის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესდა ასეთი მასალის ატვირთვა/გადმონერისთვის.³³⁷ ამას მოჰყვა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული შვედური ტორენტ-საიტის, “Pirate Bay”-ს სამართლებრივი დევნა. ტორენტ-საიტებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრობლემაა, რადგან ერთიანი მიდგომა, “P2P” ტიპის ქსელების კანონიერების თაობაზე, არ არსებობს. ტექნიკური თვალსაზრისით, აღნიშნული საიტები თვითონ არ არღვევენ კანონს, რადგან მათ სერვერზე არ ინახება მასალა - საიტი მომხმარებლებს აკავშირებს ერთმანეთთან. შვედეთის სასამართლომ “Pirate Bay”-სა და მისი დამფუძნებლების წინააღმდეგ მიიღო გადაწყვეტილება, ადგილობრივ ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლებს დაევალებათ კიდევ მისი დაბლოკვა, მაგრამ ამან შედეგი ვერ გამოიღო: სისტემის სხვადასხვა ვერსიის, შეცვლილი დომენებისა და რებრენდინგის შემდეგ, “Pirate Bay” კვლავ მოქმედი³³⁸ და ადასტურებს, რომ ტორენტ-საიტების დაბლოკვა თითქმის შეუძლებელია.³³⁹

„პარტიზანი“ მეკობრული საიტების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით საინტერესოა სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება.³⁴⁰ გადაწყვეტილებით სინგაპურის უმსხვილეს ინტერნეტ-მომსახურების

³³⁶ < https://www.vice.com/en_us/article/d3q45v/bittorrent-usage-increases-netflix-streaming-sites > [14.07.2019].

³³⁷ Chan C. H. L., Bittorrent: Friend or Foe in the Battle against Peer-to-Peer Copyright Infringement, 11 H.K. J. Legal Stud. 107 (2017), 119-120.

³³⁸ იქვე, 121-122.

³³⁹ იქვე, 141.

³⁴⁰ Disney Enterprises, Inc v M1 Ltd [2018] SGHC 206, ხელმისაწვდომია:

<https://www.supremecourt.gov.sg/docs/default-source/module-document/judgement/os95_18-disney-enterprises-inc-v-m1-limited-pdf.pdf> [14.07.2019].

მიმწოდებლებს დაევალოთ, რომ დაებლოკათ 53 ვებსაიტი, რომლებიც არღვევდნენ მოსარჩელეთა (კინონდუსტრიის წარმომადგენლები) საავტორო უფლებებს. ამასთან, გამოყენებულ იქნა „დინამიკური დაბლოკვის“ მექანიზმი,³⁴¹ რომლის მიხედვითაც მოპასუხეებს დაევალოთ ამავე ვებსაიტების ახალი დომენები, ბმულები და “IP” მისამართები. კერძოდ, უფლების მფლობელებმა მომსახურების მიმწოდებლებს უნდა გაუგზავნოთ ცნობა და დასაბლოკი მონაცემები. მომსახურების მიმწოდებელს მხოლოდ მაშინ ექნება უარის თქმის უფლება, თუ მოთხოვნა საკმარისად დასაბუთებული არაა.³⁴²

აღსანიშნავია, რომ დაბლოკვის ეფექტიანი მეთოდები ნელ-ნელა ინერგება. მაგალითად, ინგლისში სასამართლომ „ცოცხალ რეჟიმში დაბლოკვის“ შესახებაც მიიღეს განჩინება. კერძოდ, დაბლოკვა ყველა ის „სტრიმინგ სერვერი“, რომლებიც ინტერნეტში პირდაპირ რეჟიმში, უნებართვოდ გადმოსცემდნენ სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებას.³⁴³

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განხილულ იქნა ინტერნეტსივრცეში ნაწარმოების უნებართვოდ გამოყენება და მის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები. ევროკავშირის, აშშ-სა და საქართველოს მაგალითების განხილვის შედეგად გამოიკვეთა კანონმდებლობათა შესაბამისობაში მოყვანის მცდელობის ტენდენცია.

დადგინდა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად იზრდება საავტორო უფლების დარღვევის საფრთხე, საპასუხოდ მკაცრდება კანონმდებლობა. “DRM”-ის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ ავტორები სულ უფრო მეტად ცდილობენ თავიანთი ნაწარმოებების დაცვას. მათ მათ სახელმწიფოც ეხმარება: კრძალავს ტექნოლოგიური საშუალების გვერდის ავლასა და უფლების მართვის ინფორმაციის შეცვლას/წაშლას.

აშშ-ში ციფრულ ეპოქაში საავტორო უფლების დასაცავად მიღებულია “DMCA”. აქტი მომსახურების მიმწოდებლებს 4 ტიპის ქმედებისთვის უზღუდავს პასუხისმგებლობას: 1. დროებითი კავშირი; 2. სისტემის ქეშირება; 3. მომხმარებლების მხრიდან ინფორმაციის შენახვა სისტემებში ან ქსელებში; 4.

³⁴¹ < <https://mediawrites.law/first-dynamic-site-blocking-injunction-granted-in-singapore/> > [14.07.2019].

³⁴² იქვე.

³⁴³ იქვე.

ინფორმაციის ლოკაციის საშუალება. ამ უკანასკნელის გარდა, სამივე ტიპის ქმედება დაცულია ევროკავშირის „ელექტრონული კომერციის შესახებ“ დირექტივით. ორივე აქტი დეტალურად განსაზღვრავს პასუხისმგებლობის შებლუდვის პირობებს. თეორიულად, მომსახურების მიმწოდებლებს არ გააჩნიათ მომხმარებლების მონიტორინგის ან დარღვევაზე პროაქტიულად რეაგირების ვალდებულება, მაგრამ აღნიშნული პრინციპის მოქმედება საკამათოა, განსაკუთრებით, 2019 წელს „საავტორო უფლებების შესახებ“ დირექტივის მიღების შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ გავლენიანი ინტერნეტ-პლატფორმები თავადაც ნერგავენ საუკეთესო პრაქტიკას და ამით მათ მიმართ მოქმედ სტანდარტებს ამაღლებენ. ამის მაგალითია „იუთუბის“ “Content ID” სისტემა, რომელიც კომპანიამ გახშირებული სასამართლო დავების ფონზე მიიღო. სისტემა, რომლის შექმნასაც 100 მილიონი აშშ დოლარი დასჭირდა, 2019 წლის „საავტორო უფლებების შესახებ“ დირექტივით, ინდუსტრიის სტანდარტად იქცა, რაც საფრთხეს უქმნის ახალ პლატფორმებს.

საავტორო უფლებების დაცვის ეფექტიანი საშუალებაა მეორეული პასუხისმგებლობის დაკისრება. ნაშრომში განხილულ იქნა აშშ-ს სასამართლოების რამდენიმე გადაწყვეტილება, რომლებშიც მომსახურების მიმწოდებლებს დაეკისრათ პასუხისმგებლობა სისტემის მომხმარებელთა მიერ ჩადენილი ქმედებებისთვის. თითოეულ ამ შემთხვევაში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მომსახურების მიმწოდებლის განზრახვასა და დარღვევის აღსაკვეთად მის ხელთ არსებულ საშუალებებზე. აღსანიშნავია, რომ არსებული მონესრიგება ეფექტიანად ვერ იცავს ნაწარმოების კეთილსინდისიერად გამოყენების პრივილეგიას. რაც შეეხება ტექნოლოგიური დაცვის საშუალების გვერდის ავლის აკრძალვას, გამოჩნდა, რომ რეგულირება ცდება საავტორო სამართალს და ავტორს ხელოვნურად ანიჭებს ისეთი ნაწარმოების კონტროლის საშუალებას, რომელიც არ არის ან არასდროს ყოფილა საავტორო უფლების დაცვის ობიექტი.

აშშ-სა და საფრანგეთში დანერგილი „მზარდი პასუხის“ სისტემა, რომელიც უფლების დამრღვევს ჯერ ინფორმაციას აწვდიდა, ბოლოს კი სანქციას უწესებდა (რაც შეიძლებოდა ყოფილიყო ჯარიმა ან ინტერნეტკავშირის შეზღუდვა), სანცის ეტაპზე ეფექტიანი აღმოჩნდა, რადგან კვლევებმა ცხადყო, რომ მეკობრეობის დონე, სხვა ქვეყნებთან შედარებით, შემცირდა. საბოლოოდ, აშშ-ში

პროგრამა საერთოდ გაუქმდა, საფრანგეთში კი პასუხისმგებლობა შერბილდა. მის უარყოფით მხარეს წარმოადგენდა ადმინისტრირების სირთულე, მომსახურების მიმწოდებლებისთვის დადგენილი მკაცრი პირობები და აბონენტთა პირადი ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობა.

რაც შეეხება საქართველოს, კანონმდებლობის ანალიზმა და საერთაშორისო აქტებთან შედარებამ აჩვენა, რომ ქართული საავტორო სამართლის პრობლემა საკანონმდებლო ბაზის სიმცირეში კი არა, არამედ მის აღუსრულებლობაშია. დადგინდა, რომ კოლექტიურ საფუძველზე უფლების მართვის ორგანიზაციის აქტიურობით მეტ-ნაკლებად მონესრიგდა მუსიკალური ნაწარმოების საჯაროდ შესრულების და მისი დაცვის საკითხი. მნიშვნელოვანია კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობა, რომლის შედეგადაც მაუწყებლობის ორგანიზაციები უკეთ ახერხებენ უფლებების დაცვას. ინტერნეტსივრცეში სხვადასხვა საიტის მიერ აუდიოვიზუალური ნაწარმოების უნებართვოდ გამოყენების წინააღმდეგაც აღნიშნულ ორგანიზაციას მიმართავენ. დამკვიდრებული პრაქტიკით, თუ განმცხადებელს აქვს შესაბამისი ნაწარმოების ლიცენზია, კომისია ინტერნეტ-პლატფორმას ავალდებულებს არალიცენზირებული ნაწარმოების ამოღების თაობაზე. თუ სახეზე არაა პირი, რომელსაც ლიცენზია, ინტერნეტსივრცეში ნაწარმოების უნებართვოდ განთავსების საკითხს არაფერ აკონტროლებს. ინტერნეტსივრცეში კომერციული მეკობრეობა, კანონის დანაწესის მიუხედავად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველად არ იქცევა ხოლმე.

კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია რეგლამენტის საფუძველზე ავალდებულებს ინტერნეტის მომსახურების (ჰოსტინგის) მიმწოდებელს, რომ ურჩი საიტი დაბლოკოს. თეორიულად, სისტემა მოქნილია, რადგან ადმინისტრაციული ორგანო უფრო სწრაფად განიხილავს საჩივარს და მხარეებსაც აძლევს პოზიციის ჩამოყალიბების საშუალებას. მეორე მხრივ, სჯობს რომ აღნიშნული საკითხი კანონით მონესრიგდეს, დაბლოკვაზე კი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოდ სასამართლო დასახელდეს.

ნაშრომში განხილულ იქნა „ელექტრონული კომერციის შესახებ“ კანონის მიღების პერსპექტივები. როგორც აღინიშნა, სავარაუდოდ, კანონით მომსახურების მიმწოდებელს ექნება ვალდებულება, რომ სათანადო პირის მიმართვის საფუძველზე, თავის სერვერზე არსებული საიტი დაბლოკოს. სამწუხაროდ, კანონპროექტის საბოლოო ვერსია გასაჯაროებული არაა და არ

ვიცი, ითვალისწინებს თუ არა ის მომსახურების მიმწოდებლისა და საიტის ინტერესების დაცვასაც. თუ საქართველოს ბაზარზე შემოვა კომპანია, რომელსაც ქართულ ინტერნეტსივრცეში ფილმების კანონიერი ჩვენების უფლება ექნება, მოქმედ „მეკობრულ“ საიტებს, უკანონო კონტენტის სრულად ამოღება და შესაბამისად, დახურვა, ან ახალ ბიზნეს მოდელზე გადასვლა, რაც, რა თქმა უნდა, უფასო მომსახურებას არ გულისხმობს.

თუ <www.adjaranet.com>-ის შემთხვევას გავითვალისწინებთ, ზოგმა საიტმა შეიძლება არაერთგზის შეიცვალოს მისამართი ან სხვა ისეთ გზებს მიმართოს, რაც მათ დახურვას გამორიცხავს, სამაგიეროდ, რეკლამებიდან მიღებული შემოსავლის დიდ ნაწილს დაკარგავენ.

როგორც ვხედავთ, ქართული საიტებზე მეკობრეობასთან ბრძოლა მეტ-ნაკლებად შესაძლებელია, მაგრამ საერთაშორისო გამოცდილებამ აჩვენა, რომ მომხმარებლები მკაცრი რეგულირების პირობებშიც ახერხებენ არალეგალურ კონტენტთან წვდომას. მივიღებთ შედეგს, როდესაც უცხოური „ტორენტებისა“ და „სტრიმინგ-პლატფორმების“ დახმარებით მეკობრეობა მაინც გაგრძელდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ინტერნეტ-მისამართის დათარვისთვის გამოსაყენებელი საშუალებები კანონმდებლობით აკრძალული არ გახლავთ.

ნაწარმოების გამავრცელებელი არალიცენზირებული პლატფორმების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება და საავტორო უფლებათა გაძლიერება შეუქცევადი პროცესია. „ელექტრონული კომერციის შესახებ“ კანონი აღნიშნული მიზნების მიღწევას ხელს შეუწყობს. აუცილებელია საგანმანათლებლო და საინფორმაციო ღონისძიებების დაგეგმვა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. პარალელურად, უნდა შეიქმნას ანალოგიური მომსახურების საქართველოსთვის ხელმისაწვდომ ფასად შემოთავაზება. ამ ეტაპზე კი ქართველი მომხმარებელი ინტერნეტსივრცეში საავტორო უფლების დასაცავად მზად არ არის.

ნაშრომში მოყვანილი მაგალითებიდან გამოჩნდა, რომ ყველაზე კარგად საავტორო უფლების მფლობელს შეუძლია ნაწარმოების უნებართვოდ გამოყენების აღმოჩენა და სამართლებრივი საშუალებებით უფლების აღდგენა. მისასაღმებელია „პალიტრამედის“ პრეცედენტი, მაგრამ ის ფაქტი, რომ შედეგი დავის დაწყებიდან 4 წელში დადგა, სასამართლო სისტემის ნაკლოვანებაზე მიუთითებს.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა

- გაბუნია დ., საერთაშორისო საავტორო სამართალი, წიგნი II, ისმო-ს ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ, ისმო-ს ხელშეკრულება შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ, ანალიზი და კომენტარები, „საქპატენტი“, თბილისი, 2016
- ბეჟაშვილი ზ., ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების როლი საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2013
- Danaher B., Smith M. D., Telang R., Piracy and Copyright Enforcement Mechanisms, University of Chicago Press, Innovation Policy and the Economy, Vol. 14, 2013
- Jérôme Hergueux & Dariusz Jemielniak (2019): Should digital files be considered a commons? Copyright infringement in the eyes of lawyers, The Information Society, 1, 10 <https://doi.org/10.1080/01972243.2019.1616019>
- Tavani T. H., Recent Copyright Protection Schemes: Implications for Sharing Digital Information, Intellectual Property Rights in a Networked World : theory and practice, 2005
- Spinello A. R., Tavani T.H., Intellectual Property Rights: From Theory to Practical Implementation, Intellectual Property Rights in a Networked World : theory and practice, 2005
- Buchanan E., Campbell J., The Loss of the Information Commons through Law and Technology in the US, Intellectual Property Rights: From Theory to Practical Implementation, Intellectual Property Rights in a Networked World : theory and practice, 2005
- Peguera M., Converging Standards of Protection from Secondary Liability for Trademark and Copyright Infringement Online, 37 Colum. J.L. & Arts 609 (2014)
- Lichtman D., and Landes W., “Indirect Liability for Copyright Infringement: An Economic Perspective”, Harvard Journal of Law & Technology, Volume 16, Number 2, Spring 2003
- Bridy A., Copyright’s Digital Deputies: DMCA-Plus Enforcement by Internet Intermediaries, Forthcoming in John A. Rothchild (ed.), RESEARCH HANDBOOK ON ELECTRONIC COMMERCE LAW, Edward Elgar, 2016

- Finck M., Moscon V., Copyright Law on Blockchains: Between New Forms of Rights Administration and Digital Rights Management 2.0, IIC - International Review of Intellectual Property and Competition Law, 2019
- Burk L. D., Anticircumvention Misuse, 50 UCLA LAW REVIEW 1095 (2003)
- Presseller S., Copyright Infringement Via Social Media Live Streaming Shortcomings of the Digital Millennium Copyright Act, 7 Ariz. St. U. Sports & Ent. L.J. 357 (2018)
- Strowel, A.,; et. al. The 'Graduated Response' in France: Is It the Good Reply to Online Copyright Infringement. In: Irini Stamatoudi, Copyright Enforcement and the Internet, I. Stamatoudi 2010
- Suzor N., Fitzgeralds B., The Legitimacy of Graduated Response Schemes in Copyright Law, UNSW Law Journal Volume 34(1), 2011
- Watkins G. C., Wireless Liability: Liability Concerns for Operators of Unsecured Wireless Networks, 65 Rutgers L. Rev. 635 (2013)
- Chan C. H. L., Bittorrent: Friend or Foe in the Battle against Peer-to-Peer Copyright Infringement, 11 H.K. J. Legal Stud. 107 (2017)

ნორმატიული მასალა

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 31/12/1997
- საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 31/12/1984
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, სსმ, 41(48), 13/08/1999
- 17 U.S. Code Title 17
- ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 8 ივნისის დირექტივა 2000/31/EC, საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების გარკვეული ასპექტების, კერძოდ შიდა ბაზარზე ელექტრონული კომერციის შესახებ (დირექტივა ელექტრონული კომერციის შესახებ) [2000] OJ L178/1
- ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 22 მაისის დირექტივა 2001/29/EC, საინფორმაციო საზოგადოებაში საავტორო და მასთან დაკავშირებული უფლებების ზოგიერთი ასპექტის ჰარმონიზაციის შესახებ [2001] OJ L167/10

- ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის დირექტივა 2004/48/EC, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ, [2004] OJ L 157/16.
- ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 17 აპრილის დირექტივა 2019/790, ერთიან ციფრულ ბაზარზე საავტორო და მასთან დაკავშირებული უფლებებისა და 96/9/EC და 2001/29/EC დირექტივებში შესწორებების შეტანის შესახებ [2019] OJ L130/92
- WIPO Copyright Treaty (WCT) 1996
WIPO Performances and Phonograms Treaty (WPPT) 1996

სასამართლო გადაწყვეტილებები

- Viacom international, Inc., v. YouTube, Inc., (2012), ამერიკის შეერთებული შტატების მეორე ფედერალური ოლქის სააპელაციო სასამართლო, 676 F.3d 19
- Campbell v. Acuff-Rose Music, Inc., 510 U.S. 569 (1994)
- Cariou v. Prince, (2013), ამერიკის შეერთებული შტატების მეორე ფედერალური ოლქის სააპელაციო სასამართლო, 714 F.3d 694
- Sony Corp. v. Universal City Studios, 464 U.S. 417 (1984)
- A&M Records, Inc. v. Napster, (2001), ამერიკის შეერთებული შტატების მეცხრე ფედერალური ოლქის სააპელაციო სასამართლო, 239 F. 3d 1004
- Metro-Goldwyn-Mayer Studios INC. v. Grokster, LTD, 545 U.S. (2005)
- UNIVERSAL CITY STUDIOS, INC v. Shawn C. REIMERDES, et al(2000) 111 F.Supp.2d 294, ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური რაიონული სასამართლო.
- Universal City Studios v. Corley, (2001) ამერიკის შეერთებული შტატების მეორე ფედერალური ოლქის სააპელაციო სასამართლო 273 F.3d 429 (2d Cir. 2001)
- eBay Inc. v. MercExchange, L.L.C., 547 U.S. 388 (2006)
- Winter v. Natural Resources Defense Council 555 U.S. 7 (2008);
- Salinger v. Colting (2010), ამერიკის შეერთებული შტატების მეორე ფედერალური ოლქის სააპელაციო სასამართლო, 607 F.3d 68
- Disney Enterprises, Inc v M1 Ltd [2018] SGHC 206

- <https://matsne.gov.ge/> [14.07.2019]
- <http://gil.mylaw.ge> [14.07.2019]
- <http://cyber.harvard.edu> [14.07.2019]
- <https://techdict.ge>. [14.07.2019]
- <https://www.law.cornell.edu/> [14.07.2019]
- <https://www.copyright.gov/> [14.07.2019]
- <http://www.dmlp.org/> [14.07.2019]
- <https://venturebeat.com/> [14.07.2019]
- <https://support.google.com> [14.07.2019]
- <https://www.theverge.com> [14.07.2019]
- <https://www.wipo.int/portal/en/> [14.07.2019]
- <http://www.sakpatenti.gov.ge/ka/> [14.07.2019]
- <https://eur-lex.europa.eu> [14.07.2019]
- <https://on.ge/> [14.07.2019]
- <https://netgazeti.ge/> [14.07.2019]
- <http://gncc.ge/ge/> [14.07.2019]
- <https://netgazeti.ge/> [14.07.2019]
- <https://www.eff.org/> [14.07.2019]
- <https://www.gca.ge> [14.07.2019]
- <https://en.wikipedia.org> [14.07.2019]
- www.papers.ssrn.com [14.07.2019]
- <https://home.heinonline.org/> [14.07.2019]

სხვა გამოყენებული ლიტერატურა

- ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ორმხრივი და მრავალმხრივი საგზაო რუკების შესრულება საქართველოში 2013 წელს ვაჭრობასა და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სფეროში, 2014, თბილისი
- ბეგიაშვილი მარიამ, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 2018,
- https://globalstudy.bsa.org/2011/downloads/study_pdf/2011_BSA_Piracy_Study-InBrief.pdf [14.07.2019]
- <http://www.dcfta.gov.ge/ge/agreement>>
- ELECTRONIC FRONTIER FOUNDATION (“EFF”) <<https://www.eff.org/issues/acta>> [14.07.2019]

- <https://mediawrites.law/first-dynamic-site-blocking-injunction-granted-in-singapore/> [14.07.2019]
- The European Copyright Directive: What Is It, and Why Has It Drawn More Controversy Than Any Other Directive In EU History? Updated 19.03.2019, ხელმისაწვდომია: < <https://www.eff.org/deeplinks/2019/03/european-copyright-directive-what-it-and-why-has-it-drawn-more-controversy-any> [14.07.2019]
- EU Lawmakers Are Still Considering This Failed Copyright Idea. Updated 24.03.2016, ხელმისაწვდომია: <https://fortune.com/2016/03/24/eu-ancillary-copyright/> [14.07.2019]
- <https://www.copyright.gov/legislation/dmca.pdf> [14.07.2019]
- EEF, Unintended Consequences: Sixteen Years under the DMCA, September 2014 <<https://www.eff.org/files/2014/09/16/unintendedconsequences2014.pdf>> [14.07.2019]
- < <https://www.consilium.europa.eu/media/35373/st09134-en18.pdf>> [14.07.2019]
- The EU's disastrous Copyright Reform, explained by its lovers and haters, ხელმისაწვდომია: <<https://thenextweb.com/eu/2018/06/19/the-eus-disastrous-copyright-reform-explained/>> [14.07.2019]
- The European Copyright Directive: What Is It, and Why Has It Drawn More Controversy Than Any Other Directive In EU History?, ხელმისაწვდომია: <<https://www.eff.org/deeplinks/2019/03/european-copyright-directive-what-it-and-why-has-it-drawn-more-controversy-any> [14.07.2019]
- Copyright, Trademark Cases, ხელმისაწვდომია: <<https://cdas.com/shiftinginjunctionstandards/> [14.07.2019]
- About Graduated Response, ხელმისაწვდომია: <http://graduatedresponse.org/new/?page_id=5 [14.07.2019]
- Survey shows that the French graduated response fights online copyright infringement efficiently, updated 17.04.2018, ხელმისაწვდომია: <<http://copyrightblog.kluweriplaw.com/2018/04/17/survey-shows-french-graduated-response-fights-online-copyright-infringement-efficiently/> [14.07.2019]
- <https://commerciant.ge/ge/post/internet-mekobreebi-qartul-kino-industrias-atobit-milionobit-zarals-ayeneben> [14.07.2019]